ნანა იოსელიანი
სოფიო ქებურია

3

ხელოვნება

მასწავლებლის წიგნი

სულაკაურის
გამომცემლობა

დაწყებითი განათლება
სასწავლო რესურსები საუკეთესო შედეგებისთვის

ხელოვნება 3
მასწავლებლის წიგნი

ავტორები: **ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია**

რედაქტორი **ელენე ბერიაშვილი**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **გიორგი ლომსაძე**

პირველი გამოცემა, 2024
© სულაკაურის გამომცემლობა, 2024
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ART 3
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2024
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

შესავალი 6

შემაჯამებელი დავალებების გზამკვლევი 10

თემა I: ბუნების პალიტრა (მე და გარესამყარო) 14

თემა II: მხატვრის დღიური (ადამიანები და ხელოვნება) 39

თემა III: გაქვავებული ისტორია (ხელოვნება ჩვენ გარშემო) 53

თემა IV: საიდან მოდის იდეა? (მე და გარესამყარო) 66

თემა V: წვრილად მოყოლილი ამბები (ადამიანები და ხელოვნება) 73

შემაჯამებელი დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით 89

მოსწავლის წიგნის სარჩევი

ხელოვნება მარადიულია 4

ბუნების პალიტრა

ცისარტყელა 8
ექვსი ფერი 12
ყვითელი 14
ნარინჯისფერი 18
ცეცხლის ფერები 20
წითელი 22
კაშკაშა წითელი 24
იისფერი 26
იისფერი სამყარო 28
ლურჯი 30
ლურჯი და განწყობა 32
მწვანე 34
მწვანე სამყარო 36
რა ვისწავლე? 38

მხატვრის დღიური

ჩანახატი 42
გრაფიკა 44
როგორ გაჩნდა ფანქარი 46
რა შეუძლია ფანქარს 48
შტრიხი 50
ესკიზი 54
უბის წიგნაკი 58
მოგზაურის დღიური 60
დასურათებული წერილები 64
ესეც გრაფიკაა 66
რა ვისწავლე? 68

გაქვავებული ისტორია

რა არის ქანდაკება 72
ქანდაკების წინაპრები 74
გამოძერწილი ისტორია 76
Homo sapiens 78
ოჯახი 80
ესკიზი და ქანდაკება 82
სახელოსნო 84
ნეცკე 86
ოკიმონო 88
ნი ჰაო 90
ფაიფური 92
რა ვისწავლე? 94

საიდან მოდის იდეა?

არქიტექტორობანა 98
არქიტექტონები 100
არქიტექტურა და ბუნება 102
არქიტექტურა და მხატვრობა 104
არქიტექტურა და ქანდაკება 108
რა ვისწავლე? 110

წვრილად მოყოლილი ამბები

ძველი ამბები 114
ჩვეულებრივი ამბები 118
ნაცნობი ამბები 122
ძველი თბილისი 124
წარსულის ამბები 126
მონატრება 130
ქუჩის ამბები 132
შავ-თეთრი ამბები 134
რა ვისწავლე? 136

შესავალი

მასწავლებლის წიგნი წარმოადგენს გზამკვლევს, რომელიც, ერთი მხრივ, აჩვენებს შუალედური მიზნების კავშირს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან; მეორე მხრივ, მასში დეტალურადაა აღწერილი, როგორ უნდა წარმართოს მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესი.

მოსწავლის წიგნი, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, დაყოფილია თემებად და საკითხებად. თითოეული საკითხი მოიცავს სამიზნე ცოდნის ასაგებად საჭირო ილუსტრაციებს, აქტივობებს, კონტექსტმაგალითებს.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია ვასწავლოთ ბავშვებს სახვითი ხელოვნების ენა, რათა შეძლონ, ჩაუღრმავდნენ ხელოვანების ნაწარმოებებს და ამოიკითხონ მათი საზრისი; თავადაც გამოხატონ საკუთარი აზრი, შთაბეჭდილება, ემოცია და დამოკიდებულება სახვითი ხელოვნების გზით; მიიღონ ესთეტიკური სიამოვნება მხატვრული ნაწარმოების აღქმისას; „გაუგონ გემო“ შემოქმედებითი პროცესის თანმდევ, ძიებებისა და აღმოჩენების სიხარულს.

- რა არის ხელოვნების ენა?
- რას და როგორ გვიამბობს ხელოვნება?
- საიდან მოსდის ხელოვანს იდეა?
- რა ხერხებით გადმოგვცემს ხელოვანი სათქმელს?
- როგორ მივხვდე, რისი თქმა სურდა ხელოვანს?
- როგორ ამოვიკითხო ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი?
- რა არის საერთო და რა განსხვავებაა სხვადასხვა კულტურებს შორის?
- რა არის საჭირო იმისთვის, რომ საინტერესო ნამუშევარი შევქმნა?

ამ შეკითხვებზე მოსწავლეებს შემედგი თემები უპასუხებენ:

თემა I: ბუნების პალიტრა (მე და გარესამყარო)

რა თვისებები აქვთ ფერებს? როგორ შემიძლია ახალი ფერების დამზადება? როგორ გუნება-განწყობაზე მაყენებს ესა თუ ის ფერი? როგორ შემიძლია ჩემი განწყობის ფერებით გადმოცემა?

მოსწავლის წიგნი, თემა I, სარჩევი:

1. ცისარტყელა ……8
2. ექვსი ფერი ……12
3. ყვითელი ……14
4. ნარინჯისფერი ……18
5. ცეცხლის ფერები ……20
6. წითელი ……22
7. კაშკაშა წითელი ……24
8. იისფერი ……26
9. იისფერი სამყარო ……28
10. ლურჯი ……30
11. ლურჯი და განწყობა ……32
12 მწვანე ……34
13. მწვანე სამყარო ……36
რა ვისწავლე (შემაჯამებელი დავალება)…..38

თემა II: მხატვრის დღიური (ადამიანები და ხელოვნება)

რა აინტერესებს ხელოვანს? რა ინახება ხელოვანის შთაბეჭდილებების სკივრში? როგორ ასახავს ხელოვანი იმას, რაც მის გარშემო ხდება?

მოსწავლის წიგნი, თემა II, სარჩევი:

14. ჩანახატი 42
15. გრაფიკა 44
16. როგორ გაჩნდა ფანქარი 46
17. რა შეუძლია ფანქარს 48
18. შტრიხი 50
19. ესკიზი 54
20. უბის წიგნაკი 58
21. მოგზაურის დღიური 60
22. დასურათებული წერილები 64
23. ესეც გრაფიკაა 66
რა ვისწავლე? (შემაჯამებელი დავალება).....68

თემა III: გაქვავებული ისტორია (ხელოვნება ჩვენ გარშემო)

რა არის ქანდაკება? რა მასალით შემიძლია ქანდაკების გაკეთება?
რას მიამბობენ სხვადასხვა დროისა და ქვეყნის ქანდაკებები?

მოსწავლის წიგნი, თემა III, სარჩევი:

24. რა არის ქანდაკება 72
25. ქანდაკების წინაპრები 74
26. გამოძერწილი ისტორია 76
27. Homo Sapiens 78
28. ოჯახი 80
29. ესკიზი და ქანდაკება 82
30. სახელოსნო 84
31. ნეცკე 86
32. ოკიმონო 88
33. ნი ჰაო 90
34. ფაიფური 92
რა ვისწავლე? (შემაჯამებელი დავალება).....94

თემა IV: საიდან მოდის იდეა? (მე და გარესამყარო)

რა არის არქიტექტურული გარემო? რა ასაზრდოებს არქიტექტორის ფანტაზიას?

მოსწავლის წიგნი, თემა IV, სარჩევი:

35. არქიტექტორობანა 98
36. არქიტექტონები 100
37. არქიტექტურა და ბუნება 102

38. არქიტექტურა და მხატვრობა 104
39. არქიტექტურა და ქანდაკება 108
რა ვისწავლე? (შემაჯამებელი დავალება).....110

თემა V: წვრილად მოყოლილი ამბები (ადამიანები და ხელოვნება)

როგორ მიამბობენ მხატვრები ამბებს? რა არის სურათში მთავარი და რა იმალება მის უკან?
რას მატყობინებს სურათი სხვადასხვა დროსა და ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების შესახებ?
როგორ მოვყვე ამბავი ნახატის მეშვეობით?

მოსწავლის წიგნი, თემა V, სარჩევი:

40. ძველი ამბები 114
41. ჩვეულებრივი ამბები 118
42. ნაცნობი ამბები 122
43. ძველი თბილისი 124
44. წარსულის ამბები 126
45. მონატრება 130
46. ქუჩის ამბები 132
47. შავ-თეთრი ამბები 134
რა ვისწავლე?(შემაჯამებელი დავალება).....136

სასურველია, მოსწავლის წიგნში მოცემული თემების და აქტივობების თანმიმდევრობის დაცვა, რადგან ყოველი ნაბიჯი ეფუძნება წინას, ამზადებს მოსწავლეებს მომდევნო ნაბიჯისთვის. ეს დაეხმარება მოსწავლეებს საგნობრივ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს შორის ლოგიკური კავშირების დამყარებასა და თეორიული ინფორმაციის სტრუქტურირებაში.

წლის ბოლოს მოსწავლეს, ნაბიჯ-ნაბიჯ დაშენებული გამოცდილების შედეგად, უყალიბდება სამყაროს შესახებ ადეკვატური მკვიდრი წარმოდგენები.

წიგნთან დაკავშირებით:

თემები დაყოფილია ნაბიჯებად. ზოგიერთი ნაბიჯი მოიცავს რამდენიმე გაკვეთილს, რადგან ისინი ერთსა და იმავე ცნებებსა და ქვეცნებებს მიემართება. ყოველი შემდგომი ნაბიჯი იწყება იქ, სადაც შემოდის ახალი სამიზნე ცნება და შესაბამისი ქვეცნება, რომელიც ორიენტირებულია ახალი მკვიდრი წარმოდგენის ჩამოყალიბებაზე.

მასწავლებლის წიგნში აქტივობები გაწერილია დაწვრილებით: ცოდნის გასამყარებელ, სააზროვნო უნარებისა და რეფლექსიის განმავითარებელ შეკითხვებს ახლავს სავარაუდო პასუხები; პრაქტიკულ სამუშაოს – მასალის ჩამონათვალი, ეტაპობრივი მითითებები, რჩევები, შეკითხვები.

მასწავლებლის წიგნში მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია დაკვირვებაზე, მსჯელობაზე, ინტერპრეტაციასა და შედარებაზე; ექსპერიმენტები, პრაქტიკული სავარჯიშოები და შუალედური დავალებები შეამზადებს მოსწავლეებს შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალების შესრულებისთვის.

მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებულ შუალედურ აქტივობებს ახლავს რეფლექსიის შეკითხვებიც, რადგან შუალედური ნაბიჯები, ფაქტობრივად, არის „რეპეტიცია“, წინასწარი გავარჯიშება შემაჯამებელი დავალების შესრულება-წარდგენისთვის. რეფლექსიის შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაეხმარება მოსწავლეს ჩაუღრმავდეს შესწავლილ მასალას და შეაფასოს საკუთარი მიღწევები. მასწავლებელს კი ეხმარება,

წარმართოს მოსწავლეთა ძალისხმევა SOLO ტაქსონომიის მიმართებითი დონის მიღწევისკენ.

აქტივობები დაგეგმილია საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით. მასწავლებელს შეუძლია, მოარგოს სახელმძღვანელოში შემოთავაზებული იდეები საკუთარ გარემოებებს, მოსწავლეთა შესაძლებლობებს თუ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია შემოთავაზებულ აქტივობებში ცვლილებების შეტანა – სხვა მასალის ან ტექნიკის გამოყენება ან განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მსგავსი ან სხვადასხვა სირთულის აქტივობების შერჩევა.

დიფერენცირებული სწავლების მიზნით შესაძლებელია აქტივობების გართულება ან გამარტივება დავალების პირობაში არსებული კომპონენტების დამატებით ან მოკლებით.

ყოველ გაკვეთილს წინ უძღვის სამოტივაციო საუბარი/წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები, რაც შეამზადებს მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს გაკვეთილის მსვლელობაში. თითქმის ყოველი ნაბიჯის დასასრულს დასმულია შემაჯამებელი შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, თავი მოუყარონ მიღებულ ცოდნას/გამოცდილებას. შემაჯამებელი შეკითხვები არ ერთვის მხოლოდ იმ გაკვეთილებს, რომლებიც სრულდება შუალედური დავალებებით, რადგან შუალედურ დავალებებს მოსდევს თავისი რეფლექსიის კითხვარი, რომელიც ისედაც აჯამებს მიღებულ გამოცდილებას/ცოდნას.

ზოგიერთ გაკვეთილს ერთვის ლექსიკონი – ასათვისებელი ტერმინები განმარტებებითურთ.

გაკვეთილებს ახლავს რამდენიმე აქტივობა შეკითხვებისა და პრაქტიკული დავალებების სახით. მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეკითხვების შემცველი დავალებების მიზანია, ვასწავლოთ ბავშვებს ხელოვნების ნიმუშების აღქმა. დავალებები აიძულებენ მათ, ყურადღებით დააკვირდნენ ილუსტრაციას, აღმოაჩინონ, დაფიქრდნენ, შეაფასონ, გამოიმუშაონ საკუთარი ემოციური და კოგნიტური დამოკიდებულება, რაც მომავალში მიაჩვევს მათ სამყაროს არა ზედაპირულ, არამედ საფუძვლიან, გააზრებულ აღქმას, საკუთარი აზრისა თუ დამოკიდებულების გამოხატვას. ასეთი აქტივობების შედეგად, მოსწავლეები გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს.

სახელმძღვანელოში ყველა აქტივობისთვის საჭირო მასალა და აღჭურვილობა შერჩეულია მაქსიმალური ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, მათი გამოყენების წინ მასწავლებელმა აუხსნას/შეახსენოს მოსწავლეებს გამოყენების წესები.

შემაჯამებელი დავალებების გზამკვლევი:

თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო (გვ 12-36) **თემა I: ბუნების პალიტრა**		
სამიზნე ცნება / ცნებები ქვეცნებები	**ძირითადი საკითხი/საკითხები**	**შემაჯამებელი დავალების იდეა/პირობა**
იდეა და სახვითი ენა: **ფერი** (ძირითადი, შედგენილი, ცივი, თბილი, ღია, მუქი); **კონტური** **ფონი** **სურათის** გრძივი ან განივი **ფორმატის** შერჩევა ტექნიკა: **ხატვა** დარგი: **მხატვრობა**	სხვადასხვა ფერის საღებავის შეზავებით პეიზაჟში ფერებით გუნება-განწყობის, ამინდის გადმოცემა.	დახატე პეიზაჟი, რომელიც ფერებით ამინდსა და შენს გუნება-განწყობას ასახავს. შეაზავე საღებავები, გამოიყენე ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი, ცივი და თბილი ფერები. **ამისათვის გაიხსენე:** • რა ფერები შეგიძლია მიიღო სამი ძირითადი ფერის შეზავებით? • როგორ გააღიავებ ან გაამუქებ, დაათბობ ან გააციებ ფერს? • რა შეგრძნებას იწვევენ ღია ან მუქი, თბილი ან ცივი ფერები? • რა ფერები ჭარბობს წელიწადის სხვადასხვა დროს? • რა ფერები ჭარბობს დღის სხვადასხვა მონაკვეთში? • როგორ იცვლება ბუნება წელიწადის სხვადასხვა დროს? **დაფიქრდი:** • როგორი ფერებით გადმოსცემ დაძაბულობას, სიმშვიდეს, მოწყენილობას ან მხიარულებას? • როგორ ააჟღერებ ფერს სხვა ფერების ფონზე? • რომელი და როგორი ფერით გამოხატავ შენს განწყობილებას?
თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება (გვ 37-50) **თემა II: მხატვრის დღიური**		

იდეა და სახვითი ენა: **ხაზი** (სხვადასხვა ტიპის) სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური, შტრიხი. ტექნიკა: **ხატვა** დარგი: **მხატვრობა** ჟანრი: **გრაფიკა**	ჩვეულ გარემოზე დაკვირვება და შთაბეჭდილებების ასახვა ნახატის საშუალებით.	დააკვირდი შენთვის ჩვეულ გარემოს და გააკეთე ნანახი ამბის სამახსოვრო ჩანახატი. საჭიროებისამებრ, გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, კონტური და შტრიხი. ჩანახატის საფუძველზე დახატე ფერადი სურათი. **ამისათვის გაიხსენე:** • რა არის ჩანახატი და რა – ესკიზი? **დაფიქრდი:** • რა მასალით გააკეთებ ჩანახატს? • რა მასალით დახატავ საბოლოო ნამუშევარს?
თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო (გვ 51-63) **თემა III: გაქვავებული ისტორია**		
იდეა და სახვითი ენა: **ფორმა** ტექნიკა – **ძერწვა** დარგი: **ქანდაკება**	ადამიანის სამგანზომილებიანი ფიგურის შექმნა სივრცითი ფორმების გამოყენებით. ადამიანის პოზის, მოძრაობის გამოსახვა	უბის წიგნაკში ან სახატავ რვეულში დახატე მომავალი ქანდაკების რამდენიმე ესკიზი. შეარჩიე ერთ-ერთი და პლასტილინით, თიხით, მარილიანი ცომით ან მავთულით გააკეთე ადამიანის ქანდაკება რაიმე საქმიანობის დროს. გადმოეცი მოძრაობა დამახასიათებელი პოზით. სხეულის ნაწილების გასაკეთებლად გამოიყენე სივრცითი ფორმები. მიამაგრე ისინი ერთმანეთს ისე, რომ ფიგურა მყარად იდგეს. ტანსაცმელი და ვარცხნილობა გააფორმე ნაკაწრი, ნაჭდევი დეტალებით ან ქსოვილის ნაკუწებითა და საქსოვი ძაფებით. **ამისათვის გაიხსენე:** • რა და რა მასალით იქმნება ქანდაკებები? **წინასწარ დაფიქრდი:** • როგორი სივრცითი ფორმებით შეიძლება ადამიანის სამგანზომილებიანი ფიგურის შექმნა? • როგორი პოზა/მოძრაობა ახასიათებს ადამიანის სხვადასხვა საქმიანობას? • როგორ დაამაგრებ ფიგურას და მის ნაწილებს ერთმანეთზე?
თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო (გვ 64-70) **თემა IV: საიდან მოდის იდეა?**		

იდეა და სახვითი ენა – **ფორმა** (სიბრტყობრივი, სივრცითი); ტექნიკა – **კონსტრუირება** დარგი: **არქიტექტურა**	**გარემოზე დაკვირვების შედეგად ახალი იდეების გენერირება და მათი განხორციელება სივრცითი ნამუშევრის სახით.**	მოარგე ერთმანეთს შენ მიერ შეგროვებული, საინტერესო ფორმის საგნები: ტოტები, კენჭები, ნიჟარები, კოლოფები, სხვადასხვა მექანიზმის დეტალები, ძველი, უსარგებლო ნივთები... დააკვირდი გარემოში არსებულ მრავალფეროვან სივრცით ფორმებს – გეომეტრიულსა და ბუნებრივს. შექმენი არქიტექტურული კონსტრუქციის მყარი მოდელი, რომელსაც ამ ფორმებს მიამსგავსებ. **ამისათვის გაიხსენე:** • როგორ შეიძლება გარემომ ან ხელოვნების ნაწარმოებმა ახალი იდეა გიკარნახოს? **წინასწარ დაფიქრდი:** • რა მასალა დაგჭირდება? • რას მიამსგავსებ შენს კონსტრუქციას? • რა დეტალებით მიამსგავსებ შენს კონსტრუქციას ჩაფიქრებულ ფორმებს?
თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება (გვ 71-87) **თემა V: წვრილად მოყოლილი ამბები**		
იდეა და სახვითი ენა: **ხაზი** (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი; კონტური, შტრიხი). ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი). **ფონი,** **ფორმა** 3. დარგი: **მხატვრობა** ჟანრი: **გრაფიკა, ფერწერა**	სურათის მთლიანობის აღქმისა და დეტალებზე დაკვირვების გზით ნაწარმოების შინაარსის ამოცნობა; ნაწარმოებზე მსჯელობა, საკუთარი აზრის და დამოკიდებულების გამოხატვა და სხვებისთვის გაზიარება.	• გადაათვალიერე სახელმძღვანელო. შეარჩიე რომელიმე მხატვრის ნამუშევარი, რომელიც ადამიანის შესახებ ამბავს გვიამბობს. კარგად დააკვირდი სურათს და ისაუბრე, რა დახატა მხატვარმა და როგორი მხატვრული ხერხებით გადმოგვცა ამბავი. გააკეთე მოკლე მოხსენება ამ ნაწარმოების შესახებ. **ამისათვის ყურადღებით დააკვირდი ნაწარმოებს და დაფიქრდი:** • რა გვიამბო მხატვარმა? • რა არის სურათში მთავარი? • რა ხერხებით გვიამბო მხატვარმა ამბავი? • როგორი განწყობაა სურათში? • რა ქმნის ამ განწყობას?

შესავალი გაკვეთილი: ხელოვნება მარადიულია (გვ. 4)

სამოტივაციო საუბარი:

24 საუკუნის წინ, ძველ საბერძნეთში ცხოვრობდა განთქმული ექიმი და სწავლული, სახელად ჰიპოკრატე. ჰიპოკრატე მედიცინის დამაარსებლად მიიჩნევა. მან შეიმუშავა მკურნალობის ძირითადი პრინციპები და ექიმის ქცევის კოდექსი, რითაც დღესაც ხელმძღვანელობს თანამედროვე მედიცინა. ჰიპოკრატეს უთქვამს: ARS LONGA, VITA BREVIS – „ხელოვნება მარადიულია, ცხოვრება – ხანმოკლე". ჰიპოკრატემ იგულისხმა დახელოვნება, ოსტატობა ნებისმიერ სფეროში – მედიცინაში, მეცნიერებაში, ხელოვნებასა და სხვა დარგებში, მაგრამ ამ ლათინურ ფრაზას ხშირად მხოლოდ ხელოვნებას უკავშირებენ.

ყოველი ხელოვანი საქმის სიყვარულითა და თავდადებული შრომით უკვდავყოფს საკუთარ ნამუშევარს.

ასათვისებელი ტერმინები:

პოსტერი – დიდი ზომის ნამუშევარი ტექსტით და ნახატებით.

კონტური – ფორმის გარშემო შემოვლებული ხაზი.

პარალელური – ერთმანეთთან თანაბარი მანძილით დაშორებული ხაზები ან სიბრტყეები.

აქტივობა 1. მსჯელობა

- როგორ გესმის ჰიპოკრატეს გამონათქვამი?
- გაიხსენე რაიმე ისეთი, რაც დიდი ხნის წინ შეიქმნა და დღემდე გვახსოვს.
- მოიყვანე მსგავსი მაგალითები სხვადასხვა სფეროდან.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ჯგუფური

მასალა: დიდი ზომის ქაღალდი, სახატავი ფურცლები, ფერადი ფურცლები, ფანქარი, მარკერები, მაკრატელი და წებო.

გააკეთეთ პოსტერი ჰიპოკრატეს გამონათქვამით: „ხელოვნება მარადიულია, ცხოვრება – ხანმოკლე".

1. გაინაწილეთ წინადადების შემადგენელი ასოები, შეათანხმეთ მათი ზომა.
2. ასოების თანაბარი ზომის დასაცავად, ფანქრით, მკრთალად გაავლეთ ორი პარალელური ხაზი.
3. ხაზებს შორის ჩახატეთ ასოების კონტურული გამოსახულებები.
4. გააფერადეთ და მოხატეთ ასოები.
5. გამოჭერით ასოები და დიდ ფურცელზე ააწყეთ ჰიპოკრატეს გამონათქვამი.
6. დაწებებულ ასოებს შემოავლეთ მსხვილი კონტური.
7. გაუკეთეთ გამონათქვამს ლამაზი ჩარჩო.
8. ჩამოკიდეთ პოსტერი საკლასო ოთახში.

I თემა: ბუნების პალიტრა

სამიზნე ცნებები:

I-IV კლასები	
სამიზნე ცნება	
იდეა და სახ-ვითი ენა	**სახვითი საშუალებები –** ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი), ფონი
ტექნიკა	**ხატვა**
დარგები და ჟანრები	დარგი: მხატვრობა (ფერწერა) ჟანრი: პეიზაჟი
საკითხი: სხვადასხვა ფერის საღებავის შეზავებით პეიზაჟში ფერებით გუნება-განწყობის, ამინდის გადმოცემა. **საკვანძო შეკითხვები:** როგორი ფერები არსებობს ბუნებაში? როგორ გადმოვცე ფერით სითბო, სიცივე, ხმაური, სიჩუმე, მხიარულება ან მოწყენილობა? როგორ შემიძლია პეიზაჟში ფერებით გადმოვცე ჩემი გუნება-განწყობა?	

შემაჯამებელი დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – შემაჯამებელი დავალების პირობის გაცნობა:

დახატე პეიზაჟი, რომელიც ფერებით შენს გუნება-განწყობას ასახავს. შეაზავე საღებავები, გამოიყენე ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი, ცივი და თბილი ფერები.

შემაჯამებელი დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რა შეგრძნებას იწვევენ თბილი და რა შეგრძნებას – ცივი ფერები?
- როგორი ფერებით გადმოსცემ დაძაბულობას, სიმშვიდეს, მოწყენილობას ან მხიარულებას?
- როგორ ააჟღერებ ფერს სხვა ფერების ფონზე?
- როგორ გააღიავებ ან გაამუქებ, დაათბობ ან გააგრილებ ფერს?
- რომელი და როგორი ფერით გამოხატავ შენს განწყობილებას?

რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალების განსახორციელებლად:

მოსწავლეებს თემის დავალებას გააცნობთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.

ა) კონტექსტმაგალითის დათვალიერება (მოსწავლის წიგნი გვ. 39), მასზე საუბარი და მსჯელობა მინიშ-ნებების და დამხმარე შეკითხვების დახმარებით:

შეკითხვების ნიმუშები:

- როგორ ფერებს ხედავთ თითოეულ ნახატზე?
- რომელ ნახატზე ცივა და რომელზე – თბილა?
- რა ქმნის ამ შეგრძნებას?
- რომელშია განწყობა მშვიდი და რომელში – დაძაბული?
- რომელმა ფერებმა გამოხატეს ეს განწყობები?

ბ) შემაჯამებელი დავალების პირობის გაცნობა.

მოსწავლეებს ეტყვით: „თემის დასრულების შემდეგ უნდა შეასრულოთ ასეთი დავალება: უნდა დახატოთ პეიზაჟი, რომელშიც ფერებით გადმოსცემთ თქვენს გუნება-განწყობას.

იმისათვის, რომ ეს შეძლოთ, გაეცნობით, რა თვისებები აქვთ ფერებს, როგორ შეიძლება ფერის თვისებების გამოყენებით ნამუშევარში სხვადასხვა განწყობის, სითბოს ან სიცივის შეგრძნების გადმოცემა; ისწავლით ფერების შეზავებით ღია-მუქი, ცივი-თბილი ფერების მიღებას.

რესურსები შემაჯამებელი დავალების განსახორციელებლად:

სახელმძღვანელო, გაკვეთილები 2-13

ილუსტრაციები:

კავასე ჰასუი, ჯონ კონსტებლი, უტაგავა კუნიოში, ფრიდრიხ კასპარ დავიდი, ალექსანდრ კალდერი, ანრი მატისი, ჟოან მირო, ვინსენტ ვან გოგი, პოლ სინიაკი, პიტერ პაულ რუბენსი, კლოდ მონე, უილიამ ტერნერი, ემილ ნოლდე, ნიკო ფიროსმანაშვილი, ქეთი ბენაშვილი, მარიანა ფონ ვერიოვკინა, მარკ შაგალი, ერნსტ-ლუდვიგ კირხნერი, გიორგი მირზაშვილი, მარტიროს სარიანი, რაულ დიუფი, გოგი ჩაგელიშვილი, ედვარდ მუნკი, დევიდ ჰოკნი, პოლ სეზანი.

ინტერნეტ-რესურსები:

ტელესკოლა, ფერი და ფორმა, I-II კლასი: https://www.youtube.com/watch?v=CXZoEIVA5hs

ტელესკოლა, ფერი და ფორმა, III-IV კლასი: https://www.youtube.com/watch?v=wKgRDAgwiq0

ტელესკოლა, მინდორი, სახლი, III-IV კლასი: https://www.youtube.com/watch?v=b2ZSsaINqtY

ეტაპი II – შემაჯამებელ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. მოსწ. წიგნი, გაკვეთილები 1-2. გვ. 8-13

გაკვეთილი 1 (2 განშლა), **„ცისარტყელა“**

სპექტრის ფერების გაცნობა, ძირითადი ფერების შეზავებით შედგენილი ფერების მიღება.

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. იდეა და სახვითი ენა; ქვეცნება – ფერი;
2. ტექნიკა; ქვეცნება: ხატვა;
3. დარგები და ჟანრები: ქვეცნება: მხატვრობა, პეიზაჟი.

პირველი განშლა:

ლექსიკონი:

პრიზმა – პირამიდის მსგავსი გამჭვირვალე სხეული.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

სამყაროში უამრავი ფერია. არადა, მთელი ეს მრავალფეროვნება სულ შვიდი ფერიდან იბადება. შვიდივე ცისარტყელაზე მოკალათებულა. ერთი და იგივე ფერი ხან მჭახეა, ხან – მკრთალი, ხან ნათელია, ხან – ბნელი. ფერმა შეიძლება გაგახალისოს, აგაფორიაქოს ან დაგამშვიდოს.

ფერის თვისებების ცოდნა დაგეხმარება, ამოიცნო სხვისი და გამოხატო შენი გრძნობები, განწყობა, შთაბეჭდილებები.

- გინახავთ ცისარტყელა?
- როგორ ჩნდება ცისარტყელა?
- რა ფერებია ცისარტყელაზე?

ცისარტყელა ჩნდება მაშინ, როცა ერთდროულად წვიმს და მზეც ანათებს ანუ როცა „მზე პირს იბანს“.

ამ დროს ჰაერი წვიმის წვეთებითაა გაჟღენთილი. მზის სხივი წყლის პაწაწინა წვეთების ზედაპირიდან შვიდ ფერად აირეკლება. ცაზე ერთმანეთის გვერდით მზის და ცისარტყელას დანახვა შეუძლებელია. იმისთვის, რომ ცისარტყელა დავინახოთ, მზე ზურგს უკნიდან უნდა ანათებდეს.

- ცისარტყელა ყოველთვის შვიდფერია.
- ცისარტყელას ფერები ყოველთვის ერთი თანმიმდევრობითაა დალაგებული.
- ცისარტყელა ყოველთვის რკალია.
- ცისარტყელას რკალის გარე ზოლი ყოველთვის წითელია, შიდა კი – იისფერი.
- ცისარტყელას რკალის გარეთ ცა უფრო მუქი ჩანს, ვიდრე რკალს შიგნით.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო (აპლიკაცია)

მასალა: თეთრი ფურცელი, ფერადი ქაღალდები ან ძველი ჟურნალებიდან ამოხეული ფერადი სურათები; მაკრატელი, წებო.

აპლიკაციის ტექნიკით გააკეთე შვიდფერა ყვავილი.

- ფერადი ჟურნალებიდან ან ფერადი ქაღალდებიდან გამოჭერი ყვავილის ფურცლები.
- დაალაგე და დააწებე ფურცლები ცისარტყელას ფერების თანმიმდევრობით.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, სავარჯიშო

მასალა: გუაშის საღებავები, სახატავი ფურცელი, ერთჯერადი თეფში, ღრუბელი ან მუყაოს ნაჭერი. დახატე ცისარტყელა.

- ერთჯერად თეფშზე, ცისარტყელას ფერების თანმიმდევრობით დაასხი გუაშის საღებავები.
- ჩააწე საღებავში ღრუბლის ან მუყაოს ნაჭრის კიდე.
- გაუსვი საღებავიანი ღრუბელი ფურცელს.
- რა გამოგივიდა?
- რას დაამატებ ნახატს?

მეორე განშლა (გვ. 10-11)

აქტივობა 3. წინარე ცოდნის გააქტიურება, დაკვირვება, მსჯელობა

- გაიხსენე, რა ჰქვია სურათს, რომელზეც ბუნების ხედია ასახული (პეიზაჟი).

დააკვირდი კავასე ჰასუის და ჯონ კონსტებლის პეიზაჟებს.

- რას ხედავ?
- როგორ ფერებს ხედავ?
- რა განწყობას ქმნიან ეს ფერები?

აქტივობა 4. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი უტაგავა კუნიოშის და ფრიდრიხ კასპარ დავიდის პეიზაჟებს.

- რა ფერისაა ცისარტყელა თითოეულ პეიზაჟზე?
- ბუნების რა კანონები დაარღვიეს მხატვრებმა სურათებში? *(ცისარტყელა არაა შვიდფერი, ხოლო ცა ცისარტყელას გარეთ არაა უფრო მუქი, ვიდრე ცისარტყელას შიგნით)*

გაკვეთილი 2. „ექვსი ფერი“ (გვ.12-13)

ფერების ბორბალი და მისი სტრუქტურა.

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. **იდეა და სახვითი ენა; ქვეცნება – ფერი – ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი;**

იდეები აქტივობებისთვის:

დასაწყისისთვის, მოსწავლეებს პირდაპირ მზა ინფორმაცია რომ არ მივაწოდოთ, აჯობებს, თავად მივიყვანოთ იმ დასკვნამდე, რომ ძირითად ფერებს ვერ მიიღებ სხვა ფერების შერევით. აჯობებს, გაკვეთილი დაიწყოთ პრაქტიკული დავალებით: შეეცადონ, ფერადი ფანქრებით, პასტელებით ან გუაშის საღებავით მიიღონ წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერები სხვა ფერების ერთმანეთთან შერევით. როდესაც არ გამოუვათ, სცადონ პასუხის გაცემა – რატომ. მხოლოდ ამის შემდეგ ვთხოვოთ, წაიკითხონ ტექსტი:

თურმე სამყაროს მხოლოდ სამი – წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერი აფერადებს.

რა ფერებიც არ უნდა შეურიო ერთმანეთს, ვერაფრით მიიღებ ყვითელს, წითელს და ლურჯს. ამ სამი ფერით კი ნებისმიერი სხვა ფერის შედგენა შეიძლება. ამის გამო, წითელს, ყვითელსა და ლურჯ ფერებს ძირითადი ფერები ეწოდათ, მათი შეზავებით მიღებულ ფერებს კი – შედგენილი ფერები.

- რა ფერები აკლია ფერების ბორბალს? (თეთრი, შავი, რუხი, ყავისფერი)

მეცნიერები თვლიან, რომ შავი და თეთრი არ არის ფერი. თეთრი – სინათლეა, შავი – სიბნელე. თეთრის და შავის ნაზავი კი რუხია. ამიტომაც არ არიან ისინი არც ცისარტყელაზე და არც ფერის ბორბალზე.

თუ „ფერად“ ფერს შავ საღებავს შეურევ, ის ფერადოვნებას დაკარგავს, ჭუჭყიან ელფერს მიიღებს და გამუქდება. თუ რაიმე ფერს თეთრ საღებავს შეურევ, ფერი გაღიავდება, ნაზ ელფერს მიიღებს.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება, მსჯელობა.

- ა. რა აფერადებს სამყაროს?
- ბ. როგორი იქნებოდა სამყარო ფერების გარეშე?
- გ. რა არის საერთო სიტყვებში „ყველაფერი“, „არაფერი“, „ფერადი“ ან „უფერული“?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ცდა

მასალა: გუაშის საღებავები, ფუნჯი, პალიტრა

ფერების ბორბალზე ყავისფერს არ მოეძებნა ადგილი.

- რა ფერებით მიიღებ ყავისფერს?

შეაზავე ნებისმიერი სამი ფერი.

- რა ფერი მიიღე?
- რა ფერს მიიღებ ოთხი ფერის საღებავის შეზავებით?

აქტივობა 3. დაკვირვება

დააკვირდი ალექსანდრ კალდერის, ანრი მატისის და ჟოან მიროს სურათებს.

- რომელი მხატვრების სურათებია შესრულებული მხოლოდ ძირითადი ფერებით? *(ჟოან მიროსი და ალექსანდრ კალდერის)*
- რომელს შეეპარა შედგენილი ფერი? *(ანრი მატისის სურათს)*
- იპოვე და დაასახელე ეს ფერი *(ანრი მატისის სურათზე არის მწვანე მაგიდა. ქალის კაბასაც აქვს მკრთალი მწვანე ზოლები).*
- რა ფერის კონტურული ხაზები შემოავლეს მხატვრებმა ნახატებს? *(შავი)*
- რა დანიშნულება აქვს კონტურს ამ სურათებში? *(ისინი უკეთ გამოკვეთენ ფორმას)*
- როგორი იქნებოდა ეს სურათები კონტურების გარეშე?
- რომელ ფერთან ჩანს კონტური მკაფიოდ? რომელ ფერთან „იკარგება“ კონტური და რატომ? *(რაც უფრო ღია ფერისაა გამოსახულება, მით უფრო მკაფიოა კონტური. ლურჯი ფერის გვერდით შავი კონტური არ ჩანს მკაფიოდ.)*

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, სავარჯიშო

მასალა: სახატავი ფურცელი, ლურჯი, წითელი და ყვითელი ფერის გუაშის საღებავები, ფუნჯი, პალიტრა.

დახატე სურათი მხოლოდ ლურჯი, წითელი და ყვითელი ფერის საღებავებით ისე, რომ მათი შეზავებით სხვა ფერები მიიღო.

ნაბიჯი 2. გაკვეთილები 3-13, გვ. 14-37

ამ ნაბიჯში მოსწავლეები გაეცნობიან ფერების თვისებებს, ისწავლიან მათ გამოყენებას ნამუშევარში ჩანაფიქრისა და გუნება-განწყობის გადმოსაცემად.

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. იდეა და სახვითი ენა. ქვეცნება – ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი; ფონი).
2. ტექნიკა. ქვეცნება – ხატვა;
3. დარგები და ჟანრები. ქვეცნება – მხატვრობა, პეიზაჟი.

გაკვეთილი 3. ყვითელი (ორი განშლა, მოსწ. წიგნი, გვ. 14-17)
პირველი განშლა:

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება
გაიხსენე:
- რა არის ყვითელი ბუნებაში?
- ყველა ყვითელი ერთნაირია?
- რა გახსენდება პირველ რიგში, როცა გესმის სიტყვა ყვითელი?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს სიტყვა შენში?
- რა არის შენ გარშემო ყვითელი ფერის?

აქტივობა 2. დაკვირვება
- რომელი სურათია ყველაზე ნათელი და რატომ?
- რომელმა ფერმა მოგჭრა თვალი?
- როგორ განწყობას ქმნის სურათი?
- რომელი ფერია მთავარი?

ვინსენტ ვან გოგი, „გოგონა ჩალის ქუდით"

ვინსენტ ვან გოგი, „შემოდგომის პეიზაჟი"

ვინსენტ ვან გოგი, „მთვარიანი ღამე"

ვინსენტ ვან გოგი, „ვარსკვლავიანი ღამე რონაზე"

ყვითელი ფერი თვალს იზიდავს. საკმარისია სულ პატარა ყვითელი ლაქაც, თვალი მაშინვე იქით გაგექცევა. ყვითელი სიკაშკაშით ყველა სხვა ფერს გადაწონის.

აქტივობა 3. დაკვირვება, მსჯელობა
დააკვირდი ყვითელ კვადრატებს
- რომელი ტოვებს უფრო „სუფთას" შთაბეჭდილებას?
- რომელია უფრო ჭუჭყიანი?
- რომელია უფრო თბილი?
- რომელია ყველაზე ცივი?

(1 – სუფთა; 2 – თბილი; 3 – ცივი; 4 – ჭუჭყიანი)

ყვითელი „სუფთა" ფერია. როგორც კი სხვა ფერი შეერევა, ჭუჭყიანდება. მეორე მხრივ, თუ დიდი რაოდენობის საღებავში ოდნავ ყვითელს გაურევ, უფრო თბილ, ჟღერად ფერს მიიღებ. ხელოვანები ხშირად სარგებლობენ ყვითლის ამ თვისებით ცივი ფერების „დასათბობად", „გასაცოცხლებლად".

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, ცდა

პალიტრაზე გაანაწილე ყვითელი ფერის გუაშის საღებავი.

ყოველ ყვითელს დაამატე სხვადასხვა ფერის თითო წვეთი.

რა დაემართა ყვითელს?

- რომელმა ფერმა დაუკარგა მას სიკაშკაშე?
- რომელმა გააჭუჭყიანა?
- რომელმა შეუცვალა ელფერი, რომელი მოერია?

აქტივობა 5. პრაქტიკული სამუშაო

დახატე პეიზაჟი განსხვავებული ყვითელი ფერის ყვავილებით.

- ფერის გასაღიავებლად შეურიე ყვითელს თეთრი საღებავი.
- ნარინჯისფერის მისაღებად შეურიე ყვითელს წითელი საღებავი.
- რა ფერს შეურევ ყვითელს ფოთლების ან ბალახის დასახატავად?

მეორე განშლა (მოსწ. წიგნი, გვ. 16-17)**:**

ლექსიკონი:

ფონი – ის, რაც მთავარი გამოსახულების გარშემო და უკან ჩანს.

აქტივობა 6. დაკვირვება, მსჯელობა

- რომელი ფერია მთავარი თითოეულ სურათზე? (პირველ სურათში მთავარია ყვითელი, ხოლო მეორეში – ლურჯი)
- როგორი ამინდია თითოეულ სურათზე? (პირველ სურათზე მზიანი ამინდია, ხოლო მეორეზე – ღრუბლიანი, მოქუფრული)
- რომელი ფერი ქმნის ამინდს? (პირველ სურათზე მზიან ამინდს ქმნის ყვითელი, ხოლო მეორეზე ღრუბლიან, მოქუფრულ ამინდს – ლურჯის სიჭარბე)
- რა შეიცვლებოდა პირველ სურათში, მხატვარს ყვითლის ნაცვლად რუხი საღებავი რომ ეხმარა? (სურათს მოაკლდებოდა სინათლე და შეიძლება საღამოდ აღგვექვა)
- რა შეიცვლებოდა მეორე სურათში, მხატვარს ლურჯის ნაცვლად ცისფერი საღებავი რომ ეხმარა? (გახდებოდა უღრუბლო დღის პეიზაჟი)

აქტივობა 7. პრაქტიკული სამუშაო, ცდა, დაკვირვება, მსჯელობა

მასალა: ფერადი ფურცლები, მაკრატელი, წებო, შავი ფერის მარკერი.

რა ფერები უხდება ყვითელს?

ჩაატარე ცდა:

- დაჭერი ფერადი ფურცლები თანაბარი ზომის ოთხკუთხედებად.
- დააწებე ოთხკუთხედები ყვითელი ფერის ქაღალდზე.
-

- გამოჭერი ოთხკუთხედები ისე, რომ ყოველ ფერს ყვითელი ჩარჩო დაუტოვო.

- რომელი ფერი გამოჩნდა ყვითელ ფონზე მკაფიოდ? რომელი დაიკარგა? *(მკაფიოდ გამოჩნდა მუქი ფერის კვადრატები. მკრთალი ფერები დაიკარგა, რადგან ფონიც და კვადრატიც ღია, ნათელი ფერისაა)*

შემოავლე ყოველ ფერად ოთხკუთხედს შავი კონტური.

- რა შეიცვალა? *(ნათელი ფერის შიდა კვადრატები მკაფიოდ გამოიკვეთა, ხოლო მუქ კვადრატებზე კონტური დაიკარგა)*

ყვითელი ქაღალდის პაწაწუნა ნაჭრები დააწებე ფერად ოთხკუთხედებზე.

- რა შეიცვალა?
- რომელი ფერის ფონი მოუხდა ყვითელ კოპლებს? *(მუქი ფერის ფონზე პატარა ყვითელი კვადრატები უფრო მკაფიოდ ჩანს, ვიდრე ღია ფერის ფონზე)*

- რა შეიცვლება, თუ კოპლებს შავ კონტურს შემოავლებ? *(ნათელი ფერის ფონზე პატარა ყვითელი კვადრატები მკაფიოდ გამოჩნდება, ხოლო მუქი ფერის ფონზე ყვითელი პატარა კვადრატები ისედაც მკაფიოდ ჩანდა. კონტური მუქი ფერის ფონზე, მაგალითად, ლურჯზე და შავზე დაიკარგა)*

ჩააკარი ნიმუშები რვეულში და მიაწერე დაკვირვების შედეგები.

აქტივობა 8. შეჯამება

რა შეიტყვე ახალი ყვითელი ფერის შესახებ?

დაახასიათე ყვითელი ფერი.

- მხიარულია თუ მოწყენილი?
- ხმაურიანია თუ ჩუმი?
- კაშკაშა თუ ბნელი?

- ცივი თუ თბილი?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს ფერი?
- რას ფიქრობენ შენი მეგობრები?
- რით განსხვავდება თქვენი აზრი?

გაკვეთილი 4. ნარინჯისფერი (მოსწ. წიგნი, გვ. 18-19)

სამოტივაციო საუბარი (ძველი ბერძნული მითი პრომეთეს შესახებ):

- რა არის ბუნებაში ნარინჯისფერი?
- ყველა ნარინჯისფერი ერთნაირია?
- რა გახსენდება პირველ რიგში, როცა გესმის სიტყვა ნარინჯისფერი?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს სიტყვა შენში?
- რა არის შენ გარშემო ნარინჯისფერი?

ძველი ბერძნული მითი გვიამბობს, რომ ოდესღაც ადამიანები ცივ, ბნელ გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. გმირმა პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და ადამიანებს აჩუქა. ცეცხლით მათ რკინის იარაღი დაამზადეს. ამიერიდან აღარც სიცივის ეშინოდათ და აღარც მტრის.

მთავარი ღმერთი, ზევსი, ძალიან გაბრაზდა. იფიქრა, ადამიანები გაძლიერდნენ და აღარ დამემორჩილებიანო. ზევსმა პრომეთე დასაჯა და კლდეს მიაჯაჭვა.

ითვლება, რომ პრომეთე და კავკასიის მთებს მიჯაჭვული მითური ამირანი ერთი და იგივე გმირია.

ვიდეო რესურსი: მითი პრომეთეს შესახებ, ანიმაცია ქართულ ენაზე:
https://www.youtube.com/watch?v=s_3I_vG5aFY

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება, მსჯელობა

გაიხსენე, რა არის ბუნებაში ნარინჯისფერი. *(მზე, ფორთოხალი, მანდარინი, სტაფილო...)*

- ყველა ნარინჯისფერი ერთნაირია? *(ზოგი უფრო ღიაა, ნათელი, ზოგი – მუქი. ზოგი – მოყვითალო ნარინჯისფერია, ზოგი – მოწითალო)*
- რომელ ფერებთან არის ახლოს ნარინჯისფერი? *(ყვითელთან და წითელთან)*

აქტივობა 2. დაკვირვება, წინარე ცოდნის გააქტიურება

დააკვირდი განტოლებას.

თუ ნარინჯისფერი საღებავი არ გაქვს, რა ფერებით შეგიძლია მისი დამზადება? *(წითელი და ყვითელი ფერების შერევით)*

აქტივობა 3. მსჯელობა

რატომ შეარჩია მხატვარმა პრომეთეს სამოსისთვის ნარინჯისფერი? *(პრომეთემ ცეცხლი მოჰპარა ღმერთებს. ნარინჯისფერი – ცეცხლის ფერია)*

აქტივობა 4. **დაკვირვება, მსჯელობა**

დააკვირდი კლოდ მონეს პეიზაჟს.

- რა ფერები ჭარბობს სურათში?
- დააკვირდი დეტალს – რამდენნაირ ფერს ხედავ?
- წელიწადის რა დროა?
- როდის არის ბუნებაში ცა და წყალი ასეთი ფერის? *(მზის ჩასვლისას)*
- როგორ განწყობას გიქმნის სურათი და რატომ?

კლოდ მონე, „დაისი“

აქტივობა 5. შეჯამება

რა შეიტყვე ახალი ნარინჯისფერის შესახებ?

- მხიარულია თუ მოწყენილი?
- კაშკაშაა თუ ბნელი?
- ცივია თუ თბილი?
- ხმაურიანი თუ ჩუმი?
- მშვიდია თუ მღელვარე?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს ფერი?
- რას ფიქრობენ შენი მეგობრები?
- რით განსხვავდება თქვენი აზრი?

აქტივობა 6. პრაქტიკული სამუშაო

მასალა: მოსწავლის არჩევანით.

დახატე ნახატი, რომელიც პრომეთეს ამბავს ასახავს.

- რომელი ფერი იქნება მთავარი?

გაკვეთილი 5. ცეცხლის ფერები (მოსწ. წიგნი, გვ. 20-21)

აქტივობა 1. სამოტივაციო საუბარი

- დაჰკვირვებიხარ, როგორ იცვლიან ფერს ცა, ღრუბლები და ზღვა მზის ჩასვლისას?
- რა ფერები ირევა ცეცხლის ალში?

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

ინგლისელი მხატვარი უილიამ ტერნერი ღია ცის ქვეშ, ბობოქარ მოვლენებს ხატავდა.

დააკვირდით უილიამ ტერნერის ორ პეიზაჟს, რომლებზეც მხატვარმა ლონდონის პარლამენტის შენობის ხანძარი ასახა.

- რა განწყობას გიქმნიან ეს პეიზაჟები და რატომ?
- რომელი ფერია მთავარი?
- რა ფერები ირევა ცეცხლის ალში?

***დამატებითი აქტივობა:**

რესურსი:https://en.wikipedia.org/wiki/The_Burning_of_the_Houses_of_Lords_and_Commons#/media/File:Joseph_Mallord_William_Turner,_English_-_The_Burning_of_the_Houses_of_Lords_and_Commons,_October_16,_1834_-_Google_Art_Project.jpg

შეადარე ერთმანეთს ტერნერის სურათის ფერადი და შავ-თეთრი ილუსტრაციები.

- რა სხვაობა შენიშნე?
- როგორ განწყობას ქმნის შავ-თეთრი ილუსტრაცია?

დამატებითი სასაუბრო:

1834 წლის 16 ოქტომბრის საღამოს ინგლისის პარლამენტის შენობას ცეცხლი გაუჩნდა.

უამრავი ლონდონელი, მათ შორის მხატვარი უილიამ ტერნერი, უყურებდა, როგორ იწვოდა შენობა. ტერნერმა ნავი დაიქირავა და სხვადასხვა ადგილიდან აკვირდებოდა ხანძარს. უბის წიგნაკში, ფანქრითა და აკვარელით ის სწრაფად იხატავდა ნანახს. შემდეგ სახელოსნოში დაბრუნდა და ზეთის საღებავებით, ამ ამაღელვებელი მოვლენის ამსახველი რამდენიმე სურათი შექმნა. მან დახატა, როგორ შთანთქავს ოქროსფერ-ნარინჯისფერ-წითელი ალი შენობებს და როგორ ბატონობენ ცეცხლის ენები ცაზე. ცეცხლი მოწითალო-ნარინჯისფერ ანარეკლად ეფინება მდინარე ტემზას. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ვესტმინსტერის ხიდის თეთრი ქვები სიცხისგან დნება. ძლიერი ქარი ლურჯ-ნაცრისფერ კვამლში ახვევს ღამის ცას. გარშემო ხალხი შეკრებილა. სანახაობრივი, მაგრამ შემზარავი მოვლენა ვითარდება მათ და ჩვენს თვალწინ. ტერნერი გვიამბობს, რა უსუსურია ადამიანი სტიქიის წინაშე. ცეცხლი მძვინვარებს, ხალხი უმწეოდ დგას და გაოცებული უყურებს.

როგორ გგონიათ, რას ფიქრობდნენ და რას გრძნობდნენ ისინი?

წარმოიდგინეთ, რომ იქ ხართ. რას დაინახავდით, რა ხმებს გაიგონებდით, რის სუნს იგრძნობდით?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, სავარჯიშო

მასალა: გუაში, ფუნჯი, პალიტრა, წებო, მაკრატელი.

- პალიტრაზე დააწვეთე წითელი საღებავი.
- ფუნჯით დახატე პატარა წითელი წრე.
- გარეცხე ფუნჯი.
- პალიტრაზე წითელ საღებავს დაამატე ცოტა ყვითელი. რა ფერი მიიღე?
- შემოავლე წითელ წრეს ნარინჯისფერი ზოლი.
- გარეცხე ფუნჯი და ისევ დაამატე საღებავს ყვითელი.
- ასე დახატე მესამე და შემდეგ მეოთხე წრე.
- ბოლო წრე დახატე სუფთა ყვითელი საღებავით.
- გამოჭერი და დააწებე მზე ფერად ფონზე.
- მიახატე მზეს სხივები.



აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო

მასალა: აკვარელი, ფუნჯი, პალიტრა, სახატავი ფურცელი

აკვარელის საღებავის წითელი, ნარინჯისფერი და ყვითელი ფერებით დახატე პეიზაჟი „მზის ჩასვლა“. დამხმარე ფერად შეგიძლია იხმარო სხვა ფერებიც.

აქტივობა 5. დაკვირვება, მსჯელობა

როგორია უილიამ ტერნერის ნარინჯისფერი:

- მძიმე თუ მსუბუქი?
- მშვიდი თუ ბობოქარი?
- მხიარული თუ საშიში?

აქტივობის დამატებითი ეტაპი:

მოსწავლეებს რომ არ შეექმნათ მცდარი წარმოდგენა, რომ ნარინჯისფერი ზოგადად დამძაბველი ფერია, მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს მათ რაიმე სხვა ფერწერული ნამუშევარი (მაგალითად, ვინსენტ ვან გოგის „ფორთოხლები“, ან გურამ (ხიტა) ქუთათელაძის „პაპანაქება“, სადაც ნარინჯისფერი მზის შუქითა და ხალისით ავსებს სურათებს).

დამატებითი რესურსი:

https://www.pubhist.com/w15711

https://arthive.com/ru/artists/23052~Guram_Appolonovich_Kutateladze/works/608889~Zhara#show-work://608889

გურამ (ხიტა) ქუთათელაძე, „პაპანაქება“

ვინსენტ ვან გოგი, „ფორთოხლები“

გაკვეთილი 6. წითელი (მოსწ. წიგნი, გვ. 22-23)

სამოტივაციო საუბარი:

- რა გახსენდება, როდესაც წითელ ფერს ახსენებენ?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს სიტყვა შენში?
- რა არის შენ გარშემო წითელი ფერის?
- რას მიგანიშნებს წითელი ნათურა შუქნიშანზე?
- რატომ აქვს გამაფრთხილებელ საგზაო ნიშნებს წითელი ჩარჩო?
- რატომ არის ონკანის სახელურებიდან ერთი წითლად მონიშნული, მეორე კი ლურჯად?

ზოგჯერ სურათებში ისეთ ფერებს ვხედავთ, როგორსაც სინამდვილეში ვერ დავინახავდით.

თავისი გუნება-განწყობის გამოსახატავად მხატვარს შეუძლია წარმოსახვითი ფერებით გადმოგვცეს საკუთარი ემოცია და შთაბეჭდილება.

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი ემილ ნოლდეს პეიზაჟს „წითელი ნათება“.

- რომელი ფერია მთავარი?
- წითელი აქ მხიარულია თუ დაძაბული?
- რა შეიცვლებოდა, მხატვარს წითლის ნაცვლად ცივი ფერები რომ გამოეყენებინა? რა შეიცვლებოდა მკრთალი ფერები რომ ეხმარა?*(პეიზაჟი უფრო მშვიდი, ნაკლებად ამაღელვებელი იქნებოდა)*

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი ნიკო ფიროსმანაშვილის „მეთევზეს“.

- რომელმა ფერმა მიიქცია შენი ყურადღება?
- რა ფერის ფონზე დაკარგავდა სიკაშკაშეს წითელი პერანგი? *(თბილი ფერის ფონზე პერანგიცა და ქუდიც დაკარგავდნენ სიკაშკაშეს, მკაფიოობას)*
- შეცვლიდა თუ არა სურათის განწყობას ცისფერი ფონი?

- რა შეიცვლებოდა, მეთევზეს სხვა ფერის პერანგი რომ სცმოდა?
- წითელი აქ უბრალოა თუ საზეიმო? მყვირალაა თუ მშვიდი?

***დამატებითი აქტივობა: პრაქტიკული სამუშაო, ცდა, დაკვირვება, შედარება**
მასალა: სახატავი ფურცელი, უბრალო ფანქარი, საღებავები.

გადახატეთ ნიკო ფიროსმანაშვილის მეთევზე უბრალო ფანქრით და გააფერადეთ ფონი და პერანგი დედნისგან განსხვავებული ფერებით. შემდეგ გვერდიგვერდ გამოფინეთ და შეადარეთ დედანს.
*ასევე, შესაძლებელია ამავე აქტივობის ჩატარება ციფრული მედიის გამოყენებით.

აქტივობა 3. დაკვირვება, მსჯელობა.
დააკვირდი ქეთი ბენაშვილის და მარიანა ვერიოვკინას სურათებს.
- რა განწყობას ქმნის წითელი ფერი?
- რა შეიცვლებოდა, მხატვრებს სურათები ბუნებრივი ფერებით რომ დაეხატათ?

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო
მასალა: საღებავები მოსწავლის არჩევანით.
დახატე სურათი წითელი ფერის საღებავებით.
- რა ფერებს დაამატებ სურათს ხალისიანი განწყობა რომ შემატო?
- რომელი ფერით გაამძაფრებ სევდიან განწყობას?

გაკვეთილი 7. კაშკაშა წითელი (მოსწ. წიგნი, გვ. 24-25)

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა
დააკვირდი ანრი მატისის სურათებს.
- რა ფერებს ხედავ?
- რომელი ფერია მთავარი?
- რა ფერისაა ფონი?
- რა განწყობას ქმნის წითელი ფერი?
- რომელ სურათში აჯობა ყვითელმა ფერმა წითელს სიკაშკაშით?
- რა შეიცვლებოდა, მხატვარს წითლის ნაცვლად ცივი ფერები რომ ეხმარა?
- წითელი მხიარულია თუ სევდიანი?

აქტივობა 2. სახელოსნო, ცდა
მასალა: ფერადი ქაღალდები, წებო, მაკრატელი, შავი მარკერი.

რომელი ფერები უხდება წითელს?

ჩაატარე ცდა

1. დაჭერი ფერადი ფურცლები თანაბარი ზომის ოთხკუთხედებად.
2. დაალაგე ერთმანეთის მოშორებით და დააწებე ოთხკუთხედები წითელ ქაღალდზე.

3. გამოჭერი ოთხკუთხედები ისე, რომ ყოველ ფერს წითელი ჩარჩო დაუტოვო.

4. დააკვირდი ყოველ ოთხკუთხედს.

- რომელი ფერი გამოჩნდა წითელ ფონზე მკაფიოდ? *(მკაფიოდ გამოჩნდა შავი და ღია ფერის კვადრატები)*
- რომელი დაიკარგა? *(დაიკარგა ყავისფერი, იისფერი, ნარინჯისფერი)*

5. შემოავლე ყოველ ფერად ოთხკუთხედს შავი კონტური.

- რა შეიცვალა? *(შავმა კონტურმა მკაფიოდ გამოაჩინა ყველა ფერი, გარდა შავისა და მუქი ფერებისა. მუქ ფერებზე კონტური დაიკარგა)*

6. წითელი ქაღალდის პაწაწუნა ნაჭრები დააწებე ფერად ოთხკუთხედებზე.

- რა ფერის ფონზე გამოჩნდა წითელი კოპლები მკაფიოდ?
- რა შეიცვლება, თუ კოპლებს შავ კონტურებს შემოავლებ? *(ღია ფერებზე კონტური კოპლებს უფრო მკაფიოდ გამოაჩენს, ხოლო მუქ ფერებზე კონტური დაიკარგება)*

7. ჩააკარი ნიმუშები რვეულში და მიაწერე დაკვირვების შედეგები.

აქტივობა 3. შეჯამება

რა შეიტყვე ახალი წითელი ფერის შესახებ?

დაახასიათე წითელი ფერი:

- მორცხვია თუ თამამი?
- უბრალოა თუ საზეიმო?
- ჩუმია თუ მყვირალა?
- კაშკაშაა თუ ბნელი?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს ფერი?
- რას ფიქრობენ შენი მეგობრები? რით განსხვავდება თქვენი აზრი?

გაკვეთილი 8. იისფერი (მოსწ. წიგნი, გვ. 26-27)

სამოტივაციო საუბარი:

გაიხსენე:

- რა არის ბუნებაში იისფერი?
- ყველა იისფერი ერთნაირია?
- რა გახსენდება პირველ რიგში, როცა გესმის სიტყვა იისფერი?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს სიტყვა შენში?
- რა არის შენ გარშემო იისფერი?

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

გაიხსენე:

- რომელი ფერის მსგავსია იისფერი? *(წითლისა და ლურჯის)*
- იისფერი ცივია თუ თბილი? *(მოწითალო იისფერი თბილია, ხოლო მოლურჯო – ცივი)*
- ძირითადია თუ შედგენილი? *(შედგენილი, რადგან ის წითლისა და ლურჯის ნაზავია)*

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი ფერების განტოლებას.

თუ იისფერი საღებავი არ გაქვს, რა ფერებით მიიღებ მას? *(ლურჯისა და წითლის ნაზავით)*

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ცდა

მასალა: წითელი და ლურჯი ფერის პასტელი

ჩაატარე ცდა.

- წითელი პასტელით დახატე და გააფერადე წრე.
- ხელმეორედ გააფერადე წრე ლურჯი პასტელით.
- რა მოხდა? *(მივიღე იისფერი)*

აქტივობა 4. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი მარკ შაგალის სურათს „იისფერი პეიზაჟი“ და მოყევი, რას ხედავ.

- რომელი ფერია მთავარი? *(იისფერი)*
- კიდევ რა ფერებს ხედავ? *(მწვანეს, ყვითელს, თეთრს, შავს)*
- სურათიდან სითბო მოდის თუ სიცივე? *(სიცივე)*
- რა განწყობას გიქმნის ეს სურათი?
- რა არის ამ სურათში უჩვეულო? *(ყვავილებიანი ქოთანი ცაში დაფრინავს, ადამიანები სახლებზე დიდები არიან)*

აქტივობა 5. პრაქტიკული სამუშაო

მასალა: გუაში, ფუნჯი, ბამბიანი ჩხირი, სახატავი ფურცელი.

დახატე იასამნის ტოტები.

- გაანაწილე პალიტრის ფოსოებში იისფერი გუაში.
- პირველს შეურიე ერთი წვეთი თეთრი. მეორეს ორი წვეთი. მესამეს – ოდნავ მეტი. მეოთხეს და მეხუთეს კი დაუმატე ცოტა ლურჯი და ცოტა წითელი. ასე მიიღებ სხვადასხვა იისფერს, ღიადან მუქამდე.
- ბამბიანი ჩხირით (ან თითით) ფურცელზე დასვი პატარა ლაქები – დახატე იასამნის ყვავილები.
- თაიგულს ფუნჯით მიუხატე რამდენიმე ფოთოლი.

აქტივობა 6. შეჯამება
რა შეიტყვე ახალი იისფერის შესახებ?
დაახასიათე იისფერი.
- ჩუმია თუ მყვირალა?
- მხიარულია თუ სევდიანი?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს ფერი?
- კიდევ რას ვეძახით ამ ფერს? *(იასამნისფერს)*
- რას ფიქრობენ შენი მეგობრები?
- რით განსხვავდება თქვენი აზრი?

გაკვეთილი 9. იისფერი სამყარო (მოსწ. წიგნი, გვ. 28-29)

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა
დააკვირდი ერნსტ ლუდვიგ კირხნერის სურათებს.
მოყევი რას ხედავ. *(პეიზაჟებს – მთები, ტყე, ბილიკზე ცხენი მარხილით)*
- რომელი ფერია მთავარი? *(იისფერი)*
- კიდევ რა ფერებს ხედავ? *(ლურჯს, მწვანეს, ყვითელს, ნარინჯისფერს)*

როგორია კირხნერის იისფერი:
- დაძაბული თუ წყნარი?
- მძიმე თუ მსუბუქი?
- მყვირალა თუ ჩუმი?
- უხეში თუ ნაზი?

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა
დააკვირდი ერნსტ ლუდვიგ კირხნერის სურათებს.
- რა განწყობას გიქმნიან ეს სურათები?
- რა შეიცვლებოდა სურათებში, მხატვარს იისფერის ნაცვლად მწვანე ფერის საღებავები რომ ეხმარა?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, სავარჯიშო
მასალა: ფერადი ფანქრები, სახატავი ფურცელი.

პატარა კვადრატი გააფერადე წითელი და ლურჯი ფანქრებით.
- რა ფერი მიიღე?

დახატე მეორე კვადრატი და გააფერადე ორი ფენა ლურჯით და ერთი ფენა წითლით.
დახატე მესამე კვადრატი და გააფერადე ორი ფენა წითლით და ერთი ფენა ლურჯით.
- რა გამოვიდა?
- რა განსხვავებას ხედავ?
- რომელი კვადრატია უფრო თბილი, რომელია უფრო ცივი და რატომ? *(ორი ფენა ლურჯით დაფერილი კვადრატი უფრო ცივია, იმიტომ, რომ ლურჯი ჭარბობს და ის ცივი ფერია; ხოლო ორი ფენა წითლით დაფერილი – უფრო თბილია)*

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა შერეული ტექნიკით
მასალა: აკვარელი, პალიტრა, ფუნჯი, სახატავი ფურცელი, პასტელი, ნახშირი ან მუქი ფერის მარკერი.

შერეული ტექნიკით დახატე ზამთრის პეიზაჟი.

- პალიტრაზე წინასწარ შეზავებული აკვარელის მოლურჯო და მოწითალო იისფერებით დაფერე ქაღალდის ზედა ნახევარი.
- ქვედა დატოვე ხელუხლებლად. ეს დათოვლილი მიწა იქნება.
- როდესაც საღებავი გაშრება, იისფერი პასტელით მონიშნე მთების კონტურები.
- ნახშირით, მუქი ფერის პასტელით ან მარკერით დახატე რამდენიმე ხე შიშველი ტოტებით.
- იისფერი აკვარელით თოვლზე მონიშნე ხეების მკრთალი ჩრდილები.

აქტივობა 5. შეჯამება
რა შეიტყვე ახალი იისფერის შესახებ?
დაახასიათე იისფერი.

- თამამია თუ მორცხვი?
- ჩუმია თუ მყვირალა?
- ცელქია თუ დინჯი?
- მხიარულია თუ სევდიანი?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს ფერი?
- რას ფიქრობენ შენი მეგობრები? რით განსხვავდება თქვენი აზრი?

გაკვეთილი 10. ლურჯი (მოსწ. წიგნი, გვ. 30-31)
სამოტივაციო საუბარი:
გაიხსენე:

- რა არის ლურჯი ბუნებაში?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს ფერი შენში?
- რას ფიქრობენ შენი მეგობრები?
- რით განსხვავდება თქვენი აზრი?

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

- გაიხსენე, პირველად რა გაგონდება ლურჯის ხსენებაზე? *(ცა, ზღვა...)*
- ყველა ლურჯი ერთნაირია?

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა
დააკვირდი გიორგი მირზაშვილის და მარტიროს სარიანის პეიზაჟებს.
აღწერე რას ხედავ.

- დილაა თუ საღამო?
- რა ნიშნით მიხვდი?
- რამდენნაირ ლურჯს ხედავ?
- უხდება თუ არა ერთმანეთს სხვადასხვა ლურჯი?
- რა შეგრძნებას იწვევს ლურჯი ფერი?

აქტივობა 3. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი რაულ დიუფის და გოგი ჩაგელიშვილის პეიზაჟებს.

აღწერე რას ხედავ.

- რა ფერები გამოიყენეს მხატვრებმა?
- ამ სურათებში გრილა თუ ცხელა?
- რა ხმები ისმის ამ სურათებში?
- რომელი სხვა ფერი ჩანს ლურჯ ფონზე ყველაზე მკაფიოდ?

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

მასალა: გუაშის საღებავები, ფუნჯი, პალიტრა, სახატავი ფურცელი.

დახატე პეიზაჟი ლურჯი ფერის საღებავებით. გამოიყენე სხვადასხვა სიმუქის ლურჯი. ცისფერის მისაღებად შეურიე ლურჯს თეთრი საღებავი.

დაფიქრდი, როგორ შეიძლება ლურჯის გამუქება.

გაკვეთილი 11. ლურჯი და განწყობა (მოსწ. წიგნი, გვ. 32-33)

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი ედვარდ მუნკის სურათებს.

- მოყევი რას ხედავ.
- რომელი ფერია მთავარი?
- კიდევ რა ფერები გამოიყენა მხატვარმა?
- აქ სიცივეა თუ სითბო?
- დილაა თუ საღამო?
- რატომ ფიქრობ ასე?
- რა განწყობას იწვევს ეს სურათები და რატომ?
- რა განწყობას ასახავს გოგონას პოზა?
- რა შეიცვლებოდა, ეს სურათები რომ სხვა ფერის ყოფილიყო?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა, შედარება

მასალა: გუაში, ფუნჯი, პალიტრა, სახატავი ფურცელი.

უბრალო ფანქრით გადაიხატე ედვარდ მუნკის ერთ-ერთი სურათი.

- დაფერე ის თბილი ფერებით.
- რა განწყობაა შენს სურათში?
- რა განსხვავება შენიშნე შენსა და მუნკის სურათებს შორის?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

მასალა: გუაში ან აკვარელი, ფუნჯი, პალიტრა, სახატავი ფურცელი

- დახატე ორი ერთნაირი სურათი. ერთი თბილი, მეორე – ლურჯი საღებავებით.
- რა განსხვავება შენიშნე?

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, ცდა

მასალა: ფერადი ქაღალდები, წებო, მაკრატელი, შავი ფერის მარკერი.

რომელი ფერები უხდება ლურჯს?

ჩაატარე ცდა:

1. დაჭერი ფერადი ფურცლები თანაბარი ზომის ოთხკუთხედებად.
2. დაალაგე ერთმანეთის მოშორებით და დააწებე ოთხკუთხედები ლურჯ ქაღალდზე.

3. გამოჭერი ოთხკუთხედები ისე, რომ ყოველ ფერს ლურჯი ჩარჩო დაუტოვო.



4. დააკვირდი ყოველ ოთხკუთხედს.
- რომელი ფერი გამოჩნდა ლურჯ ფონზე მკაფიოდ?
- რომელი დაიკარგა?

5. შემოავლე ყოველ ფერად ოთხკუთხედს შავი კონტური.

- რა შეიცვალა?
- დაემჩნა შავი კონტური ლურჯ ფონს? *(არა)*
- როგორ ფიქრობ, რატომ? *(ლურჯი და შავი – ორივე მუქი ფერია)*

6. ლურჯი ქაღალდის პაწაწუნა ნაჭრები დააწებე ფერად ოთხკუთხედებზე.

- რა შეიცვალა?
- რომელი ფერის ფონი მოუხდა ლურჯ კოპლებს?
- ჩააკარი ნიმუშები რვეულში და მიაწერე დაკვირვების შედეგები.

აქტივობა 5. შეჯამება

რა შეიტყვე ახალი ლურჯის შესახებ?

დაახასიათე ლურჯი:

- თამამია თუ მორიდებული?
- ცივია თუ თბილი?

- ცელქია თუ დინჯი?
- მხიარული თუ სევდიანი?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს ფერი?
- რას ფიქრობენ შენი მეგობრები?
- რით განსხვავდება თქვენი აზრი?

გაკვეთილი 12. მწვანე (მოსწ. წიგნი, გვ. 34-35)

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება
გაიხსენე:
- რა არის მწვანე ბუნებაში?
- რა გახსენდება პირველ რიგში, როცა გესმის სიტყვა მწვანე?
- რა შეგრძნებას იწვევს ეს სიტყვა შენში?
- რა არის შენ გარშემო მწვანე?ყველა მწვანე ერთნაირია? *(ზოგი ღიაა ან ხასხასა, ზოგი მუქი)*
- რომელი ფერის მსგავსია?
- მწვანე ცივია თუ თბილი? *(თუ მწვანეში მეტი ყვითელი ურევია, ის უფრო მოთბოა, ხოლო თუ მეტი ლურჯი ურევია, მაშინ ცივია)*
- ძირითადია თუ შედგენილი? *(შედგენილი)*

აქტივობა 2. დაკვირვება
დააკვირდი ფერების განტოლებას.
თუ მწვანე საღებავი არ გაქვს, რა ფერებით შეგიძლია მიიღო *იგი? (ლურჯის და ყვითლის შერევით)*

აქტივობა 3. სავარჯიშო
მასალა: ლურჯი და ყვითელი პასტელი, სახატავი ფურცელი
- ფურცელზე ლურჯი პასტელით დახატე და გააფერადე წრე.
- გადაუსვი წრეს ყვითელი პასტელი.
- რა მოხდა?

აქტივობა 4. დაკვირვება, მსჯელობა
დააკვირდი ბრიტანელი მხატვრის დევიდ ჰოკნის სურათებს.
- რა დახატა მხატვარმა? *(პეიზაჟი)*
- რა ფერები ჭარბობს სურათში?
- კიდევ რა ფერებს ხედავ?
- აქ სიცხეა თუ სიგრილე? რატომ ფიქრობ ასე?
- წარმოიდგინე, როგორი სურნელი შეიძლება იდგეს ასეთ ადგილას?
- რა ხმები შეიძლება ისმოდეს ასეთ გარემოში?
- რა განწყობას გიქმნის სურათი?
- როგორია ჰოკნის მწვანე – მძიმე თუ მსუბუქი? მხიარული თუ სევდიანი?
- წელიწადის რა დროსაა ფოთლები ასე ხასხასა?
- რა ფერები შეურია მხატვარმა მწვანეს მისი სხვადასხვა ელფერის მისაღებად?

აქტივობა 5. შეჯამება

რა შეიტყვე ახალი მწვანეს შესახებ?

დაახასიათე მწვანე:

- თამამია თუ მორიდებული?
- ცივია თუ თბილი?
- ცელქია თუ დინჯი?
- მხიარული თუ სევდიანი?
- რა შეგრძნებას იწვევს მწვანე ფერი?
- რას ფიქრობენ შენი მეგობრები?
- რით განსხვავდება თქვენი აზრი?

აქტივობა 6. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

მასალა: გუაშის საღებავები, ფუნჯი, პალიტრა, სახატავი რვეული

დახატე გაზაფხულის პეიზაჟი სხვადასხვა სიმუქის მწვანე საღებავებით.

- რა ფერით გააღიავებ მწვანეს?
- პალიტრის სამ ფოსოში დააწვეთე ცოტაოდენი მწვანე გუაში.
- სხვადასხვანაირი მწვანის მისაღებად შეურიე ერთს თეთრი, მეორეს ყვითელი, მესამეს კი ცოტაოდენი ლურჯი.

გაკვეთილი 13. მწვანე სამყარო (მოსწ. წიგნი, გვ. 36-37)

სამოტივაციო საუბარი:

ბუნებაში ყველაფერი: ჰაერი, წყალი, მცენარეები სუნთქავს და მოძრაობს.

ფრანგი მხატვარი პოლ სეზანი ფერწერულ სურათში სწორედ ამ სუნთქვას და მოძრაობას გადმოგვცემს. გვერდიგვერდ დადებული მონასმები სურათზე თითქოს ცოცხლდებიან, ლივლივებენ, ერთმანეთთან თამაშს იწყებენ. წყალში არეკლილი ცა მწვანეს მოლურჯო, ცივ ელფერს აძლევს. ნაირნაირ მწვანეებს ერთმანეთთან გადაძახილი აქვთ.

ხედავ, როგორ ამდიდრებენ ერთმანეთს ფერის ბორბალზე მეზობლად მცხოვრები ფერები?

წინარე ცოდნის გააქტიურება

რა ფერი გახსენდება პირველ რიგში, როდესაც გესმის სიტყვა „ბუნება“?

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი პოლ სეზანის პეიზაჟს. (ბოლო შეკითხვაზე პასუხის გასაცემად იხ. დევიდ ჰოკნის პეიზაჟები წინა განშლაზე)

- რამდენნაირ მწვანეს ხედავ?
- რა შეგრძნებას გიქმნის ეს სურათი? *(სიგრილის)*
- რით განსხვავდება სეზანის მწვანე ჰოკნის მწვანისგან?

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი პოლ სეზანის სურათს.

- რა დახატა მხატვარმა? *(ვაშლები)*
- რა ჰქვია ასეთ სურათს? *(ნატურმორტი)*
- რომელი ფერია მთავარი? *(მწვანე)*

მართალია, მხატვარმა სხვა ფერებიც გამოიყენა, სურათი მთლიანობაში მაინც მწვანედ აღიქმება.

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, სავარჯიშო
მასალა: გუაშის საღებავები, პალიტრა, ფუნჯი, სახატავი ქაღალდი.

ნიმუშის მსგავსად, დაკეცე ფურცელი სიგანეზე ერთხელ და სიგრძეზე რამდენჯერმე.

- დაფერე ზედა რიგის პირველი უჯრა ლურჯი ფერის საღებავით.
- დაფერე ქვედა რიგის პირველი უჯრა ყვითელი ფერის საღებავით.
- დაფერე ორივე რიგის ბოლო უჯრები მწვანე ფერის საღებავით.
- ზედა რიგის უჯრები შეავსე ლურჯი და მწვანე ფერების ნაზავით.
- ქვედა რიგის უჯრები დაფერე ყვითელი და მწვანე ფერის ნაზავით.
- როგორ გაალურჯებ მწვანეს?
- როგორ გაამწვანებ ყვითელს?

ეტაპი III – შემაჯამებელი დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე)
წინარე ცოდნის გააქტიურება, მიღებული ცოდნისა და უნარების შეჯამება:
როცა მხიარულ განწყობაზე ხარ, გარშემო ყველაფერი კაშკაშაა და ნათელი.
თუ სევდა შემოგერევა, ფერებიც მოიწყენენ, ჩაქრებიან, ჩამუქდებიან.

- შენ უკვე იცი, რა თვისებები აქვთ ფერებს.
- იცი, რა შეგრძნებას იწვევენ თბილი და ცივი ფერები.
- იცი, რომელი ფერით შეგიძლია გადმოსცე დაძაბულობა, სიმშვიდე, მოწყენილობა ან მხიარულება.
- იცი, როგორ ააჟღერო ფერი სხვა ფერების ფონზე.
- იცი, როგორ გააღიავო ან გაამუქო, დაათბო ან გააგრილო ფერი.

ფერებს შეუძლიათ გადმოსცენ ის, თუ რას გრძნობს ადამიანი, როგორ აღიქვამს ის გარემოს.
ფერებით შეგიძლია გადმოსცე შენი გუნება-განწყობა.

დახატე პეიზაჟი, რომელიც ფერებით შენს გუნება-განწყობას ასახავს. შეაზავე საღებავები, გამოიყენე ღია და მუქი, ცივი და თბილი ფერები.

- დაფიქრდი, რას დახატავ?
- რა და რა ფერებით დახატავ?
- როგორი ფერებით დახატავ?
- რომელი ფერი გამოხატავს შენს განწყობილებას?
- რა ხერხებით გადასცემ ამინდს?
- რომელი ფერი იქნება მთავარი?
-

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რა დახატე?
- რა განწყობის გადმოცემა გსურდა?

- როგორი ფერებით გამოხატე ეს განწყობა?
- რა ხერხებით გადმოეცი ამინდი?
- როგორ მიიღე ფერის საჭირო ჟღერადობა?
- შენს პეიზაჟზე ცივა თუ თბილა?

შემაჯამებელი დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით:

<table>
<tr><td colspan="2">თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო
თემა: ბუნების პალიტრა
მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____
სამიზნე ცნება 1: იდეა და სახვითი ენა
ქვეცნებები: ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი); ფონი.
სამიზნე ცნება 2: ტექნიკა
ქვეცნებები: ხატვა
სამიზნე ცნება 3: დარგები და ჟანრები
ქვეცნებები: მხატვრობა, პეიზაჟი</td></tr>
<tr><td colspan="2">პეიზაჟი „ჩემი სამყაროს ფერები“
დახატე პეიზაჟი, რომელშიც ცივი, თბილი, მკრთალი ან კაშკაშა ფერებით გადმოსცემ ამინდსა და შენს გუნება-განწყობას.</td></tr>
<tr><td>SOLO ტაქსონომიის დონე:
აბსტრაქტული:
მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.</td><td>დავალების პირობის თანახმად, ქმნის ორიგინალურ პეიზაჟს ამინდისა და გუნება-განწყობის გამომხატველი ფერებით. განასხვავებს სხვადასხვა განწყობის (სევდიანი, მხიარული, დაძაბული, მშვიდი...) შესაბამის ფერსა და ტონს (ძირითადი, შედგენილი, ცივი, თბილი, კაშკაშა, მკრთალი...) და აკავშირებს მათ საკუთარ გუნება-განწყობასთან. ესმის, რა ფერის ფონზე გამოჩნდება გამოსახულება უკეთ და პეიზაჟის ყველა ელემენტს უკეთებს შესაბამის ფონს. გააზრებულად იყენებს მასალის შესაძლებლობებს და ქმნის ნამუშევარს მასალის შესაბამისი ტექნიკით. მრავალფეროვანი ფერების მისაღებად აღიავებს და ამუქებს ყველა გამოყენებულ საღებავს. წარდგენისას გამოხატავს საკუთარ ემოციებს; მსჯელობისას გამოკვეთს მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ყველა ასპექტს; ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ყველა ეტაპზე.
ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის პეიზაჟს,ამინდისა და გუნება-განწყობის გამომხატველი, ცივი და თბილი, კაშკაშა და მკრთალი ფერებით. ესმის, რა ფერის ფონზე გამოჩნდება გამოსახულება უკეთ და პეიზაჟის რამდენიმე ელემენტს უკეთებს შესაბამის ფონს. გააზრებულად იყენებს მასალას და ქმნის ნამუშევარს მასალის შესაბამისი ტექნიკით. რამდენიმე საჭირო ფერის მისაღებად აზავებს – აღიავებს და ამუქებს საღებავებს. წარდგენისას გამოხატავს საკუთარ ემოციებს; მსჯელობისას ცდილობს მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი რამდენიმე ასპექტის გამოკვეთას; საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და მუშაობის პროცესის ძირითად ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს რამდენიმე საგნობრივ ტერმინს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	დავალების პირობის თანახმად, ხატავს პეიზაჟის ორიოდ ელემენტს. განასხვავებს და იყენებს ცივ და თბილ ფერებს. ესმის, რა ფერის ფონზე გამოჩნდება გამოსახულება უკეთ და პეიზაჟის ორიოდ ელემენტს უკეთებს შესაბამის ფონს. მასწავლებლის მითითებით იყენებს მასალას და ქმნის ნამუშევარს შესაბამისი ტექნიკით. ღია ან მუქი ფერის მისაღებად აზავებს საღებავებს. წარდგენისას ცდილობს მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ერთი ასპექტის გამოკვეთას; აღწერს საკუთარ ნამუშევარს, ჩამოთვლის გამოყენებულ მასალას. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	დავალების პირობის თანახმად, ხატავს პეიზაჟის ერთ ელემენტს. იყენებს, მაგრამ ვერ განასხვავებს ცივ და თბილ ფერებს. იყენებს მხოლოდ მზა ფერებს, ვერ აზავებს მათ საჭირო ფერის მისაღებად. უჭირს ფონის მნიშვნელობის გააზრება. უჭირს მასალის შესაბამისი ტექნიკის გამოყენება. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს და ჩამოთვლის გამოყენებულ მასალას. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ ვერ იყენებს მათ ნამუშევრის წარდგენისას.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

II თემა: მხატვრის დღიური

სამიზნე ცნებები:

I-IV კლასები	
სამიზნე ცნება	
იდეა და სახვითი ენა	**სახვითი ენა:** **სახვითი საშუალებები –** ხაზი (სხვადასხვა ტიპის: სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური, შტრიხი). **ფაქტურა.**
ტექნიკა	**ხატვა.**
დარგები და ჟანრები	**დარგები:** მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა)
საკითხი: ჩვენი ყოველდღიური შთაბეჭდილებები ნახატებით შეგვიძლია გადმოვცეთ. **საკვანძო შეკითხვები:** • როგორ დავიხმარო მხატვრობა ნანახის უკეთ დასამახსოვრებლად? • როგორ შემიძლია ნახატით ამბის თხრობა ან შთაბეჭდილების გადმოცემა? • როგორ გამოვიყენო ჩანახატი და ესკიზი იდეის განსახორციელებლად ჩანაფიქრიდან საბოლოო ნამუშევრამდე?	

შემაჯამებელი დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – შემაჯამებელი დავალების პირობის გაცნობა:

„ჩემი უბის წიგნაკი“

დააკვირდი შენთვის ჩვეულ გარემოს და გააკეთე ნანახი ამბის სამახსოვრო ჩანახატი. საჭიროებისამებრ, გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, კონტური და შტრიხი. ჩანახატის საფუძველზე დახატე ფერადი სურათი.

აჩვენე შენი ჩანახატი და სურათი მეგობრებს.

- რა ამბავი დახატე?
- როგორი ხაზები გამოიყენე?
- რა გამოკვეთე კონტურით?
- რა შეცვალე საბოლოო ნამუშევარში?

***მინიშნება მასწავლებელს:**

თუ მოსწავლე რამდენიმე ჩანახატს გააკეთებს, დაეხმარეთ მას ერთ-ერთის შერჩევაში საბოლოო ნამუშევრის დასახატავად.

შემაჯამებელი დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- აკვირდები, რამდენი საინტერესო რამ ხდება გარშემო, შენთვის ჩვეულ გარემოში?
- რა იპყრობს ხოლმე შენს ყურადღებას შენთვის ჩვეულ გარემოში?
- გიცდია ამ ამბების დახატვა?

რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალების განსახორციელებლად:

მოსწავლეებს თემის დავალებას გააცნობთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.

ა) კონტექსტმაგალითის დათვალიერება, მასზე საუბარი (მოსწავლეებს გადააშლევინეთ მოსწავლის წიგნი 42-43, 52-53, 56-57-ე გვერდებზე, სადაც კონტექსტმაგალითებია მოცემული და ამსჯელეთ მათზე შეკითხვების დახმარებით).

შეკითხვის ნიმუშები:

- რომელ ნახატზე ხედავთ მოსამზადებელ ჩანახატს და რომელზე – საბოლოო ნამუშევარს?
- თქვენი აზრით, რა განსხვავებაა მათ შორის?
- როგორ ფიქრობთ, რისთვის აკეთებენ მხატვრები წინასწარ ჩანახატებს?

ბ) დავალების პირობის გაცნობა. მოსწავლეებს ვეტყვით: „თემის დასრულების შემდეგ უნდა შეასრულოთ ასეთი დავალება: უნდა გააკეთოთ თქვენთვის ჩვეულ გარემოში შემჩნეული რაიმე ამბის სწრაფი ჩანახატი. შემდეგ ამ ჩანახატის მიხედვით დახატავთ საბოლოო ნამუშევარს.

იმისათვის, რომ ეს შეძლოთ, გაიგებთ, რა არის და რისთვის აკეთებენ ხელოვანები წინასწარ ჩანახატს და ესკიზს; რა მასალებით იქმნება ასეთი ნამუშევრები; როგორ შეიძლება სხვადასხვა ტიპის ხაზებით ნანახის გადმოცემა.

რესურსები შემაჯამებელი დავალების განსახორციელებლად:

სახელმძღვანელო, გაკვეთილები: 14-24 (მოსწ. წიგნი, გვ. 42-65)

ილუსტრაციები:

ალბრეხტ დიურერი, რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი, ჟოან მირო, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი, დევიდ ჰოკნი, ედუარდ მანე, პოლ სეზანი, პაბლო პიკასო, თემო მაჭავარიანი, ვინსენტ ვან გოგი, როგირ ვან დერ ვეიდენი, ედგარ დეგა, პიტ მონდრიანი, პიერ ბონარი, ანრი მატისი, ჟორჟ სიორა, პოლ გოგენი, კრისტოფორო დე კასტელი, ეჟენ დელაკრუა, მაქს ერნსტი, პაულ კლეე.

ინტერნეტ-რესურსები:

ტელესკოლა. I-II კლ. რა შეუძლია ხაზს? https://www.youtube.com/watch?v=vNvVRqmFxJM

შემაჯამებელი დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

გაიხსენე:

- რას ხედავ საინტერესოს გზად სკოლიდან სახლისკენ?
- რა გხვდება ამ გზაზე უჩვეულო ან თუნდაც ჩვეული?
- რას ხედავ ისეთს, რისი დამახსოვრებაც გინდა?
- რა შეუძლიათ ხაზებს, შტრიხებს, კონტურსა და ლაქას?
- როგორ გამოიყენებ მათ შესაძლებლობებს შენი უბის წიგნაკის ჩანახატებში?

ეტაპი II – შემაჯამებელ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. **დარგები და ჟანრები: ქვეცნება: მხატვრობა (გრაფიკა).**

რესურსები: გაკვეთილები 14 (ჩანახატი), 15 (გრაფიკა) (მოსწ. წიგნი, გვ. 42-45).

გრაფიკის რაობის გაცნობა, გრაფიკასა და ფერწერას შორის განსხვავების გაცნობიერება, გრაფიკული ნამუშევრის ამოცნობის უნარი, ჩანახატის მნიშვნელობის გააზრება.

გაკვეთილი 14. ჩანახატი (მოსწ. წიგნი, გვ. 42-43).

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

ადრე ტელეფონის ნაცვლად, ჯიბეში უბის წიგნაკებს ატარებდნენ. რა აღარ ეწერა შიგ – მისამართები, რეცეპტები, გამონათქვამები, ყველაფერი ის, რაც არ უნდა დაგავიწყდეს.

მხატვრებს უბის წიგნაკები დღესაც თან დააქვთ. უბის წიგნაკში იხატავენ იმას, რაც უცებ დაინახეს და მოეწონათ – კუთხეში მიყუდებული ქოლგა, ტოტზე შემომჯდარი ჩიტი, იების გამყიდველი თუ ველოსიპედით მოსეირნე ბავშვი. ასე უკეთ ამახსოვრდებათ ნანახი. მერე, ჩანახატი შეიძლება დიდ სურათად გადაიქცეს. შენც ატარე თან ფანქარი და უბის წიგნაკი. გააკეთე ჩანახატები, ჩანაწერები. ეს შენი დასურათებული დღიური იქნება, დანახული ამბების „სკივრი“.

ერთი მხატვარი იხსენებს, რომ ბავშვობაში ძალიან მორცხვი იყო და უჭირდა სხვებისთვის შთაბეჭდილებების გაზიარება. ის უბის წიგნაკში აკეთებდა ჩანახატებს. ეს პატარა რვეული მისი აზრების ერთადერთი მესაიდუმლე ყოფილა. როდესაც გაიზარდა, აღმოჩნდა, რომ მისი ნახატები გარშემო ბევრი ადამიანისთვისაა საინტერესო.

სხვა მხატვარი იხსენებს, რომ ბავშვობაში უყვარდა უბის წიგნაკში, ხაზებითა და მონასმებით თამაში. აკვირდებოდა, როგორ კვალს ტოვებდა ფანქრის ან ფუნჯის წვერი ფურცელზე, რა სასიამოვნო იყო ხაზებით და მონასმებით თამაში! ის აკვირდებოდა, როგორ „წყინდა“ ზოგ ფერს სხვა ფერის გვერდით ყოფნა და იბუტებოდა, ან პირიქით, როგორ „უხაროდათ“ ფერებს გვერდიგვერდ მოკალათება; როგორ გადაიქცეოდა ხაზი ფიჭვის ჩხვლეტია წიწვად, ან მონასმი – თევზის მოქნეულ კუდად.

და სულაც არაა აუცილებელი, უბის წიგნაკში გაკეთებული ჩანახატი იყოს დასრულებული, სუფთა და უშეცდომო. ეს შენი სავარჯიშო რვეულია, უცბად ჩანიშნული იდეების კრებული. უბის წიგნაკში შეგიძლია მოსინჯო ნახატის სხვადასხვა ვარიანტი, ცვალო გამოსახულებების განლაგება და საბოლოოდ, ამოირჩიო საუკეთესო. ასევე, შეგიძლია გააკეთო ჩანაწერი, ჩააკრა ფოტო ან ილუსტრაცია და იქვე გადაიხატო.

და რაც მთავარია, ის, რასაც უბის წიგნაკში იხატავ ან იწერ, მხოლოდ შენთვისაა და არა სხვისთვის საჩვენებლად.

ჩანახატების სახით პიკასომ უამრავი დრო დახარჯა თავისი შედევრების გულდასმით დაგეგმვაში. მისი ალბომები სავსე იყო იდეებით, დეტალებით და არცერთი არ იყო განკუთვნილი ვინმესთვის საჩვენებლად, გამოსაფენად. ამ ცდებში იბადებოდა ის მიგნებები, რომლებიც მხატვარს საბოლოო ნამუშევარში გადაჰქონდა. ასე ეძებდა პიკასო იმ მხატვრულ ხერხებს, რომლითაც უკეთ გადმოსცემდა სათქმელს. მისი ჩანახატების დათვალიერება დღეს იმითაა ჩვენთვის საინტერესო, თვალი ვადევნოთ მხატვრის შემოქმედებით პროცესს, იმ გზას, რომელიც სურათმა ჩანაფიქრიდან საბოლოო ვერსიამდე განვლო.

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი ალბრეხტ დიურერის, რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინის, ჟოან მიროს, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკის, დევიდ ჰოკნის, პაბლო პიკასოს, ედუარდ მანეს, პოლ სეზანის და თემო მაჭავარიანის ნახატებს.

- მოყევი რას ხედავ.
- რა შენიშნე? *(ეს ნახატები არ არის ფერადი. ზოგი ფანქრითაა დახატული)*
- ნახატები მოწესრიგებულია თუ არა? *(ნამუშევრები არ არის მოწესრიგებული. თითქოს დაუმთავრებელია და მხატვარი ნაჩქარევად ხატავდა მათ)*

- მხატვრები ამ ნახატებს სწრაფად ხატავდნენ თუ ნელა? *(სწრაფად)*

ეს ჩანახატებია.

- ახსენი შენი სიტყვებით, რას ნიშნავს ჩანახატი. *(ჩანახატი არის სწრაფად, ნაჩქარევად, დაუდევრად შესრულებული ნახატი იმისა, რაც მხატვარმა დაინახა და უცებ ჩაიხატა).*

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

მასალა: უბრალო ფანქარი, სახატავი ფურცელი.

მიმოიხედე გარშემო. რა გეცა თვალში?

უბრალო ფანქრით გააკეთე სწრაფი ჩა**ნახატი.**

გაკვეთილი 15. გრაფიკა (მოსწ. წიგნი, გვ. 44-45)

ლექსიკონი:

გრაფიკა – ქაღალდზე შესრულებული ნახატები. ის, რაც ნახატში ხაზით იხატება, ფერწერულ სურათში ფუნჯის მონასმით იქმნება. ქაღალდზე ხატავენ ფანქრით, ნახშირით, ცარცით, პასტელით, მელნითა და წყლის საღებავებით.

აქტივობა 1. დაკვირვება, შედარება, დახარისხება

დააკვირდი ჰოლანდიელი მხატვრის ვინსენტ ვან გოგის სურათებს *(მარცხნივ – გრაფიკა, მარჯვნივ – ფერწერა).*

- რა შენიშნე?
- რა განასხვავებს ერთი შინაარსის სურათებს?
- რომელია დახატული ხაზებითა და რომელი – მონასმებით?
- რა ხერხით დახატა მხატვარმა ღრუბლები გრაფიკულ ნახატში და როგორ დახატა ისინი ფერწერულ სურათში? *(გრაფიკულში – ხაზებით, ფერწერაში – ფუნჯის მონასმებით)*

აქტივობა 2. დაკვირვება, შედარება, დახარისხება

დააკვირდი ვინსენტ ვან გოგის სურათებს და განმარტე შენი სიტყვებით:

- რა არის გრაფიკა?
- რა არის ფერწერა?
- ხაზი ფერწერაში უფრო მნიშვნელოვანია თუ გრაფიკაში?
- რომელ მათგანშია მთავარი ფერი?
- რა ხერხით დახატა მხატვარმა ქვიშიანი ნაპირი და წყალი გრაფიკულ ნახატში და როგორ დახატა ისინი ფერწერულ სურათში?
- სად იხმარა ხაზები და სად – ფუნჯის მონასმი?

ფერწერული სურათები შესრულებულია საღებავებით ტილოზე ან ფიცარზე. ფერწერაში მთავარი ფერადი ლაქები და მონასმებია, ხაზი კი დამხმარე საშუალებაა.

გრაფიკაში მთავარია ხაზი და ლაქა, ფერი კი – დამხმარე საშუალებაა. გრაფიკაში ფერისთვის წყლის საღებავებს – აკვარელსა და გუაშს ხმარობენ.

შემაჯამებელი საუბარი:

გრაფიკა ფანქრით, კალმით, მარკერით ან წყლის საღებავებით ქაღალდზე შესრულებული ნახატებია. შენ მიერ ქაღალდზე შესრულებული ყველა ნახატი – გრაფიკაა. გრაფიკაა სწრაფად გაკეთებული ჩანახატიც და ის ესკიზიც, რომელიც გეხმარება წინასწარ მოიფიქრო, რას დახატავ საბოლოოდ.

ნაბიჯი 2.

გრაფიკის მასალის და შესაძლებლობების გაცნობა-ათვისება (ხაზი, კონტური, შტრიხი)

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. **იდეა და სახვითი ენა; ქვეცნება – ხაზი** (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური, შტრიხი)**; ფაქტურა.**
2. **ტექნიკა; ქვეცნება: ხატვა;**
3. **დარგები და ჟანრები: ქვეცნება: მხატვრობა (გრაფიკა).**

რესურსები:

გაკვეთილები: 16 (როგორ გაჩნდა ფანქარი), 17 (რა შეუძლია ფანქარს), 18 (შტრიხი), 19 (სახელოსნო).

გაკვეთილი 16. როგორ გაჩნდა ფანქარი (მოსწ. წიგნი, გვ. 46-47)

სამოტივაციო საუბარი:

სწრაფი ჩანახატის გასაკეთებლად ყველაზე მოსახერხებელი იარაღი – ფანქარია.

სანამ ფანქარი გაჩნდებოდა, მხატვრები ნახშირით და ვერცხლის ან ტყვიის ჩხირებით ხატავდნენ.

ერთხელ ინგლისში ქარიშხალმა ხე წააქცია. ფესვებს უცნაური შავი, რბილი ქვა ამოყვა. ის ყველანაირ ზედაპირზე მუქ კვალს ტოვებდა. მას გრაფიტი უწოდეს.

გრაფიტის ყველაზე კარგი თვისება ის არის, რომ შეცდომის წაშლა და გასწორება შეიძლება! საშლელად კი ადრე პურის გულს ხმარობდნენ.

გრაფიტის ღერძი ხის ბუდეში ჩასვეს, რომ წერისას ხელში არ ჩატყდეს, ხის ბუდეს კი წახნაგებიც გაუკეთეს, რომ მერხზე არ დაგორდეს.

მალე გრაფიტის ფანქარი მწერლების და მხატვრების საყვარელი იარაღი გახდა. მას თქვენც იყენებთ ყოველდღიურად.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

- დააკვირდი ჟოან მიროს ნახატებს.
- რა მასალით დახატა ისინი მხატვარმა?
- შეარჩიე ჟოან მიროს ერთ-ერთი ნახატი და გადახატე ის ფერადი ფანქრებით.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

მასალა: უბრალო ფანქარი, საშლელი, პატარა უბის წიგნაკი

როცა სასეირნოდ მიდიხარ, თან საღებავების ტარება მოუხერხებელია, მაგრამ ჯიბეს არც ფანქარი დაგიმძიმებს და არც უბის წიგნაკი. მიიხედ-მოიხედე, რამ მიიქცია შენი ყურადღება?

გააკეთე სწრაფი ჩანახატი. მერე სახლში ის შეიძლება უფრო მშვიდად გადახატო.

გაკვეთილი 17. რა შეუძლია ფანქარს (მოსწ. წიგნი, გვ. 48-49)

ლექსიკონი:

შტრიხი – გვერდიგვერდ, ერთი მიმართულებით, ხელის თანაბარი მოძრაობით გასმული ხაზები.

ხელოვანები ჩანახატებს სხვადასხვა მასალით აკეთებენ. მათგან ყველაზე დამჯერი უბრალო ფანქარია. რბილი ფანქარი მუქად ხატავს, მაგარი კი – მკრთალად.

როგორ გავარჩიოთ რბილი, მუქი ფანქარი მაგარი, მკრთალი ფანქრისგან?

რაც უფრო დიდი ციფრი აწერია ფანქარს, მით უფრო მუქად ხატავს ის.

აქტივობა 1. სავარჯიშო

მასალა: სხვადასხვა სირბილის უბრალო ფანქრები

მოსინჯე, რა განსხვავებაა სხვადასხვა სირბილის ფანქრებს შორის. *(რბილი ფანქარი მუქად ხატავს, მაგარი კი მკრთალად)*

- რომელი იშლება საშლელით უფრო ადვილად, მუქი ფანქარი თუ ბაცი? *(რაც უფრო რბილია ფანქარი, მით უფრო ძნელად იშლება მისი კვალი)*

აქტივობა 2. სავარჯიშო

მასალა: საშლელი

მოსინჯე, როგორ წაიშლება ფერადი ფანქრების კვალი.

აქტივობა 3. სავარჯიშო

მასალა: უბრალო ფანქარი

მოსინჯე, რა შეუძლია ფანქარს.

- უბრალო, რბილი ფანქრით დახატე მსგავსი ხაზები და შტრიხები.
- როგორ გაამუქებ ფანქრით გავლებულ ხაზებს?

აქტივობა 4. დაკვირვება, დახარისხება, შედარება, მსჯელობა

დააკვირდი ედგარ დეგას, რემბრანდტის და პიტ მონდრიანის ჩანახატებს.

- რომელი ჩანახატია შესრულებული შტრიხებით და რომელი – კონტურული ხაზით? *(ედგარ დეგასი – კონტურით; რემბრანდტისა – შტრიხებით)*
- იპოვე ნახშირით შესრულებული ნახატი. *(პიტ მონდრიანის)*

გაკვეთილი 18. შტრიხი (მოსწ. წიგნი, ორი განშლა, გვ. 50-53)
პირველი განშლა:

ლექსიკონი:
ფაქტურა – ზედაპირის თავისებურება (გლუვი, პრიალა, ხორკლიანი, ხაოიანი, ფაფუკი...)

სამოტივაციო საუბარი:
თუ დააკვირდები ვინსენტ ვან გოგის, რემბრანდტის და ალბრეხტ დიურერის ნახატებს, შეამჩნევ, რომ ისინი შტრიხებით – მოკლე ხშირი ხაზებითაა დახატული.

თუ კონტურით მხოლოდ ფორმა და ხასიათი შეიძლება გამოიხატოს, შტრიხებით უამრავი სხვა საინტერესო დეტალის გამოსახვა შეიძლება.

კონტურით ვერ დახატავ ქარს, წვიმას, კურდღლის ფაფუკ ბეწვს, ნაოჭიან სპილოს. შტრიხებით კი შეიძლება გადმოსცე მოცულობა, ფორმა, უსწორმასწორო ზედაპირი, ფაქტურა და განათებაც კი.

აქტივობა 1. სავარჯიშო
მასალა: უბრალო ფანქარი
გადაიხატე უბის წიგნაკში ხაზების და შტრიხების ნიმუშები.
- რა სხვაობა შენიშნე ხატვის დროს?
- აჩვენე, ხელის როგორი მოძრაობით ხატავდი შტრიხებს?
- აჩვენე, როგორი მოძრაობით ხატავდი ხაზებს?
- როგორ გაამუქებ დეტალებს?

აქტივობა 2. დაკვირვება, დახარისხება, მსჯელობა
გადაათვალიერე სახელმძღვანელო და იპოვე შტრიხებით შესრულებული ნახატები.
- რა დახატეს მხატვრებმა შტრიხებით?
- რომელ ნახატშია შტრიხები მოკლე, გრძელი ან ტალღოვანი?

(შტრიხებითაა შესრულებული ალბრეხტ დიურერის „ბალიშები“, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკის „რას გვიამბობს ქარი“, დევიდ ჰოკნის „ძაღლი“, ედუარდ მანეს „კატა“ და თემო მაჭავარიანის „ქალი“ (გაკვეთილი 14); რემბრანდტის და პიტ მონდრიანის „ქალები“ (გაკვეთილი 17).

მეორე განშლა: (გვ. 52-53)

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა
მასალა: ფანქრები

მიმოიხედე, რას ხედავ გარშემო?
- რას საქმიანობენ შენი ოჯახის წევრები?
- რით ერთობიან შენი მეგობრები?
- ფუნჯით, მარკერით ან ფანქრით გააკეთე ჩანახატი.
- დახატე, რა ხდება შენ გარშემო.
- რას დახატავ ხაზებით?
- რას დახატავ შტრიხებით?
- რას დახატავ ლაქებით?

აქტივობა 4. დაკვირვება, დახარისხება, მსჯელობა

დააკვირდი თემო მაჭავარიანის და ედგარ დეგას ჩანახატებს.

- რომელი ჩანახატია გაკეთებული ფუნჯით? *(ფუნჯითაა შესრულებული თემო მაჭავარიანის ჩანახატი. მას ემჩნევა ფუნჯის მონასმი და ლაქები)*
- რომელი ჩანახატია გაკეთებული ფანქრით? *(ფანქრითაა შესრულებული ედგარ დეგას ჩანახატი)*
- რომელ ჩანახატზე ხედავ ხაზებს და რომელზე – შტრიხებს? *(შტრიხები ჩანს ედგარ დეგას ნახატზე, ხოლო ხაზები – თემო მაჭავარიანის ნახატზე)*

აქტივობა 5. პრაქტიკული სამუშაო, ჩანახატი

მასალა: ფერადი ფანქრები

მიმოიხედე, რა ნივთები აწყვია შენ გარშემო?

ფერადი ფანქრებით გააკეთე ნატურმორტის ჩანახატი.

აქტივობა 6. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

გაიხედე ფანჯრიდან. რა ხდება ქუჩაში? არაფერი არ ხდება? ესეც საინტერესოა...

უბრალო ფანქრით გააკეთე ჩანახატი „ხედი ჩემი ფანჯრიდან“.

- რას დახატავ ხაზებით?
- რას დახატავ შტრიხებით?

ნაბიჯი 3.

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. **იდეა და სახვითი ენა; ქვეცნება – ხაზი** (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური, შტრიხი);
2. **ტექნიკა; ქვეცნება: ხატვა;**
3. **დარგები და ჟანრები: ქვეცნება: მხატვრობა (გრაფიკა).**

ჩანახატისა და ესკიზის დანიშნულების გაცნობიერება, ესკიზების კეთება მარტივი შტრიხებისა და კონტურული ხაზის გამოყენებით.

გაკვეთილები: 19 – ესკიზი (ორი განშლა); 21 – უბის წიგნაკი; 22 – მოგზაურის დღიური (ორი განშლა); 23 – დასურათებული წერილები. გვ. 54-65.

გაკვეთილი 19. ესკიზი (მოსწ. წიგნი, ორი განშლა, გვ. 54-57)

პირველი განშლა

სამოტივაციო საუბარი:

ფანქრით დახატულ მოსამზადებელ ნახატს **ესკიზი** ჰქვია. ესკიზს ხელოვანი საბოლოო ნამუშევრის შექმნამდე ხატავს. ესკიზი ეხმარება მას იმის მოფიქრებაში, თუ რა იქნება მთავარი, რა დახატოს წინ და რა – უკან და რა დეტალებით შეავსოს სურათი. ზოგჯერ ერთი ნამუშევრის შექმნისთვის მხატვარი რამდენიმე ესკიზს ხატავს, ცვლის, ეძებს, სანამ საუკეთესო გადაწყვეტას არ მიაგნებს.

აქტივობა 1. დაკვირვება, დახარისხება, შედარება, მსჯელობა

შეადარე ერთმანეთს ვინსენტ ვან გოგის გრაფიკული ნახატი და ფერწერული სურათი.

- რომელია ესკიზი და რომელია საბოლოო ნამუშევარი?
- რა შეცვალა მხატვარმა?
- რომელ ნამუშევარშია გადმოცემული კოპლები წრეებით და რომელში – მონასმებით?
- რით მონიშნა მხატვარმა ნახატში ქუდსა და შუბლზე დაცემული ჩრდილი?
- რით გაახალისა ლურჯი კაბა?
- რა შემატა ფერმა სურათს?

სააზროვნო შეკითხვები:
ანრი მატისის ესკიზს უამრავი მინაწერი ახლავს.
- როგორ ფიქრობ, რა ჩაინიშნა მხატვარმა სიტყვებით?

პაბლო პიკასოს მამლებიდან რომელი ყივის უფრო ხმამაღლა?
- რა მიგანიშნებს ამაზე?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა
მასალა: უბრაფერადი ფანქრები ან საღებავები
შენი ერთ-ერთი ნახატის მიხედვით დახატე ფერადი სურათი.
- რა შეცვალე?
- რა ფერები გამოიყენე?
- რა დეტალები დაამატე სურათს?

მეორე განშლა (გვ. 56-57)

აქტივობა 3. დაკვირვება, შედარება
დააკვირდი ვინსენტ ვან გოგის ფერწერულ სურათს „კარტოფილის მჭამელები“ და მისთვის შექმნილ ესკიზებს.
- დაფიქრდი, რა თანმიმდევრობით შეასრულებდა მხატვარი მათ? *(1, 3, 2)*
- რას აპირებდა თავიდან და რა შეცვალა საბოლოო ნამუშევარში?

აქტივობა 4. დაკვირვება, შედარება
დააკვირდი ჟორჟ სიორას ფერწერულ ტილოს „კვირის შუადღე კუნძულ გრანდ ჟატზე“ და მისთვის შექმნილ ესკიზებს.
- აღწერე, რას ხედავ.
- იპოვე სურათზე ესკიზებზე გამოსახული დეტალები.

გაკვეთილი 20. უბის წიგნაკი (მოსწ. წიგნი, გვ. 58-59)

სამოტივაციო საუბარი:
ფრანგი მხატვარი პოლ გოგენი ისე მოიხიბლა შორეული კუნძულ ტაიტის სილამაზით, რომ სამუდამოდ იქ დასახლდა. ამ უცხო მხარეში მისთვის ყველაფერი ახალი და შთამბეჭდავი იყო. რასაც ხედავდა, იქვე უბის წიგნაკში ნახატებითა და სიტყვებით ინიშნავდა. მოგვიანებით დღიურში ჩანიშნულ იდეებს ფერწერულ სურათებად აქცევდა.
დააკვირდი პოლ გოგენის დღიურს. რაში იყენებდა მხატვარი უბის წიგნაკს? *(ნანახის უკეთ დასამახსო-*

ვრებლად)

უბის წიგნაკში შეგიძლია გაივარჯიშო ხელი ხატვაში, დახატო მომავალი სურათის ესკიზი, გააკეთო შენი აღმოჩენების, დაკვირვებების სამახსოვრო ჩანაწერები. შეგიძლია შეაგროვო იდეები მომავალი ნამუშევრებისთვის, ჩააკრა ფოტო ან მცენარე, რომელიც მოგეწონა და იქვე გადაიხატო.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, უბის წიგნაკის დამზადება

მასალა: მუყაო ან სქელი ფერადი ქაღალდი, სახატავი ფურცლები, მაკრატელი, ნემსი და ძაფი, წებო, ზონარი, ღილი.

ნიმუშის მიხედვით დაამზადე უბის წიგნაკი.



გაკვეთილი 21. მოგზაურის დღიური (მოსწ. წიგნი, ორი განშლა, გვ. 60-63)

პირველი განშლა:

აქტივობა 1. სააზროვნო შეკითხვები

წაიკითხე ტექსტი და დააკვირდი დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატებს.

- რა დახატა მხატვარმა?
- როგორ გამოიყურებოდნენ ძველად ჩვენი წინაპრები?
- რა ეცვათ?
- რატომ უწოდებს მიხეილ თამარაშვილი კრისტოფორო დე კასტელის ალბომებს განძს?
- რა მნიშვნელობა აქვს ამ დღიურებს საქართველოსთვის?

მეორე განშლა

აქტივობა 2. დაკვირვება, შედარება

შეადარე ეჟენ დელაკრუას სურათები და უბის წიგნაკში გაკეთებული ჩანახატები.

- რა გამოიყენა მხატვარმა ჩანახატიდან და რა შეცვალა ფერწერულ სურათზე?

აქტივობა 3. დაკვირვება, მსჯელობა

ხშირად ადამიანები უბის წიგნაკში ნახატებს ჩანაწერებსაც ურთავენ.

- როგორ ფიქრობ, რას ჩაინიშნავდა მხატვარი უბის წიგნაკში?
- რას მიაწერდა ამ ჩანახატებს?

აქტივობა 4. დაკვირვება, შედარება

დააკვირდი ეჟენ დელაკრუას ჩანახატს და მოძებნე ესკიზზე ის დეტალები, რომლებიც ფერწერულ სურათში მეორდება.

გაკვეთილი 22. დასურათებული წერილები (მოსწ. წიგნი, გვ. 64-65)

აქტივობა 1. დაკვირვება

- მოძებნე, რომელი სურათების შესახებ წერს ვინსენტ ვან გოგი ამ წერილებში?
- შეადარე წერილში გაკეთებული ჩანახატი ასეთსავე სურათს.

აქტივობა 2. დაკვირვება, დახარისხება

დააკვირდი ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრებს.

- რომელი მათგანი მიეკუთვნება გრაფიკას და რომელი ფერწერას?
- რა დახატა მხატვარმა ლაქებით?
- რა დახატა ხაზებით?

აქტივობა 3. დაკვირვება, შედარება

- გაიხსენე, რომელ სურათს აღწერს ვინსენტ ვან გოგი ამ წერილში? *(„კარტოფილის მჭამელები“)*
- შეადარე წერილში გაკეთებული ჩანახატი ასეთსავე ფერწერულ სურათს.

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო.

- დაწერე მოკლე წერილი.
- სიტყვიერად აღწერე შენი ერთი ნახატი.
- დაურთე წერილს შენი ნამუშევრის გრაფიკული ჩანახატი.

ნაბიჯი 4.

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. **იდეა და სახვითი ენა; ქვეცნება – ხაზი** (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური, შტრიხი)**;**
2. **ტექნიკა; ქვეცნება: ხატვა;**
3. **დარგები და ჟანრები: ქვეცნება: მხატვრობა (გრაფიკა).**

ლექსიკონი: გრატაჟი და ფროტაჟი – გრაფიკის ტექნიკები.

გაკვეთილი 23. ესეც გრაფიკაა (მოსწ. წიგნი, გვ. 66-67)

რესურსები: მაქს ერნსტის და პაულ კლეეს მიერ გრატაჟის და ფროტაჟის ტექნიკებით შესრულებული ნამუშევრები.

სამოტივაციო საუბარი:

სიტყვა „გრაფიკა“ ძველი ბერძნული სიტყვიდან „გრაფო“ იღებს სათავეს და ნიშნავს: ვწერ, ვხატავ, ვჩხაპნი. დიახ, ჩხაპნაც გრაფიკის ერთ-ერთი ტექნიკაა.

გერმანელი მხატვარი მაქს ერნსტი საღებავებით დაფერილ მუყაოს მთლიანად ფარავდა შავი მელნით. შემდეგ ნახატს წვეტიანი საგნით ჩხაპნიდა. ნაკაწრებში გამოჩენილი საღებავის ქვედა ფენა სურათს ჯადოსნურ იერს ანიჭებდა. ამ ტექნიკას მან **გრატაჟი** უწოდა.

ნამუშევრებში უცნაური გამოსახულების შესაქმნელად, მაქს ერნსტი ქაღალდის ქვეშ უსწორმასწორო ზედაპირის მქონე საგნებს ალაგებდა და ფანქრის ხახუნით მათი ფაქტურა ქაღალდზე გადაჰქონდა. ამ ტექნიკას **ფროტაჟი** ეწოდება.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, სავარჯიშო, ფროტაჟის ტექნიკა

მასალა: სახატავი ფურცელი, მონეტა, უბრალო ფანქარი.

ფულის მონეტას დააფარე ქაღალდი და გაუხახუნე უბრალო ფანქარი.

- რა მიიღე?
- ქაღალდზე მონეტის ანაბეჭდი დაიხატა?
- გამოიცანი, რა საგნები გამოიყენა მხატვარმა ფროტაჟით შესრულებულ სურათებში?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო. გრატაჟის ტექნიკა

მასალა: სახატავი ფურცელი, ფერადი პასტელები, შავი ფერის გუაშის საღებავი, თხევადი საპონი, წვეტიანი ჩხირი.

- სახატავი ფურცელი მთლიანად დაფერე ფერადი პასტელებით.
- გუაშის საღებავს დაუმატე რამდენიმე წვეთი თხევადი საპონი. ის უკეთ მოეჭიდება პასტელის ცხიმიან ფენას.
- გადაუსვი ფურცელს შავი გუაშის საღებავის რამდენიმე ფენა.
- განსხვავებული სისქისა და ფაქტურის შტრიხების მისაღებად ამოჩხაპნე ნახატი წვეტიანი ან კბილანებიანი საგნით. ამოჩხაპნა შეგიძლია როგორც ოდნავ შემშრალ, ისე გამშრალ საღებავზეც.
- სხვადასხვა ეფექტის მისაღებად მოსინჯე ორივე ხერხი.

ვიდეორესურსი: https://www.youtube.com/watch?v=2HI37RJwGcM

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ფროტაჟის ტექნიკა

მასალა: სახატავი ფურცელი, უსწორმასწორო ფაქტურის საგნები, ფანქარი ან პასტელი.

- სახატავ ფურცელს ქვეშ ამოუდე სხვადასხვა ფაქტურის მქონე საგნები: მაქმანი, უხეში ქსოვილი, ბუშტუკებიანი ცელოფანი, ჭილოფი და სხვა.
- გადაუსვი ზედ ფანქარი ან პასტელი.
- რა გამოგივიდა?
- მიახატე დეტალები ისე, რომ რაიმე შინაარსის ნახატი გამოგივიდეს.

ვიდეორესურსი: https://www.youtube.com/watch?v=W66TAqCT4hc

ეტაპი III – შემაჯამებელი დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე)

ჩემი უბის წიგნაკი

ერთი და იმავე გზით სკოლიდან სახლისაკენ მიმავალი, დაჰკვირვებიხარ, რამდენი რამ გხვდება საინტე-

რესო? ზოგ რამეზე თვალი ისე მიგეჩვია, ველარც ამჩნევ, როგორ გადარბის ძაღლი ქუჩაზე, როგორ სხედან ჭიშკართან ბებიები ბავშვების მოლოდინში, როგორ შემომსხდარან ხის ტოტებზე ცნობისმოყვარე ყვავები... შენთვის ჩვეულ გარემოში უამრავ საინტერესო ამბავს დაინახავ.

დააკვირდი შენთვის ჩვეულ გარემოს და გააკეთე ნანახი ამბის სამახსოვრო ჩანახატი. საჭიროებისამებრ, გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, კონტური და შტრიხი. ჩანახატის მიხედვით დახატე ფერადი სურათი.

აჩვენე შენი ჩანახატი და ნამუშევარი მეგობრებს.

- რა შეამჩნიე?
- რა ამბავი დახატე?
- როგორი ხაზები გამოიყენე?
- რა გამოკვეთე კონტურით?
- რა დახატე მკრთალი და რა – მკვეთრი ხაზებით?
- რა დახატე მსხვილი და რა – წვრილი ხაზებით?
- რისთვის გამოიყენე შტრიხები?
- რა შეცვალე საბოლოო ნამუშევარში?
- რა მასალით გააკეთე ჩანახატი და რა მასალით შეასრულე საბოლოო ნამუშევარი?

შემაჯამებელი დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით:

<table>
<tr><td colspan="2">თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება
თემა: მხატვრის დღიური
მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____
სამიზნე ცნება 1: იდეა და სახვითი ენა
ქვეცნებები: ხაზი (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური, შტრიხი); ფაქტურა.
სამიზნე ცნება 2: ტექნიკა – ხატვა.
სამიზნე ცნება 3: დარგები და ჟანრები – მხატვრობა (გრაფიკა);</td></tr>
<tr><td colspan="2">„ჩემი უბის წიგნაკი“
დააკვირდი შენთვის ჩვეულ გარემოს და გააკეთე ნანახი ამბის სამახსოვრო ჩანახატი. საჭიროებისა-მებრ, გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, კონტური და შტრიხი. ჩანახატის მიხედვით დახატე ფერადი სურათი.</td></tr>
<tr><td>SOLO ტაქსონომიის დონე:
აბსტრაქტული:
მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძ-ლია საკითხის/მოვლენის პირად გამოც-დილებასთან დაკავშირება.</td><td>დავალების პირობის თანახმად, აკეთებს ჩანახატს. იყენებს მრავალფეროვან ხაზებს (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი; წვრილი, სქელი; ღია, მუქი), კონტურს, შტრიხს, ლაქას.
აკეთებს ჩანახატს მასალის შესაბამისი ტექნიკით.
ჩანახატის მიხედვით ხატავს საბოლოო ნამუშევარს – ფერად სურათს.
წარდგენისას ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და სამუ-შაო პროცესის ყველა ეტაპზე. ამომწურავად ადარებს ჩანახატსა და საბოლოო ნამუშევარს.
ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის თანახმად, აკეთებს სამახსოვრო ჩანახატს. იყენებს რამდენიმე ტიპის ხაზს (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი; წვრილი, სქელი; ღია, მუქი), კონტურს, შტრიხს ან ლაქას. აკეთებს ჩანახატს მასალის შესაბამისი ტექნიკით. ჩანახატის მიხედვით ხატავს საბოლოო ნამუშევარს. წარდგენისას საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და სამუშაო პროცესის ძირითად ეტაპებზე. ადარებს ჩანახატს საბოლოო ნამუშევართან. საუბრობს მნიშვნელოვან განსხვავებებზე. ადეკვატურად იყენებს რამდენიმე ტერმინს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	დავალების პირობის თანახმად, აკეთებს ჩანახატს. იყენებს ორიოდ ტიპის, ერთი სიმუქის ხაზს (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი) და კონტურს. მასწავლებლის დახმარებით აკეთებს ჩანახატს მასალის შესაბამისი ტექნიკით. ჩანახატის მიხედვით ხატავს საბოლოო ნამუშევარს. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს, ჩამოთვლის გამოყენებულ მასალას. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	აკეთებს ერთ ჩანახატს. იყენებს მხოლოდ კონტურულ ხაზს. უჭირს ხაზის გააზრებულად გაღიავება ან გამუქება. უჭირს მასალის შესაბამისი ტექნიკის გამოყენება. საბოლოო ნამუშევარი არ შეესაბამება ჩანახატს. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს და ჩამოთვლის გამოყენებულ მასალას. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ ვერ იყენებს მათ ნამუშევრის წარდგენისას.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

III თემა: გაქვავებული ისტორია

სამიზნე ცნებები:

I-IV კლასები	
სამიზნე ცნება	
იდეა და სახვითი ენა	**სახვითი ენა:** **სახვითი საშუალებები –** ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სივრცითი (3D)
ტექნიკა	ძერწვა.
დარგები და ჟანრები	დარგები: ქანდაკება.

საკითხი:

საქმიანობის ამსახველი პოზით ადამიანის სამგანზომილებიანი ფიგურის შექმნა სივრცითი ფორმების გამოყენებით.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორი სივრცითი ფორმებით შეიძლება ადამიანის სამგანზომილებიანი ფიგურის შექმნა?
- რა პოზა/მოძრაობა ახასიათებს ადამიანის სხვადასხვა საქმიანობას?

შემაჯამებელი დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – შემაჯამებელი დავალების პირობის გაცნობა:

უბის წიგნაკში ან სახატავ რვეულში დახატე მომავალი ქანდაკების რამდენიმე ესკიზი. შეარჩიე ერთ-ერთი და პლასტილინით, თიხით, მარილიანი ცომით ან მავთულით გააკეთე ადამიანის ქანდაკება რაიმე საქმიანობის დროს. გადმოეცი მისი მოძრაობა დამახასიათებელი პოზით. სხეულის ნაწილების გასაკეთებლად გამოიყენე სივრცითი ფორმები. მიამაგრე ისინი ერთმანეთს ისე, რომ ფიგურა მყარად იდგეს. ტანსაცმელი და ვარცხნილობა გააფორმე ნაკაწრი, ნაჭდევი დეტალებით ან ქსოვილის ნაკუწებითა და საქსოვი ძაფებით.

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რას საქმიანობს შენი ადამიანი?
- როგორი პოზით გამოხატე მისი საქმიანობა?
- რა მასალა იხმარე?
- რა და რა სივრცითი ფორმები დაგჭირდა სხეულის ნაწილების გასაკეთებლად?
- როგორ გადააბი ერთმანეთს სხეულის ნაწილები?
- რა დეტალებით გაალამაზე ფიგურა?

რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალების განსახორციელებლად:

ამ თავში მოსწავლეები გაეცნობიან ქანდაკების იმ ნიმუშებს, რომლებიც ადამიანის სხვადასხვა საქმიანობისა და ინტერესის შესახებ მოგვითხრობენ.

ყველა პროფესია თავისებურად იკვლევს ადამიანს. ექიმი სხეულს შეისწავლის, სპორტსმენი – ფიზიკურ შესაძლებლობებს, ისტორიკოსი მის მოღვაწეობას, ფსიქოლოგი – ფიქრებს, ხასიათს, ქცევას... ხელოვანს კი ყველაფერი აინტერესებს: გარეგნობა, განწყობა, საქმიანობა...

მოქანდაკეები უხსოვარი დროიდან დღემდე გვიამბობენ ადამიანის შესახებ. ქანდაკება ადამიანების მიღწევებსაც უკვდავჰყოფს და მათ უმნიშვნელო საქმიანობასაც.

რესურსები შემაჯამებელი დავალების განსახორციელებლად:
მოსწ. სახელმძღვანელო, გაკვეთილები 24-34 გვ. 72-93

ილუსტრაციები:
ქანდაკებები: ვალენტინ თოფურიძე, ედგარ დეგა, გოგი ოჩიაური, ძველი ეგვიპტური, შუამდინარული, მინოსური, კიკლადური, რომაული, მექსიკური, ჩინური და იაპონური ქანდაკებები, მაქს ერნსტის, არტურო მარტინის, ენტონი გორმლის, კონსტანტინ ბრანკუშის, ჰანს არპის, ოგიუსტ როდენის, ვილჰელმ ლემბრუკის, პაბლო პიკასოს, ჯრუჭის ტაძრის რელიეფი, მიქელანჯელო ბუონაროტის, ჰენრი მურის, მაისენის ფაიფურის ქარხნის ფიგურები.

შემაჯამებელი დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
- რა მასალით გააკეთებ ქანდაკებას?
- როგორი პოზით გადმოსცემ ადამიანის საქმიანობას?
- როგორი სივრცითი ფორმების გამოძერწვა დაგჭირდება, რომ მათგან ადამიანის ფიგურა ააწყო?
- რა უნდა გააკეთო, ფიგურა რომ არ წაიქცეს ან გაიღუნოს?
- როგორ დაამაგრებ ერთმანეთზე სხეულის ნაწილებს?
- რა მასალითა და დეტალებით გააფორმებ შენს ქანდაკებას?

ეტაპი II – შემაჯამებელ დავალებაზე მუშაობა
ნაბიჯი 1
მოსწავლეები გაეცნობიან ქანდაკების დარგს და მისთვის დამახასიათებელ მასალებს. დააკვირდებიან და ნამუშევარში გადმოსცემენ სხვადასხვა საქმიანობისთვის დამახასიათებელ პოზებს/მოძრაობებს.

გაკვეთილი 24. რა არის ქანდაკება (მოსწ. წიგნი, გვ. 72-73)
სამოტივაციო საუბარი:
ქანდაკება შეიძლება ნახო ყველგან – მოედანზე, ქუჩაში, პარკში, მუზეუმში და ოთახში თაროზეც კი. ზოგი ქანდაკება სახელოვან ადამიანს ეძღვნება, ზოგი მნიშვნელოვან მოვლენას ან იდეას, ზოგი კი უბრალოდ ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობას ასახავს.
ქანდაკებაა სივრცითი ფორმებით გამოძერწილი, გამოთლილი ან ლითონისგან ჩამოსხმული ფიგურა. ის შეგიძლია ყველა მხრიდან დაათვალიერო.
ქანდაკებას შეიძლება ჰქონდეს ბუნებრივი, გეომეტრიული, მსხვილი ან თხელი ფორმები. ზოგი ძალიან დიდია, ზოგი კი ისეთი ციცქნაა, ხელისგულზე დაგეტევა.

ფერწერაში მთავარი ფერია, გრაფიკაში – ხაზი.
- რა არის მთავარი ქანდაკებაში? *(ფორმა)*

ჭურჭელს, ავეჯს, სხვა ნივთებსაც აქვთ სივრცითი ფორმები, მაგრამ ისინი არ მიეკუთვნებიან ქანდაკებას.
რატომ?
ქანდაკების დანიშნულება არ გულისხმობს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში მის გამოყენებას. ქანდაკება გარემოს ალამაზებს ან რაიმე მოვლენის ან პიროვნების შესახებ გვიამბობს.

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი მასალებს და ქანდაკებებს. მოძებნე ყოველი მასალის შესაფერისი ქანდაკება.

- **1.** – ხე; 2. – ლითონი; 3. – ქვა; 4. – თიხა.

აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება, მსჯელობა

- გაიხსენე, სად გინახავს ქანდაკება?
- რას ასახავს ის?
- რატომ არ იდგმება ქუჩაში პლასტილინის ქანდაკებები? *(პლასტილინი რბილი მასალაა. ქარში ტოტები შეერჭობა, დააზიანებს; სიცხეში დნება. ქუჩაში, მოედანზე, ღია ცის ქვეშ გამძლე მასალის ქანდაკებები დგას).*

გაკვეთილი 25. ქანდაკების წინაპრები (მოსწ. წიგნი, გვ. 74-75)

სამოტივაციო საუბარი:

- დააკვირდი ამ პატარა ფიგურებს, რას ხედავ?
- რას გაგონებენ ეს უცნაური ფიგურები?
- რა ნიშნით მიხვდი, რომ ისინი ადამიანს განასახიერებენ? *(ყოველ ფიგურაზე მონიშნულია რომელიმე ელემენტი – თვალები, კაბა, კისერი, ხელები...)*

- რა სხვაობაა ნახატსა და ქანდაკებას შორის? *(ნახატი ბრტყელია, მას ჩვენ მხოლოდ ერთი მხრიდან ვხედავთ)*.

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი უძველესი ქანდაკებების ფორმებს.

შუმერული, მინოსური და ეგვიპტური ქანდაკებები

- რომელს აქვს გლუვი, მთლიანი ფორმები? *(შუმერულ და ეგვიპტელი მამაკაცის ქანდაკებებს აქვთ გლუვი ფორმები).*
- რომელია დამუშავებული დეტალებით? *(სახის ნაკვთები, სამოსისა და ვარცხნილობის დეტალები აქვს ყველა ქანდაკებას, ზოგს მეტი, ზოგს – ნაკლები. მინოსური ქანდაკების ფორმები მრავალრიცხოვანი დეტალითაა გაფორმებული, ეგვიპტელი ქალის ქანდაკების ვარცხნილობის და კაბის ნაოჭები ფაქტურულ ზედაპირს ქმნიან. ეგვიპტელი მამაკაცის ქანდაკება საღებავითაა მოხატული, ხოლო დანარჩენებზე დეტალები ამოკვეთილია)*

აქტივობა 2. შედარება

შეადარე კიკლადური ქანდაკება თანამედროვე ხელოვანების ნამუშევრებს.

კიკლადური კ. ბრანკუში ჰანს არპი

- რა მსგავსებას ხედავ?
- რას გაგონებენ მათი ფორმები? *(სამივე ქანდაკება განასახიერებს ადამიანის თავს. ისინი კვერცხის ფორმას მოგვაგონებენ. მათზე სახის ნაკვთები ან ოდნავ, ან სულ არაა მინიშნებული).*
- რა მასალითაა გაკეთებული ისინი? *(კიკლადური და ჰანს არპის ქანდაკებები ქვისაა, კონსტანტინ ბრანკუშისა კი – ლითონის).*

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა

მასალა: თიხა ან პლასტილინი.

შეარჩიე უძველესი ქანდაკებებიდან ერთ-ერთი და გამოძერწე მსგავსი ფიგურა.

- როგორი ზედაპირი აქვს შენს ფიგურას?
- რა დეტალებით გაალამაზე ის?

გაკვეთილი 26. გამოძერწილი ისტორია (გვ.76-77)

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

აღწერე, რას საქმიანობენ ძველი ეგვიპტელები. *(ამზადებენ საჭმელს, ხნავენ, მოგზაურობენ, სწავლობენ...)*

აქტივობა 2. ჯგუფური პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა

მასალა: პლასტილინი, თიხა ან მარილიანი ცომი.

დაიყავით ჯგუფებად. გამოძერწეთ ადამიანის ფიგურები რაიმე საერთო საქმიანობის დროს.

გაიხსენეთ, რომელ საქმეს სჭირდება რამდენიმე ადამიანის ერთად შრომა.

გაინაწილეთ, ვინ რა ფიგურას გამოძერწავს.

თქვენ მიერ გამოძერწილი ფიგურებით შეადგინეთ მთლიანი ჯგუფი.

გაკვეთილი 27. HOMO SAPIENS (მოსწ. წიგნი, გვ. 78-79)

ლექსიკონი: HOMO SAPIENS – ლათინურად: მოაზროვნე ადამიანი.

სანამ მოსწავლეები სახელმძღვანელოს გადაშლიან, მასწავლებელი განასახიერებს ფიქრის პოზას და სთხოვს მოსწავლეებს, გამოიცნონ, რას ასახავს მისი პოზა.

შემდეგ სთხოვს აჩვენონ, როგორი პოზებითა და გამომეტყველებებით განასახიერებდნენ ბავშვები ფიქრის პროცესს.

სამოტივაციო შეკითხვები:

სამოტივაციო შეკითხვები:

- რას გამოხატავს ამ უძველესი ქანდაკებების პოზა?
- რა ნიშნით გამოხატეს ეს ოსტატებმა?
- როგორ გგონია, რაზე შეიძლება ფიქრობდნენ ეს ადამიანები?
- რისი თქმა სურდათ მათ ავტორებს?

***დამატებითი აქტივობა:**

შეადარეთ ერთმანეთს ოგიუსტ როდენის „მოაზროვნე“ (ბრინჯაოს ქანდაკება) და ვილჰელმ ლემბრუკის „მჯდომარე ახალგაზრდობა“.

- რაზე შეიძლება ფიქრობდნენ ისინი?
- რომელია მათ შორის უფრო აქტიური, ენერგიული, მოუსვენარი? უფრო პასიური, დაღლილი, უიმედო?
- რას შეიძლება გრძნობდეს თითოეული მათგანი?
- რატომ ფიქრობთ ასე?
- დასხედით ასეთსავე პოზაში. რა აღმოაჩინეთ? რომელს აქვს უფრო რთული პოზა? შეამჩნიეთ, რომ როდენის მოაზროვნე იდაყვით საპირისპირო მუხლს ეყრდნობა?

ფრანგი მოქანდაკის, ოგიუსტ როდენის ქანდაკება: ფიქრებში ჩაძირული მამაკაცი ქვის ლოდზე ჩამომ-ჯდარა. მისი ღონიერი სხეული ერთიანად დაჭიმულია, წინ გადახრილი, ნიკაპით ხელს, იდაყვით კი მუხლს ეყრდნობა. ის ქვემოთ იყურება. დაძაბული, მოუსვენარი პოზით ვხვდებით, რომ მისი ფიქრები დარდითაა აღსავსე. ავტორს უთქვამს: „ჩემი მოაზროვნე ფიქრობს არა მხოლოდ ტვინით, არამედ შეჭმუხნილი წარბებით, ფართოდ დაბერილი ნესტოებითა და შეკუმშული ტუჩებით, ხელების, ზურგისა და ფეხების ყოველი კუნთით, შეკრული მუშტითაც და დაჭიმული თითებითაც.“ ამიტომაც იქცა ეს ქანდაკება აზროვნების სიმბოლოდ.

გერმანელი მოქანდაკის, ვილჰელმ ლემბრუკის ფიგურა მოშვებული, მოდუნებულია. უიმედო და თავჩა-ქინდრული, ის დაღლილს უფრო წააგავს, თითქოს ერთი სული აქვს, დაწვეს და დაიძინოს.)

**დამატებით, საილუსტრაციოდ და შესადარებლად შეიძლება მოსწავლეებს აჩვენოთ მიქელანჯელო ბუონაროტის მიერ მარმარილოთი გამოქანდაკებული, ლორენცო „ბრწყინვალე“ მედიჩის ქანდაკებაც:*

https://visit-florence-italy.global.ssl.fastly.net/pics/churches/medici-new-sacristy/michelangelo-lorenzo-de-medici-duke-of-urbino-tomb-new-sacristy-florence-03.jpg?width=1519&dpr=1.25&quality=85

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა

მასალა: პლასტილინი, თიხა ან მარილიანი ცომი.

გამოძერწე ჩაფიქრებული ადამიანი მჯდომარე პოზაში.

- როგორი ფორმები დაგჭირდება, რომ ადამიანის ფიგურა გამოძერწო?
- როგორ დასვამ შენს ქანდაკებას?
- რით მიანიშნებ, რომ ის ფიქრობს?

ნაბიჯი 2. გაკვეთილები 28-30

რელიეფური ქანდაკების რაობა, პრაქტიკული მუშაობა, სივრცითი ფორმების გამოყენებით ქანდაკების შექმნა.

გაკვეთილი 28. ოჯახი (მოსწ. წიგნი, გვ. 80-81)

ლექსიკონი:

რელიეფი – სიბრტყეზე ამობურცული ან ჩაღრმავებული ქანდაკება

სამოტივაციო საუბარი:

რა არის ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? რა თქმა უნდა, ოჯახი. ეს თემა ხელოვანებს უძველესი დროიდან აინტერესებს.

აქტივობა 1. დაკვირვება

დააკვირდი ქანდაკებების პოზებს, მათ ხელებს.

- რა განწყობას, რა გრძნობებს გამოხატავენ ეს ფიგურები?
- რა მიგვანიშნებს ამაზე?
- რა გრძნობას გამოხატავენ ხელჩაკიდებული ფიგურები?

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

ქანდაკებას, რომელსაც შეგიძლია გარშემო შემოუარო და ყველა მხრიდან დაათვალიერო, მრგვალი ქანდაკება უწოდეს.

ახსენი შენი სიტყვებით, რით განსხვავდება რელიეფი მრგვალი ქანდაკებისგან? *(რელიეფი ამობურცული ან ჩაღრმავებული ქანდაკეაა. მას ნახატივით, მხოლოდ ერთი მხრიდან დაათვალიერებ, მას უკან ფონად ბრტყელი „კედელი“ აქვს).*

აქტივობა 3. დაკვირვება, მსჯელობა

ეგვიპტურ რელიეფზე კონტურები ჩაღრმავებულია.

- რა ამბავი გამოკვეთა ოსტატმა? *(მშობლები – მამა (ფარაონი ეხნატონი) და დედა (დედოფალი ნეფე-რტიტი) ერთმანეთის პირისპირ სხედან და შვილებს ეთამაშებიან. მათ მზის სხივები ათბობს)*

ჯრუჭის ტაძრის რელიეფზე ფონი ჩაღრმავებულია, ნახატი კი ამობურცული.

- რა გამოკვეთა ოსტატმა? *(დედა შვილით ხელში (ღვთისმშობელი ჩვილი ქრისტეთი)*
- როგორი რელიეფი გამოკვეთა მიქელანჯელომ? *(ამობურცული)*

გაკვეთილი 29. ესკიზი და ქანდაკება (მოსწ. წიგნი, გვ. 82-83)

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დაათვალიერე ჰენრი მურის ესკიზები და ქანდაკებები.

- რა იყო ჰენრი მურის საყვარელი თემა? *(ოჯახი)*

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

ჰენრი მურის ფიგურები ნამდვილ ადამიანებს ჰგვანან თუ მხოლოდ მიგვანიშნებენ, რომ ადამიანებს განასახიერებენ? *(ჰენრი მურის ქანდაკებები ადამიანებს განასახიერებენ. მართალია ფიგურებს არ აქვთ გამოკვეთილი სახის ნაკვთები და სხვა დეტალები, კიკლადურ ქანდაკებებთან შედარებით, ჰენრი მურის ფიგურები არ არის განზოგადებული. ფორმები გლუვია, გამთლიანებული, მაგრამ არა იმდენად, რომ ვერ ამოიკითხო ადამიანის ფიგურა).*

აქტივობა 3.

შეადარე ჰენრი მურის ესკიზები მისსავე ქანდაკებებს.

- რა საერთო ნიშნებს ხედავ?
- როგორ ფორმებს ხედავ?

- არის თუ არა გამოკვეთილი წვრილი დეტალები?*(ჰენრი მურის ქანდაკებებს აქვთ გლუვი ფორმები დეტალების გარეშე)*

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო. ხატვა.
დაიდგი წინ შენ მიერ ადრე გამოძერწილი რომელიმე ფიგურა და გააკეთე მისი ჩანახატი.

გაკვეთილი 30. სახელოსნო (მოსწ. წიგნი, გვ. 84-85)
რელიეფის ძერწვა, სივრცითი ფორმების გაცნობა და ქანდაკებაში მათი გამოყენება.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო. ამობურცული რელიეფი „ოჯახი“.
მასალა: მუყაო, პლასტილინი, წვეტიანი ჩხირი.

გააკეთე ამობურცული რელიეფური სურათი „ოჯახის“ თემაზე.
- დაფარე მუყაო პლასტილინის თხელი ფენით.
- წვეტიანი ჩხირით ამოჩხაპნე ზედ მომავალი რელიეფის ესკიზი.
- ამოავსე ესკიზი პლასტილინის ფორმებით: სხვადასხვა ფერის პლასტილინით გამოძერწე დეტალები და დააწებე მონიშნულ ნახატს.
- წვრილი დეტალები ამოჩხაპნე წვეტიანი ჩხირით.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ჩაღრმავებული რელიეფი
მასალა: სახატავი ფურცელი და ფანქარი, მუყაოს ნაჭერი, პლასტილინი, წვეტიანი ჩხირი.

გააკეთე ჩაღრმავებული რელიეფი.
- მოიფიქრე სიუჟეტი და დახატე ესკიზი.
- მუყაო დაფარე პლასტილინის ფენით.
- გადაიტანე ესკიზი პლასტილინის ფენაზე: დაადე ესკიზი მუყაოს ნაჭერს და გააყოლე ფანქარი ნახატს.
- მოხსენი ესკიზი და წვეტიანი ჩხირით ამოკაწრე საჭირო დეტალები.

***დამატებითი აქტივობა, დაკვირვება**

დააკვირდი პლასტილინის კაცუნას.
- რომელ სივრცით ფორმას გაგონებენ მისი თავი, ტანი და კიდურები? *(თავი – სფერო; ტანი – პარალელეპიპედი; კიდურები – ცილინდრი).*

ითამაშე სივრცითი ფორმებით. გადაიხატე ისინი რვეულში. დააკვირდი ფორმებს და გადააქციე ისინი ადამიანის ფიგურებად – ცალკეულ, ან რამდენიმე გაერთიანებულ ფიგურას მიახატე ხელები, ფეხები, თავი.

რომელი ფიგურა გამოგადგება დამდგარი და რომელი – დაწოლილი ადამიანის დასახატავად?



აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო.

მასალა: ნებისმიერი, მოსწავლის არჩევანით (პლასტილინი, თიხა, მარილიანი ცომი, მავთული, მუყაო...).

ნებისმიერი, შენთვის ხელმისაწვდომი მასალით – პლასტილინით, თიხით, მარილიანი ცომით, მავთულით, მუყაოთი გააკეთე რამდენიმე ფიგურისგან შემდგარი ჯგუფური ქანდაკება.

- დააკვირდი ნიმუშებს. რა და რა მასალით არის გაკეთებული ეს ფიგურები?
- შენ რამდენ ფიგურას გააკეთებ?
- რა პოზებში დააყენებ მათ?
- რა დეტალებით გაალამაზებ ფიგურებს?
- როგორ მიამაგრებ მათ ერთმანეთს?

გაითვალისწინე: პლასტილინი რბილი მასალაა. პატარა ზომის ქანდაკება მყარად რომ დადგეს და არ წაიქცეს ან გაიღუნოს, სიმყარისთვის ფეხებში ასანთის ღერები ჩაარჭე. ასევე შეგიძლია დაამაგრო სხეულის სხვა ნაწილებიც.

დაგრეხილი მავთულით გაკეთებული ფიგურების შემთხვევაში აღარ დაგჭირდება კიდურების ერთმანეთთან მიმაგრება. მავთულის ფიგურის ცარიელი ადგილები შეგიძლია ამოავსო პლასტილინით, საქსოვი ძაფებით ან ქსოვილის ნაკუწებით.

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რამდენი ფიგურა გამოძერწე?
- რა პოზებში დააყენე ისინი?
- როგორ მიამაგრე სხეულის ნაწილები ერთმანეთს?
- რა და რა მასალა გამოიყენე?
- რა დეტალებით გაალამაზე ფიგურები?
- რა ნიშნით აჩვენე, რომ ეს ოჯახია?

ნაბიჯი 3. გაკვეთილები 31-34 (მოსწ. წიგნი, გვ. 86-93)

ადამიანის სხვადასხვა საქმიანობის ამსახველ ქანდაკებებსა და მათ პოზებზე დაკვირვება

გაკვეთილი 31. ნეცკე (მოსწ. წიგნი, გვ. 86-87)

იაპონურ ტრადიციულ სამოსს, კიმონოს, არა აქვს ჯიბე. იაპონელები საფულეს და გასაღებს პატარა ქისებით ან კოლოფებით ატარებენ. ქისას ზონარს უყრიან და ქამარზე ბალთით იმაგრებენ. სწორედ ამ ბალთას ეწოდება ნეცკე.

მართალია, ნეცკე თავისი დანიშნულებით გამოყენებითი ხელოვნების დარგს მიეკუთვნება, ის ამავე დროს ძვლისგან ან ხისგან ოსტატურად გამოთლილი 3-5 სმ-იანი ქანდაკებაა, რომელსაც ზონრის გასაყრელი ნახვრეტი უნდა ჰქონდეს.

ნეცკე უბრალო ქანდაკება არ არის – ის კიმონოს მოსართავიცაა და ამავე დროს თილისმაც. იაპონელები თვლიან, რომ სწორად შერჩეული ნეცკე პატრონს სხვადასხვა პრობლემის დაძლევაში ეხმარება.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა

მასალა: პლასტილინი

გამოძერწე პატარა ქანდაკება – ფიგურა, რომელიც შენი თილისმა გახდება.

***დამატებითი აქტივობა**
მასალა: საპონი, პლასტილინის დანა, ფანქარი, ქაღალდი, წვეტიანი ჩხირი, მაკრატელი

მოცემული ფოტო ინსტრუქციის მიხედვით გამოთალე საპნის პატარა ფიგურა:
- საპნის ზომის ფურცელზე დახატე ცხოველის ესკიზი.
- გამოჭერი ნახატი და დაადე საპნის ნაჭერს.
- წვეტიანი ჩხირით ამოჩხაპნე კონტური.
- მოხსენი ნახატი.
- პლასტილინის დანით, კონტურის გაყოლებაზე შემოფხიკე ზედმეტი გვერდები.
- თვალები და სხვა დეტალები ამოჩხაპნე წვეტიანი ჩხირით.

გაკვეთილი 32. ოკიმონო (მოსწ. წიგნი, გვ. 88-89)

ნეცკე და ოკიმონო ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, ოღონდ, ნეცკესგან განსხვავებით, ოკიმონო თაროზე დასადგმელი პატარა ქანდაკებაა. ოკიმონო გვიამბობს ღმერთებზე, მითურ გმირებზე, ზღაპრების პერსონაჟებზე, ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობაზე, ბავშვების თამაშებზე... ყველაფერ ამაში იაპონელები მშვენიერებას ხედავენ.

იაპონიის გარეთ ოკიმონო პირველად ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამოფინეს, მე19 საუკუნეში. იმისთვის, რომ დამთვალიერებლებს კარგად დაენახათ, იაპონელმა ოსტატებმა ისინი ზომაში გაზარდეს. ხერხმა გაამართლა. უცხოელებს ისე მოეწონათ ეს ქანდაკებები, რომ ევროპის და ამერიკის მუზეუმებსა და კოლექციებში უფრო მეტი ოკიმონო ინახება, ვიდრე თვით იაპონიაში.

აქტივობა 1. დაკვირვება
დააკვირდი ფიგურების პოზებს, ჟესტებს, მიმიკას.
- რას საქმიანობენ ისინი?
- როგორია მათი სამოსი?
- კიდევ რა დეტალებს ხედავ?
- რაზე მიგვანიშნებენ ეს დეტალები?

- რით განსხვავდებიან ეს ფიგურები უძველესი შუმერული და კიკლადური ქანდაკებებისგან?

აქტივობა 2. დაკვირვება, აღწერა
აღწერე ყველა ოკიმონოს პოზა, გამომეტყველება, სამოსის დეტალები.

გაკვეთილი 33. ნი ჰაო („გამარჯობა“ ჩინურად) (მოსწ. წიგნი, გვ. 90-91)

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა
- დააკვირდი ფიგურების ჯგუფებს. რას გვიამბობენ ისინი ძველი ჩინელების შესახებ?
- მოიფიქრე მოკლე ამბავი. დაასათაურე შენი ნაამბობი.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა.
მასალა: პლასტილინი ან თიხა.

გამოძერწე ადამიანის ქანდაკება რომელიმე ჩინური გამოგონებით ხელში.
- გაიხსენე, რა ხერხით გაუმაგრებ ფიგურას ფეხებს, ტანს, ხელებსა და თავს, რომ არ წაიქცეს ან გაიღუნოს?
- ჩინური გამოგონებებიდან რომელი მოგეწონა მეტად?
- რას გააკეთებს შენი ადამიანი?

გაკვეთილი 34. ფაიფური (მოსწ. წიგნი, გვ. 92-93)

სამოტივაციო საუბარი:
- რა არის თქვენი საყვარელი თამაში?
- მარტოს გიყვარს თამაში თუ სხვებთან ერთად?
- რა სათამაშოებია საჭირო ამ თამაშისთვის?
- როგორი მოძრაობებია დამახასიათებელი ამ თამაშისთვის?

მართალია, ფაიფური ჩინელებმა გამოიგონეს და მისი რეცეპტის საიდუმლოს საგულდაგულოდ ინახავდნენ, მაგრამ ამ საოცარ რეცეპტს ევროპელებმაც მიაგნეს.

ერთმა გერმანელმა მეცნიერმა ქალაქ მაისენის მიდამოებში თეთრი თიხით მდიდარი ადგილი აღმოაჩინა. მრავალი ცდის შემდეგ მან ქათქათა ფაიფურის მასა მიიღო. ამ თიხით დამზადებული, ლამაზად მოხატული ჭურჭელი და ქანდაკებები იოლად არ იმსხვრევა, ხოლო თუ ზედ კოვზს შემოჰკრავ, წკრიალა ხმას გამოსცემს.

მაისენის ქარხანამ მიუვალ ციხესიმაგრეში დაიდო ბინა, რომ ფაიფურის შემადგენლობის საიდუმლო საგულდაგულოდ დაეცვა. ამ ქარხნის ნაწარმმა ისე გაითქვა სახელი, რომ ერთმა მეფემ მეორეს 600 ცხენოსანი ჯარისკაცი 152 ფაიფურის ნივთში გაუცვალა.

გერმანულმა ფაიფურმა მეფეების და იმპერატორების სასახლეები დაამშვენა. დღეს კი ისინი მუზეუმების ვიტრინებშია გამოფენილი.

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა, პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა
აღწერე, რით ერთობიან ბავშვები.
გამოძერწე მოთამაშე ბავშვის ფიგურა.

ეტაპი III – შემაჯამებელი დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე)

უბის წიგნაკში ან სახატავ რვეულში დახატე მომავალი ქანდაკების რამდენიმე ესკიზი. შეარჩიე ერთ-ერთი და პლასტილინით, თიხით, მარილიანი ცომით ან მავთულით გააკეთე ადამიანის ქანდაკება რაიმე საქმიანობის დროს. გადმოეცი მისი მოძრაობა დამახასიათებელი პოზით. სხეულის ნაწილების გასაკეთებლად გამოიყენე სივრცითი ფორმები. მიამაგრე ისინი ერთმანეთს ისე, რომ ფიგურა მყარად იდგეს. ტანსაცმელი და ვარცხნილობა გააფორმე ნაკაწრი, ნაჭდევი დეტალებით ან ქსოვილის ნაკუწებითა და საქსოვი ძაფებით.

ამისთვის დაფიქრდი:

- რა მასალით გააკეთებ ქანდაკებას?
- როგორი პოზით გადმოსცემ ადამიანის საქმიანობას?
- როგორი სივრცითი ფორმების გამოძერწვა დაგჭირდება, რომ მათგან ადამიანის ფიგურა ააწყო?
- რა უნდა გააკეთო, ფიგურა რომ არ წაიქცეს ან გაიღუნოს?
- როგორ დაამაგრებ ერთმანეთზე სხეულის ნაწილებს?
- რა მასალითა და დეტალებით გააფორმებ შენს ქანდაკებას?

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რას საქმიანობს შენი ადამიანი?
- როგორი პოზით გამოხატე მისი საქმიანობა?
- რა მასალა იხმარე?
- რა და რა სივრცითი ფორმები დაგჭირდა სხეულის ნაწილების გასაკეთებლად?
- როგორ გადააბი ერთმანეთს სხეულის ნაწილები?
- რა დეტალებით გაალამაზე ფიგურა?

შემაჯამებელი დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით:

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო თემა: **გაქვავებული ისტორია** **მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____** სამიზნე ცნება 1: იდეა და სახვითი ენა **ქვეცნებები: სახვითი საშუალებები** – ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სივრცითი (3D); სამიზნე ცნება 2: ტექნიკა **ქვეცნებები:** ძერწვა სამიზნე ცნება 3: დარგები და ჟანრები **ქვეცნებები:** ქანდაკება
უბის წიგნაკში ან სახატავ რვეულში დახატე მომავალი ქანდაკების რამდენიმე ესკიზი. შეარჩიე ერთ-ერთი და პლასტილინით, თიხით, მარილიანი ცომით ან მავთულით გააკეთე ადამიანის ქანდაკება რაიმე საქმიანობის დროს. გადმოეცი მისი მოძრაობა დამახასიათებელი პოზით. სხეულის ნაწილების გასაკეთებლად გამოიყენე სივრცითი ფორმები. მიამაგრე ისინი ერთმანეთს ისე, რომ ფიგურა მყარად იდგეს. ტანსაცმელი და ვარცხნილობა გააფორმე ნაკაწრი, ნაჭდევი დეტალებით ან ქსოვილის ნაკუწებითა და საქსოვი ძაფებით.

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული: მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის ორიგინალურ ქანდაკებას საქმისთვის დამახასიათებელი პოზითა და დეტალებით. ქმნის ნამუშევარს მასალის შესაბამისი, მრავალფეროვანი ტექნიკით. იყენებს მრავალფეროვან სივრცით ფორმებს და მყარად ამაგრებს ერთმანეთთან სხეულის ნაწილებს. წარდგენისას ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ყველა ეტაპზე. ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.
მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის ქანდაკებას საქმისთვის დამახასიათებელი პოზითა და დეტალებით. ქმნის ნამუშევარს მასალის შესაბამისი ტექნიკით. იყენებს რამდენიმე სივრცით ფორმას და ამაგრებს ერთმანეთთან სხეულის ნაწილებს. წარდგენისას საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ძირითად ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს რამდენიმე ტერმინს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის ქანდაკებას საქმისთვის დამახასიათებელი პოზით. მასწავლებლის დახმარებით იყენებს მასალის შესაძლებლობებს და შესაბამის ტექნიკას. იყენებს ორიოდ სივრცით ფორმას და მასწავლებლის დახმარებით ამაგრებს ერთმანეთთან სხეულის ნაწილებს. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს, ჩამოთვლის გამოყენებულ მასალას. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის ქანდაკებას, მაგრამ უჭირს პოზის გადმოცემა. უჭირს დამოუკიდებლად მასალის შესაბამისი ტექნიკის გამოყენება. ფიგურას აკლია მნიშვნელოვანი ელემენტები. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს და ჩამოთვლის გამოყენებულ მასალას. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ ვერ იყენებს მათ ნამუშევრის წარდგენისას.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

IV თემა: საიდან მოდის იდეა?

სამიზნე ცნებები:

I-IV კლასები	
სამიზნე ცნება	
იდეა და სახვითი ენა	**სახვითი ენა:** **სახვითი საშუალებები –** ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სივრცითი (3D).
ტექნიკა	კონსტრუირება.
დარგები და ჟანრები	დარგი: არქიტექტურა.
საკითხი: გარემოდან და ბუნებიდან აღებული იდეის განხორციელება სამგანზომილებიან სივრცით კონსტრუქციაში. **საკვანძო შეკითხვები:** საიდან მოსდით არქიტექტორებს ახალი იდეები? როგორ შეიძლება გარემომ ან ხელოვნების ნაწარმოებმა ახალი იდეა მოგაწოდოს?	

შემაჯამებელი დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – შემაჯამებელი დავალების პირობის გაცნობა:

მოარგე ერთმანეთს შენ მიერ შეგროვებული, საინტერესო ფორმის საგნები: ტოტები, კენჭები, ნიჟარები, კოლოფები, სხვადასხვა მექანიზმის დეტალები, ძველი, უსარგებლო ნივთები... დააკვირდი გარემოში არსებულ მრავალფეროვან სივრცით ფორმებს – გეომეტრიულსა და ბუნებრივს. შექმენი არქიტექტურული კონსტრუქციის მყარი მოდელი, რომელსაც ამ ფორმებს მიამსგავსებ.

რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალების განსახორციელებლად:

არქიტექტორს ახალი იდეა შეიძლება გარემომ ან ხელოვნების სხვა ნიმუშმა უკარნახოს. ხელოვანი აკვირდება გარშემო ყველაფერს. იქიდან რაღაც მოსწონს და ეს ფორმა თუ ფერი საკუთარ ნამუშევარში გადააქვს.

მოსწავლეებს თემის დავალებას გააცნობთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.

ა) კონტექსტმაგალითის დათვალიერება, მასზე საუბარი (მოსწავლის წიგნი გვ. 102-103; მსჯელობა დამხმარე შეკითხვების მიხედვით).

შეკითხვის ნიმუშები:

- რას გაგონებენ ამ ნაგებობების ფორმები?
- რით ჰგავს ეს შენობები ბუნების ქმნილებებს?
- რა დეტალებით მიამსგავსეს არქიტექტორებმა ეს შენობები ბუნების ქმნილებებს?

ბ) დავალების პირობის გაცნობა. მოსწავლეებს ვეტყვით: თემის დასრულების შემდეგ უნდა შეასრულოთ ასეთი დავალება: დააკვირდი გარემოში არსებულ მრავალფეროვან სივრცით ფორმებს – გეომეტრიულსა და ბუნებრივს. ამ შთაბეჭდილებით შექმენი კონსტრუქცია, რომელსაც ამ ფორმებს მიამსგავსებ.

იმისათვის, რომ შეძლოთ ამ დავალების შესრულება, გაეცნობით, საიდან იღებენ არქიტექტორები შთაგონებას, როგორ ამსგავსებენ ნაგებობას მათ მიერ არჩეული, გარშემო ნანახს, ბუნების ქმნილების ან ხელოვნების ნაწარმოების ფორმებს.

ასევე, ისწავლით მყარი მოდელის კონსტრუირებას.

რესურსები შემაჯამებელი დავალების განსახორციელებლად:

მოსწავლის სახელმძღვანელო, გაკვეთილები 35-39

ილუსტრაციები:

გრემი, ფრენკ გერი, ლე კორბუზიე, ფრენკ ლოიდ რაიტი, რენდალ სტაუტი, სანტიაგო კალატრავა, ევროდისნეილენდის სასახლე, ხავიერ სენოსიენი, ანტონიო გაუდი, ფარიბორზ საბა, მასიმილიანო ფუკსასი.

დამხმარე მასალა: კაზიმირ მალევიჩის არქიტექტონები, დევიდ სმიტის ქანდაკება, პიტერ ბრეიგელის, ელენე ახვლედიანის, მორის უტრილოს, კაზიმირ მალევიჩის, პაულ კლეეს, პიტ მონდრიანის, ჯორჯო მორანდის ფერწერული ნამუშევრები; სამთავროს, სამთავისისა და ფიტარეთის რელიეფები; ხათუსას ლომების კარიბჭე, ერეხთეონი, სხვადასხვა ნაგებობების შესასვლელები;

შემაჯამებელი დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- როგორ ნაგებობებს ხედავ გარშემო?
- როგორი ფორმები აქვთ მათ?
- რით შეიძლება გაალამაზო ნაგებობა?
- საიდან მოსდით არქიტექტორებს იდეები? რა ამდიდრებს მათ ფანტაზიას?
- შენ როგორი შენობები მოგწონს?
- უხდებიან თუ არა ისინი გარემოს?

ეტაპი II – შემაჯამებელ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. გაკვეთილები 35-36

გაკვეთილი 35. არქიტექტორობანა. (მოსწ. წიგნი, გვ. 98-99)

სამოტივაციო საუბარი:

არქიტექტურა ყველგანაა, სადაც ადამიანი ცხოვრობს. მსოფლიოში მრავალი ნაგებობაა. მათ შორის არის განსაკუთრებული შენობებიც.

ამ თავში გაიგებ, საიდან მოსდით არქიტექტორებს იდეები, საიდან აფიქრდებათ, როგორი შენობა ააგონ. ახალი შენობის იდეა შეიძლება სულ პაწაწინა ნიჟარამ, ღრუბლის ან გირჩის ფორმამ, სურათმა ან ქანდაკებამ გიკარნახოს.

თუ მომავალში არქიტექტორობას გადაწყვეტ, ყურადღებით ათვალიერე გარშემო ყველაფერი – გარემოც და ხელოვნების ნიმუშებიც.

გიცდია კუბურებით მაღალი კოშკის აგება, ქვიშის სასახლის აშენება, ნაფოტით ხიდის გადება და ღობის შემოვლება? კოშკში ფოთოლს ჩაარჭობ და ციხე-სიმაგრეზე დროშა აფრიალდება. ასევე ერთობოდნენ ბავშვობაში დღეს უკვე ცნობილი არქიტექტორები. როცა გაიზარდნენ, თამაში პროფესიად აქციეს.

თამაში სასარგებლო გასართობია. აკეთებ პატარა აღმოჩენებს, იძენ გამოცდილებას, მოგდის ახალი იდეები. სწავლობ, როგორ ააგო ლამაზი და მყარი ნაგებობა.

ზოგს დაბალი და განში გასული შენობები მოსწონს, ზოგს – ცისკენ აჭრილი, ვიწრო და მაღალი; ერთს სწორკუთხა გეომეტრიული ფორმები ხიბლავს, სხვას მიხვეულ-მოხვეული, ტალღოვანი; ზოგს ფერადი, ზოგს კი ერთფერი...

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა
დააკვირდი ფოტოებს.
- რომელი ნაგებობის ავტორს მოსწონს სწორი გეომეტრიული ფორმები?
- რომელ ნაგებობას აქვს ბუნებრივი, მრუდი, უსწორმასწორო ფორმები?

აქტივობა 2. პრაქტიკული დავალება. კონსტრუირება.
მასალა: კუბურები, კოლოფები, ერთჯერადი ჭიქები, მუყაოს რულონები...
კუბურებით, კოლოფებით ან ერთჯერადი ჭიქებით ააგე მაღალი კოშკი.
- რა სიმაღლემდე იქნება ის მყარი? რატომ დაგენგრა?
- დაფიქრდი, როგორ უნდა გახადო ის უფრო მყარი და მაღალი?
- გადაუღე შენს ნაგებობას ფოტო და გაუზიარე მეგობრებს.

გაკვეთილი 36. არქიტექტონები (მოსწ. **წიგნი, გვ. 100-101)**

ასათვისებელი ტერმინი:
კონსტრუქცია – სხვადასხვა ნაწილისგან შემდგარი წყობა, ნაგებობა

აქტივობა 1. შედარება
შეადარე მალევიჩის სურათები მისსავე არქიტექტონებს.
- რა მსგავსებაა მათ შორის?
- რას გაგონებს არქიტექტონები?

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა
დააკვირდი შენობას და არქიტექტონს.
- რა აქვს შენობას ისეთი, რაც არ გააჩნია არქიტექტონს?
- რა არის აუცილებელი შენობისთვის ისეთი, რომ მასში შიგ შეხვიდე?
- რა არის აუცილებელი შენობისთვის, რომ მის შიდა სივრცეში დღის შუქმა შეაღწიოს?

აქტივობა 3. პრაქტიკული აქტივობა. კონსტრუირება.
მასალა: მუყაოს კოლოფები ან პლასტილინი.
პატარა კოლოფებით ან პლასტილინით გააკეთე არქიტექტონი – გეომეტრიული ფორმებით შექმნილი კონსტრუქცია.

ნაბიჯი 2. გაკვეთილები: 37-39
არქიტექტურული იდეების წყაროები (ბუნება და ხელოვნება)

გაკვეთილი 37. არქიტექტურა და ბუნება

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა
შენ უკვე იცნობ სივრცით გეომეტრიულ ფორმებს.
განმარტე შენი სიტყვებით, რას ნიშნავს ბუნებრივი ფორმა?
- რა და რა ბუნებრივ ფორმებს ხედავ ფოტოებზე?

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი სურათებს და იპოვე მსგავსება არქიტექტორების ჩანაფიქრსა და ბუნების ქმნილებებს შორის.

- როგორი ფორმები აქვთ მათ?
- რით მიამსგავსეს არქიტექტორებმა შენობები სოკოს, ყვავილს, თევზს?
- სად შეიძლება იყოს შესასვლელი?
- საიდან შედის შენობაში დღის შუქი?

აქტივობა 3. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი თბილისის იუსტიციის სახლს.

- რას გაგონებს ეს შენობა?

გაკვეთილი 38. არქიტექტურა და მხატვრობა (ორი განშლა, მოსწ. წიგნი, 104-107)

პირველი განშლა:

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი სიღნაღის ფოტოს და ელენე ახვლედიანის პეიზაჟებს.

- რომელმა შენობამ მიიქცია მხატვრის ყურადღება?
- როგორი იქნებოდა სურათი მის გარეშე?

აქტივობა 2. პრაქტიკული დავალება, ფოტოს გადაღება

შემოუნახე ისტორიას შენი არქიტექტურული გარემოს ხედი.

- გადაიღე შენი საყვარელი ადგილის ფოტო.
- ფოტოს მიხედვით დახატე პეიზაჟი.
- რა ნაგებობა შეარჩიე და რატომ?

მეორე განშლა:

აქტივობა 3. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი ფერწერულ სურათებს და მათი შთაგონებით შექმნილ ნაგებობებს.

- რით მიამსგავსეს არქიტექტორებმა შენობები ფერწერულ სურათებს? *(პიტერ ბრეიგელის სურათზე ვხედავთ დანგრეული, სპირალური ფორმის კოშკს. ევროპარლამენტის შენობაც წრიულია და ზედა სართულები დაუმთავრებელი შენობის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ფრენკ გერიმ ჯორჯო მორანდის ნატურმორტიდან ისარგებლა ფერებით და ერთად დაჯგუფებული სხვადასხვა ფორმებით. პიტ მონდრიანი იყენებს შავი ზოლებით გამოყოფილ მართკუთხა გეომეტრიულ ფორმებს და მხოლოდ ძირითად ფერებს: ყვითელს, წითელს, ლურჯს. ასეთივე ფორმები და ფერებია გამოყენებული საგამოფენო დარბაზის არქიტექტურაში.)*

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, კონსტრუირება

მასალა: მუყაოს კოლოფები, წებო, მაკრატელი, საღებავები

დააკვირდი კაზიმირ მალევიჩის და პაულ კლეეს ნამუშევრებს.

- რა ფორმები ამოიცანი? *(ბრტყელი გეომეტრიული ფორმები. მართკუთხედი და წრე კაზიმირ მალევიჩთან; მართკუთხედი, სამკუთხედი და წრე პაულ კლეესთან.)*

გადააქციე სურათის ბრტყელი ფორმები სივრცით ფორმებად.

- მუყაოს კოლოფებით ააწყე მსგავსი არქიტექტურული მაკეტი.
- რა დეტალებს მიახატავ შენს მაკეტს, რომ ეს ფორმები შენობას მიამსგავსო?

შეაგროვე შენი და მეგობრების მიერ დამზადებული მაკეტები.

მოზრდილ მუყაოზე დაალაგეთ და დააწებეთ მაკეტები ისე, რომ მთელი ქალაქი გამოვიდეს ქუჩებითა და მოედნებით.

- რა დეტალებს დაამატებთ თქვენს ქალაქს?
- რით გაალამაზებთ მოედნებს?

გაკვეთილი 39. არქიტექტურა და ქანდაკება (მოსწ. წიგნი, გვ. 108-109)

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

- როგორი არსებები იცავენ ძველ შენობებს? *(ანგელოზი, ზღაპრულ-მითური გრიფონი, წმინდანი, საშიში ცხოველები – ლომები)*
- რით ამკობენ თანამედროვე ნაგებობებს?
- რატომ აღარ დგამენ „მცველებს“ თანამედროვე შენობების წინ?

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

რა დანიშნულება აქვთ ქანდაკებებს ამ შენობებზე? *(ლუვრის ფანჯარაზე ქანდაკებები მოსართავია. ისინი ალამაზებენ შენობას. ერეხთეონის ტაძარში, თბილისის ერთ-ერთ სადარბაზოზე და დანიაში მდებარე სპილოების კარიბჭეზე ქანდაკებებს საყრდენის დანიშნულება აქვთ. აქ შეიძლება ყოფილიყო უბრალო ბოძები, მაგრამ არქიტექტორმა მოიფიქრა და ბოძების ნაცვლად ქანდაკებებით გაალამაზა შესასვლელები. თბილისის სადარბაზოზე და დანიის კარიბჭეზე ქანდაკებები მცველებადაც აღიქმებიან)*

აქტივობა 3. დაკვირვება, პრაქტიკული სამუშაო, ჩანახატი

დააკვირდი შენ გარშემო შენობებს.

- რა ალამაზებს მათ?
- უბის წიგნაკში გააკეთე შენობის მოსართავის ჩანახატი.

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო

გააკეთე შენობის კარიბჭის პატარა მოდელი.

- გამოძერწე წყვილი ქანდაკება და გაალამაზე კარიბჭე.
- რომელ არსებას დაავალებდი კარიბჭის დაცვას – რეალურს თუ ზღაპრულს?
- რა ნიშნით შეარჩიე ეს არსება მცველად?

ეტაპი III – შემაჯამებელი დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე)

სამოტივაციო საუბარი:

შენ უკვე იცი, რომ არქიტექტურა ჩვენი გარემოს მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენი გუნება-განწყობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გარემოში ვცხოვრობთ. არქიტექტურულ გარემოს არქიტექტორები ქმნიან.

საიდან მოსდით მათ იდეები? რა ამდიდრებს მათ ფანტაზიას?

ბუნებიდან, მხატვრობიდან, ქანდაკებიდან და ჩვეულებრივი საგნების ფორმებისგან მიღებული შთაბეჭდილებები არქიტექტორის მეხსიერების სკივრში ინახება და შემდეგ ახალი იდეის სახით იბადება.

- რა ინახება შენი შთაბეჭდილებების სკივრში?
- მიმოიხედე, შეამჩნიე, დააკვირდი...

- რას ხედავ ბუნებაში?
- რა ფორმის საგნებია შენ გარშემო?
- რა კონსტრუქცია შეგიძლია შექმნა ამ ფორმებით?

მოარგე ერთმანეთს შენ მიერ შეგროვებული, საინტერესო ფორმის საგნები: ტოტები, კენჭები, ნიჟარები, კოლოფები, სხვადასხვა მექანიზმის დეტალები, ძველი, უსარგებლო ნივთები... დააკვირდი გარემოში არსებულ მრავალფეროვან სივრცით ფორმებს – გეომეტრიულსა და ბუნებრივს. შექმენი არქიტექტურული კონსტრუქციის მყარი მოდელი, რომელსაც ამ ფორმებს მიამსგავსებ.

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რამ გიკარნახა იდეა?
- რით მიამსგავსე შენი მოდელი შთაგონების საგანს?
- რა მასალა და რა საგნები შეარჩიე შენი კონსტრუქციისთვის?
- როგორი ფორმები აქვთ მათ?
- როგორ მოარგე ისინი ერთმანეთს?

შემაჯამებელი დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით:

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო თემა: **საიდან მოდის იდეა?** **მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____** სამიზნე ცნება 1: იდეა და სახვითი ენა **ქვეცნებები: სახვითი საშუალებები –** ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სივრცითი (3D); სამიზნე ცნება 2: ტექნიკა **ქვეცნებები:** კონსტრუირება სამიზნე ცნება 3: დარგები და ჟანრები **ქვეცნებები:** არქიტექტურა
მოარგე ერთმანეთს შენ მიერ შეგროვებული, საინტერესო ფორმის საგნები: ტოტები, კენჭები, ნიჟარები, კოლოფები, სხვადასხვა მექანიზმის დეტალები, ძველი, უსარგებლო ნივთები... დააკვირდი გარემოში არსებულ მრავალფეროვან სივრცით ფორმებს – გეომეტრიულსა და ბუნებრივს. შექმენი არქიტექტურული კონსტრუქციის მყარი მოდელი, რომელსაც ამ ფორმებს მიამსგავსებ.

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული: მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.	დავალების პირობის თანახმად, მის მიერ შეგროვებული მასალით ქმნის გარემოდან მიღებული შთაბეჭდილებით შთაგონებულ, ორიგინალურ არქიტექტურულ კონსტრუქციას. მოდელის ფორმები ზედმიწევნით იმეორებს გარემოდან შერჩეული საგნის ფორმებს. იყენებს მრავალფეროვან, გეომეტრიულ ან ბუნებრივ სივრცით ფორმებს, ქმნის მათ საინტერესო კომბინაციას და მყარად აკავშირებს ელემენტებს ერთმანეთთან. ქმნის ნამუშევარს მასალის შესაბამისი ტექნიკით. წარდგენისას ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ყველა ეტაპზე. ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.
მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის თანახმად, მის მიერ შეგროვებული მასალით ქმნის გარემოდან მიღებული შთაბეჭდილებით შთაგონებულ არქიტექტურულ კონსტრუქციას. მოდელის ფორმები იმეორებს გარემოდან შერჩეული საგნის ფორმებს. იყენებს რამდენიმე, გეომეტრიულ ან ბუნებრივ სივრცით ფორმას, ქმნის მათ კომბინაციას და აკავშირებს ელემენტებს ერთმანეთთან. ქმნის ნამუშევარს მასალის შესაბამისი ტექნიკით. წარდგენისას საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ძირითად ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს რამდენიმე ტერმინს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	დავალების პირობის თანახმად, მის მიერ შეგროვებული მასალით ქმნის არქიტექტურულ კონსტრუქციას. მოდელის ფორმები სუსტად წააგავს გარემოდან შერჩეული საგნის ფორმებს. იყენებს ორიოდ გეომეტრიულ ან ბუნებრივ სივრცით ფორმას. მასწავლებლის დახმარებით იყენებს მასალის შესაძლებლობებს და ქმნის ნამუშევარს მასალის შესაბამისი ტექნიკით. მასწავლებლის დახმარებით ქმნის მათ კომბინაციას და აკავშირებს ელემენტებს ერთმანეთთან. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს, ჩამოთვლის გამოყენებულ მასალას. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის კონსტრუქციას სხვისი მორჩენილი მასალებით. მოდელის ფორმები არ ჰგავს გარემოდან შერჩეული საგნის ფორმებს. იყენებს ერთ მარტივ სივრცით ფორმას. მასწავლებლის დახმარებითაც უჭირს მასალის შესაბამისი ტექნიკის გამოყენება. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს და ჩამოთვლის გამოყენებულ მასალას. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ ვერ იყენებს მათ ნამუშევრის წარდგენისას.

პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

V თემა: წვრილად მოყოლილი ამბები

სამიზნე ცნებები:

I-IV კლასები	
სამიზნე ცნება	
იდეა და სახვითი ენა	**სახვითი საშუალებები –** ხაზი (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი; კონტური, შტრიხი). ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი). ფონი. **სახვითი ხერხები –** ძირითადის გამოყოფა, წინა და უკანა ხედი, ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.
დარგები და ჟანრები	დარგები: მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა). ჟანრები: პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ყოფითი და სხვ.
საკითხი: სურათის მთლიანობის აღქმისა და დეტალებზე დაკვირვების გზით ნაწარმოების შინაარსის ამოცნობა; ნაწარმოებზე მსჯელობა, საკუთარი აზრის და დამოკიდებულების გამოხატვა და სხვებისთვის გაზიარება. **საკვანძო შეკითხვები:** • რას გვიამბობს ხელოვნება ადამიანების შესახებ? • რა ხერხებით გვიამბობს ხელოვნება ამბავს?	

შემაჯამებელი დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – შემაჯამებელი დავალების პირობის გაცნობა:

გადაათვალიერე სახელმძღვანელო. შეარჩიე რომელიმე მხატვრის ნამუშევარი, რომელიც ადამიანის შესახებ ამბავს გვიამბობს. კარგად დააკვირდი სურათს და დაწერე მოკლე მოხსენება კონფერენციისათვის. ისაუბრე, რა დახატა მხატვარმა და როგორი მხატვრული ხერხებით გადმოგვცა ამბავი.

მოაწყვეთ კონფერენცია, გააკეთე მოკლე მოხსენება ამ ნაწარმოების შესახებ.

- რომელი მხატვრის სურათი შეარჩიე?
- რას გვამცნობს სურათის სათაური?
- ეს ფერწერაა თუ გრაფიკა?

- დასრულებული ნამუშევარია თუ ესკიზი?
- პორტრეტია თუ ყოფითი სურათი?

შინაარსი:

- რას გვიამბობს სურათი?
- სად ხდება ამბავი, ღია ცის ქვეშ თუ შენობაში?
- რა ხატია წინ? რა ხატია უკან?
- რა არის სურათში მთავარი?
- კიდევ რა დეტალები აღმოაჩინე?
- წელიწადის რა დროა? რა ნიშნით მიხვდი?
- დილაა, დღე თუ საღამო?
- როგორ აცვიათ ადამიანებს?
- რას საქმიანობენ?
- როგორი პოზებითაა გადმოცემული მათი მოქმედება?
- რა განწყობაზე არიან? რა ნიშნით მიხვდი?
- ძველი დროა თუ თანამედროვე? რა ნიშნით მიხვდი?

ისაუბრე მხატვრულ ხერხებზე:

- აღწერე, როგორ ფერებს ხედავ? დაახასიათე ეს ფერები.
- რომელმა ფერმა მიიქცია შენი ყურადღება?
- როგორი ფერები ჭარბობს – თბილი თუ ცივი, მუქი თუ ღია?
- რა განწყობას ქმნიან ეს ფერები?
- როგორ ხაზებს ხედავ?
- არის სურათში რაიმე მთავარი თუ ყველაფერი ერთნაირად მნიშვნელოვანია?
- რა ხერხით გამოყო მხატვარმა მთავარი – ფერით, ხაზით თუ ზომით?
- სურათი გრძივად ხატია თუ განივად? რატომ?

შეაფასე:

- რატომ შეარჩიე ეს ნაწარმოები?
- რა გვიამბო მხატვარმა?
- რა იცოდი მსგავსი სიტუაციის შესახებ ადრე და რა შეიტყვე ახალი?
- როგორი განწყობაა სურათში – საზეიმო, მყუდრო თუ საშიში?
- შენ როგორ გუნებაზე გაყენებს ეს ნაწარმოები?
- როგორ ფიქრობ, რა გუნებაზე იქნებოდა მხატვარი, როდესაც ამ სურათს ხატავდა? რატომ ფიქრობ ასე?

რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალების განსახორციელებლად:

როდესაც ამბავს ყვები, მთავარ აზრს წვრილმანებით ამდიდრებ. ასე მსმენელი უკეთ წარმოიდგენს მთელ ვითარებას. ასეა მხატვრობაშიც – მთავარის გარდა, მხატვარი ბევრ ისეთ დეტალსაც გვიხატავს, რაც სულაც არაა აუცილებელი, მაგრამ სურათს აცოცხლებს და ამბავს ამდიდრებს. და აი, შენ უკვე ხედავ, რა ხდება გარშემო; წარმოიდგენ, გრილა თუ თბილა, როგორი ხმები ისმის; როგორი სურნელი ტრიალებს...

სურათები გვიამბობენ, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი შორეული წინაპრები, როგორ ცხოვრობენ ჩვენი თანამედროვეები სხვადასხვა ქვეყანაში. სურათებით შეგვიძლია მთელი მსოფლიო გავიცნოთ.

***მინიშნება მასწავლებელს**

მთელი ამ თემატური ბლოკის მიზანია, მოსწავლეები მივაჩვიოთ დეტალებზე ყურადღების გამახვილებას

და მთლიანობის აღქმას. ეს უნარი მათ არა ერთ ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოადგებათ.

მოსწავლეებს თემის დავალებას გააცნობთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.

ა) კონტექსტმაგალითის დათვალიერება, მასზე საუბარი (მოსწავლის წიგნი გვ. 122-123; მსჯელობა დამხმარე შეკითხვების მიხედვით).

შეკითხვის ნიმუშები:

- რას გვიამბობს მხატვარი?
- რა ხატია ახლოს? რა ხატია უკან?
- არის სურათში რაიმე მთავარი თუ ყველაფერი ერთნაირად მნიშვნელოვანია?
- რა არის სურათში მთავარი?
- რომელი ფერია მთავარი?
- როგორი ფერები სჭარბობს – ცივი თუ თბილი, ღია თუ მუქი?
- როგორი განწყობაა სურათში?
- რა ქმნის ამ განწყობას?

ბ) დავალების პირობის გაცნობა.

მოსწავლეებს ვეტყვით: თემის დასრულების შემდეგ უნდა შეასრულოთ ასეთი დავალება: მოაწყოთ კონ-ფერენცია. სახელმძღვანელოდან უნდა შეარჩიოთ რომელიმე სურათი, რომელიც ადამიანის შესახებ ამბავს გვიამბობს და ისაუბროთ, რა დახატა მხატვარმა და როგორი მხატვრული ხერხებით გადმოგვცა ამბავი.

იმისათვის, რომ შეძლოთ ამ დავალების შესრულება, გაეცნობით სხვადასხვა მხატვრის ნაწარმოებს, დააკვირდებით მათ და ისწავლით შინაარსის ამოცნობას, მთავარისა და დეტალების გარჩევას, საკუთარ შთაბეჭდილებებზე საუბარს.

****მითითებები მასწავლებლისთვის:**

სანამ მოსწავლეები შეუდგებიან წერითი დავალების შესრულებას, აუცილებელია მათ გაესაუბროთ ნაწარმოების შესახებ. ხელოვნების ნაწარმოების ჯგუფურად განხილვა იწვევს ინტერესს, ბადებს აზრს ნაწარმოების შესახებ და მისდამი დამოკიდებულებას. საუბარს, მოსმენასა და წერას შორის ინტეგრალური კავშირის გათვალისწინებით, ეს დისკუსიები შეამზადებს მოსწავლეებს წარმატებული წერისთვის და საშუ-ალებას მისცემს მათ გაიხსენონ ტერმინები, რომლებსაც გამოიყენებენ წერილობით ნაშრომში.

1. სთხოვეთ ყველას, ჩუმად **შეხედონ** სურათს რამდენიმე წამით. ეს მათ საშუალებას მისცემს აღიქვან ვიზუალური ინფორმაცია.
2. შემდეგ სთხოვეთ **აღწერონ** რას ამჩნევენ. რა არის მთავარი? კიდევ რას ხედავთ? შესაძლოა, დაკვირ-ვებები დაფაზე ჩამოწეროთ.
3. შემდეგ დასვით **ანალიტიკური** შეკითხვები: **დაფიქრდით,** რას ფიქრობთ იმაზე, რასაც ხედავთ? რას გვეუბნება ჩვენი დაკვირვებები მხატვრულ ნაწარმოებში აღწერილ ამბავზე, იდეაზე, განწყობაზე ან განცდაზე?
4. შემდეგ სთხოვეთ ჯგუფს **განიხილონ** რა **აღმოაჩინეს;** როგორ უკავშირდება ნამუშევარი მათ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და წინარე ცოდნას; რა იცოდნენ მსგავსი რაიმეს შესახებ ადრე და რა შეიტყვეს ახალი.

შეთავაზებული წერილობითი აქტივობები შეიძლება დაეყრდნოს ამ პასუხებს.

რა მოხდება, თუ ყველას განსხვავებული აზრი აქვს ან ნამუშევარი განსხვავებულად ესმის? ხელოვნება თავისი მნიშვნელობით მრავალშრიანია და მას ყველა თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით აღიქვამს.

ამიტომ, თუ ყველა განსხვავებულად უპასუხებს, ეს სავსებით დასაშვებია. მასწავლებელმა ყველა იდეა თანაბრად და განსჯის გარეშე უნდა მიიღოს. თუ მოსწავლეები არასწორად გაიგებენ ვიზუალურ დეტალებს, სასურველია მათი დაზუსტება.

რესურსები შემაჯამებელი დავალების განსახორციელებლად:
სახელმძღვანელო, გაკვეთილები 40-47

ილუსტრაციები:
იერონიმუს ბოში, იან ვან ეიკი, პიტერ ბრეიგელი, ფელიქს ვალოტონი, ოსკარ შმერლინგი, ნიკო ფიროს-მანაშვილი, დავით კაკაბაძე, ლოურენს ლოური, დიმიტრი ერისთავი.

შემაჯამებელი დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
როგორი სურათები მოგწონს?
რას გვიამბობენ სურათები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებზე?
როგორი მხატვრული ხერხებით გვიამბობენ მხატვრები ამბებს?

ეტაპი II – შემაჯამებელ დავალებაზე მუშაობა
სათადარიგო წერითი აქტივობა:
ამ აქტივობის განხორციელება შეიძლება ყოველი გაკვეთილის საშინაო, წერით დავალებად. ასევე, ის შეიძლება გამოიყენოთ შემაჯამებელ დავალებადაც.

მოსწავლეები დაათვალიერებენ ილუსტრაციებს, იმსჯელებენ, შეარჩევენ ერთ-ერთს და ინსტრუქციის მიხედვით დაწერენ თხზულებას.
შემდეგ გაკვეთილზე ისინი ხმამაღლა წაიკითხავენ თხზულებებს და გამოთქვამენ აზრს ერთმანეთის ნაწერების შესახებ.

დავალება:
შეარჩიე რომელიმე ცნობილი მხატვრის სურათი. წარმოიდგინე, რომ ამ სურათში აღმოჩნდი.
მიმოიხედე და აღწერე, რას ხედავ.
როგორ გარემოში მოხვდი? როგორი ფერებია გარშემო?
როგორი ამინდია? ცივა თუ ცხელა? დღეა თუ ღამე? სიმშვიდეა თუ ხმაური?
მოიფიქრე, რა მოხდა მანამდე და რა მოხდება შემდგომ.
რა გრძნობა დაგეუფლა და რატომ?
ვინ შეგხვდა, რაზე ისაუბრეთ?
რას აკეთებდნენ სურათის გმირები?
რას აკეთებდი შენ?
რით დასრულდა ამბავი?

სამოტივაციო საუბარი:
ზოგჯერ, როდესაც კარგ წიგნს კითხულობ ან ფილმს უყურებ, გგონია, თითქოს თავადაც იქ იმყოფები, იმ თავგადასავლის მონაწილე ერთ-ერთი პერსონაჟი ხარ.

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თხზულების მოთხოვნებს.

გთავაზობთ თხზულების გეგმასა და აბზაცების პირველი წინადადებების დასაწყისს:

1. მიუთითე, რომელი მხატვრის რომელ სურათში „იმოგზაურე“.

2. აღწერე, რას ხედავ – დაიწყე მთავარით, რაც უფრო მეტად იქცევს ყურადღებას. შემდეგ გადადი დეტალებზე (სად ხარ; ვისთან ერთად; რა დროა; რა ხდება)

3. რა შეიძლებოდა მომხდარიყო ამ მომენტამდე;

4. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები;

5. რა გრძნობა დაგეუფლა? რატომ?

თხზულების გეგმა:

უცებ ცნობილი მხატვრის (სახელი და გვარი), ... (გრაფიკულ/ფერწერულ) სურათში (სათაური).....შევაბიჯე.

დავინახე, რომ . . .

ვიგრძენი, რომ. . . .

თხზულების ავტორი: III კლასის მოსწავლე . . . . . .

თარიღი . . . . . .

ნაბიჯი 1

გაკვეთილი 40. ძველი ამბები (მოსწ. წიგნი, ორი განშლა, გვ. 114-115)

პირველი განშლა:

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დაათვალიერე იერონიმუს ბოშის სურათი „მოგვთა თაყვანისცემა“.

- მოყევი, რას ხედავ?
- ვინ არიან სურათის მთავარი გმირები?
- რა ხატია ახლოს?
- რას ხედავ შორს?

იერონიმუს ბოშის სურათი „მოგვთა თაყვანისცემა“ გვიამბობს იმ ეპიზოდს იესო ქრისტეს შობის შესახებ, როდესაც შორეული ქვეყნის სამმა მეფემ, ვარსკვლავთმრიცხველმა მოგვებმა გასპარმა, ბალთაზარმა და მელქიორმა ცაზე აკიაფებულმა ვარსკვლავმა ღმერთის შვილის, იესოს დაბადება ამცნო. მოგვები, ძღვენით ხელში, მივიდნენ ბეთლემში და მიულოცეს ღვთისმშობელს და იოსებს ახალშობილის ქვეყნად მოვლენა. იქვე იყვნენ ანგელოზები და მწყემსები.

-

აქტივობა 2. დაკვირვება

- აღწერე ადამიანების ჩაცმულობა.
- რა ფერის ხალიჩა დაუფინა მხატვარმა ღვთისმშობელს, ლურჯი კაბა უფრო ჟღერადი რომ ყოფილიყო?
- რომელმა მოიხადა ქუდი და რატომ?
- რას აკეთებს მწყემსი კოცონთან?
- რას აკეთებენ ანგელოზები?

აქტივობა 3. დაკვირვება

მოძებნე:

- ძაღლი
- ძროხა
- ვარსკვლავი

მეორე განშლა:

აქტივობა 4. დაკვირვება, აღწერა

ნიდერლანდელმა ფერმწერმა იან ვან ეიკმა, ბურგუნდიელი დიდგვაროვნის, კანცლერ როლენის დაკვეთით შექმნა ფერწერული სურათი, რომელზეც ასახა, როგორ ლოცულობს კანცლერი ღვთისმშობლისა და ჩვილი იესოს წინაშე.

დააკვირდი იან ვან ეიკის სურათს „კანცლერ როლენის მადონა“.

- მოყევი, რას ხედავ.
- სად ხდება მოქმედება?
- რა არის მთავარი?
- რა ხდება წინ?
- რა ხდება შუაში?
- რა ხატია უკან?
- რა უჭირავს პატარა ქრისტეს?
- რა უჭირავს ანგელოზს?
- სად დევს წიგნი?
- როგორი ფრთები აქვს ანგელოზს?
- აღწერე გმირების სამოსი და ვარცხნილობა.

აქტივობა 5. დაკვირვება, ანალიზი, ინტერპრეტაცია

- რა გვიამბო მხატვარმა?
- რა ნიშნით გამოკვეთა მხატვარმა მთავარი პერსონაჟები?
- რა ფერებს ხედავ?
- რომელი ფერი გხვდება თვალში?
- ვის აცვია ცივი ფერის სამოსი და ვის – თბილი?
- ვის აცვია ყველაზე კაშკაშა სამოსი?
- რატომ მოასხა მხატვარა ღვთისმშობელს ასეთი კაშკაშა მოსასხამი?
- სურათში სიჩუმეა თუ ხმაური?
- რა ხმები შეიძლება ისმოდეს გარედან?
- დაფიქრდი, რაზე შეიძლება ფიქრობდეს ამ დროს კანცლერი როლენი?
- რა შეიძლება უამბოს კანცლერმა ოჯახის წევრებს, როდესაც სახლში დაბრუნდება?
- როგორ ფიქრობ, რატომ ჩათვალა მან საჭიროდ შორეულ ხედზე მთელი ქალაქის და ხალხის დახატვა, ისინი ხომ მხოლოდ დეტალებზე დაკვირვების შემდეგ ჩანს?
- დააკვირდი დეტალებს და მოძებნე ისინი სურათზე.

გაკვეთილი 41. ჩვეულებრივი ამბები (მოსწ. წიგნი, ორი განშლა, გვ. 118-122)

პირველი განშლა (გვ. 118-119):

*სანამ მოსწავლეები სახელმძღვანელოს გადაშლიან, მასწავლებელი დასვამს შეკითხვას:

- წარმოიდგინეთ, რომ უნდა დახატოთ ერთი სცენა სოფლის ცხოვრებიდან.
- რას დახატავდით?
- რამდენ ადამიანს დახატავდით?
- რას გააკეთებდნენ ისინი?
- წელიწადის რა დრო იქნებოდა თქვენს ნახატზე?
- რა დეტალებით გაამდიდრებდით ამბავს?

პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, ნახონ, რისი დახატვა გადაწყვიტა ნიდერლანდელმა ფერმწერმა პიტერ ბრეიგელმა და რით განსხვავდება ბრეიგელის სურათი მათი ჩანაფიქრისგან.

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი ნიდერლანდელი ფერმწერის პიტერ ბრეიგელის სურათს.

- მოყევი რას ხედავ.
- როგორია ბრეიგელის სოფელი?
- რა ხატია ახლოს?
- რა მოჩანს შორს?
- სურათის რომელი მონაკვეთია მთავარი?
- რას აკეთებენ ადამიანები?
- რაზე შეიძლება საუბრობდნენ ისინი?
- როდის მწიფდება ხორბალი?
- გინახავს, როგორ მკიან ყანას?
- დღეს როგორ იღებენ მოსავალს?
- რა გვაქვს საერთო იმ დროსთან?
- რა სათაურს შეურჩევდი ამ სურათს?

აქტივობა 2. დაკვირვება

დააკვირდი დეტალებს და მოძებნე მათი ადგილი სურათში.

მეორე განშლა:

ასათვისებელი ტერმინები:

ჟანრი – ნაწარმოების შინაარსის აღმნიშვნელი სიტყვა.

შენთვის ნაცნობი ჟანრებია: პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი.

ყოფითი ჟანრი – ადამიანის ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი სურათი.

აქტივობა 3. დაკვირვება, აღწერა, ანალიზი, მსჯელობა

დაათვალიერე ნიდერლანდელი ფერმწერის პიტერ ბრეიგელის სურათი „გლეხების ქორწილი“ და მოყევი, რას ხედავ.

- რას ხედავ წინ და რა ხდება უკან?
- რას აკეთებენ სტუმრები?
- როგორ სკამებზე სხედან?
- ვინ არის მთავარი წვეულებაზე?
- სად ზის პატარძალი?

- რა განასხვავებს პატარძალს დანარჩენი ქალებისგან?
- როგორ ართობენ სტუმრებს?
- რით დაატარებენ კერძს?
- რა კიდია კედელზე?
- რომელი ფერია წამყვანი სურათში?
- რომელი ფერები აცოცხლებენ სურათს?
- რა ხმები შეიძლება ისმოდეს ამ სურათში?
- მოუფიქრე სურათს სათაური

აქტივობა 4. დაკვირვება

დაათვალიერე პიტერ ბრეიგელის სურათი „გლეხების ქორწილი“ და მოძებნე:

- ორი მუსიკოსი
- ძაღლი
- დიდი კალათა
- ხორბლის თავთავების კონა
- ორი ხანჯლიანი სტუმარი
- წინსაფრიანი მამაკაცი
- ქუდში ჩამაგრებული კოვზი
- დანა
- ფარშევანგის ბუმბული
- დათვალე, რამდენი ბავშვია.
- რით ჭამს პატარა ბიჭუნა?

აქტივობა 5. აღწერა, ანალიზი

დაათვალიერე პიტერ ბრეიგელის სურათი „ცეკვა ქორწილში“ და მოყევი, რას ხედავ.

- რა ხდება სურათში?
- სად ხდება მოქმედება?
- რას აკეთებენ ადამიანები?
- აღწერე მათი ჩაცმულობა.
- რა ფერები აცოცხლებენ სურათს?

აქტივობა 6. ინტერპრეტაცია

მოიფიქრე მოკლე ამბავი პიტერ ბრეიგელის ამ ორი სურათის მიხედვით.

აქტივობა 7. დაკვირვება

დაათვალიერე პიტერ ბრეიგელის სურათი „ცეკვა ქორწილში“ და მოძებნე:

- პატარძალი
- ორი მუსიკოსი
- დიდი დოქი
- მაგიდასთან მსხდომი სტუმრები

გაკვეთილი 42. ნაცნობი ამბები (მოსწ. წიგნი, 122-123)

აქტივობა 1. დაკვირვება, ანალიზი, ინტერპრეტაცია

დააკვირდი ფრანგი ფერმწერის ფელიქს ვალოტონის სურათებს.

- რას გვიამბობს მხატვარი?
- რა არის მთავარი?
- როგორი გარემოა?
- რა განწყობა სუფევს?
- რომელი ფერი ქმნის ამ განწყობას?
- სურათებში თბილი ფერები ჭარბობს თუ ცივი?
- რას აკეთებენ პერსონაჟები?
- რაზე შეიძლება ფიქრობდნენ ისინი?
- როგორ აცვიათ გმირებს?
- რომელ სურათზეა ყველაფერი თანაბრად მნიშვნელოვანი?

აქტივობა 2. დახარისხება, ინტერპრეტაცია

- ეს სურათები გრაფიკას მიეკუთვნება თუ ფერწერას?
- რა ნიშნით მიხვდი?
- რა ჟანრისაა ფელიქს ვალოტონის სურათები?
- სად იმყოფებიან პერსონაჟები?
- რა ხატია წინ და რა – უკან?
- აღწერე გარემო.
- რას ხედავ ფონზე?
- რას აკეთებენ სურათის გმირები?
- რომელი ამბავია შენთვის უფრო ნაცნობი და ახლობელი?

***დამატებითი აქტივობა:**

დააკვირდი ფელიქს ვალოტონის მეოთხე სურათს. ქალი და ბავშვი განსხვავებულად აღიქვამენ ერთსა და იმავე სიტუაციას. წარმოიდგინე, რომ მათი ფიქრები ჩაგესმის.

- რას შეიძლება ფიქრობდეს ქალი და რას – ბავშვი?

გაკვეთილი 43. ძველი თბილისი (მოსწ. წიგნი, გვ. 124-125)

აქტივობა 1. დაკვირვება, ინტერპრეტაცია

დააკვირდი ოსკარ შმერლინგის სურათებს და მოყევი, რას ხედავ.

აქტივობა 2. დაკვირვება, დახარისხება, აღწერა, ინტერპრეტაცია

დააკვირდი ოსკარ შმერლინგის გრაფიკულ ნახატებს.

- რომელ ჟანრს მიაკუთვნებ მათ?
- რას საქმიანობენ პერსონაჟები?
- როგორ აცვიათ მათ?
- რა ნივთებს ხედავ?
- იქ რომ აღმოჩენილიყავი, რა გაგაკვირვებდა ყველაზე მეტად?
- რა გეცნო იმდროინდელი ყოფიდან?
- მათგან რა შემორჩა ჩვენს დღევანდელ ყოფაში?

აქტივობა 3. დაკვირვება

დააკვირდი ოსკარ შმერლინგის ნამუშევრებს და მოძებნე:

- სარკე
- კატა
- აქლემი
- ურემი
- ტაძარი
- ქოლგა

გაკვეთილი 44. წარსულის ამბები (მოსწ. წიგნი, ორი განშლა გვ. 126-129)

პირველი განშლა:

აქტივობა 1.

დაათვალიერე ნიკო ფიროსმანაშვილის სურათი „წმინდა გიორგის დღეობა ბოლნისში“ და მოყევი, რას ხედავ.

- რას გვიამბობს მხატვარი?
- რას ხედავ ახლოს?
- რა ხატია შორს?
- რამდენ ამბავს ხედავ?
- არის სურათში რაიმე მთავარი თუ ყველაფერი თანაბრად მნიშვნელოვანია?
- რა ფერებს ხედავ?
- დაასახელე სამი წამყვანი ფერი.
- რატომ დახატა მხატვარმა სურათი განივად?
- დააკვირდი დეტალებს და აღწერე ისინი.

აქტივობა 2. დაკვირვება

მოძებნე სურათზე:

- მწყემსი
- მეწისქვილე
- პოლიციელი
- მეარღნე
- ყაჩაღები
- მლოცველები
- მზარეული
- ეტლი

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

შეარჩიე და გადახატე ნიკო ფიროსმანაშვილის სურათის ერთ-ერთი სცენა.

მეორე განშლა:

აქტივობა 4. დაკვირვება, ინტერპრეტაცია

დააკვირდი ნიკო ფიროსმანაშვილის სურათს „კალოს ლეწვა“ და მოყევი, რას ხედავ.

- რა ხატია წინ, შუაში და უკან?
- არის სურათში რაიმე მთავარი თუ ყველაფერი თანაბრად მნიშვნელოვანია?
- რას აკეთებენ ეს ადამიანები?
- სად ხდება მოქმედება – ღია ცის ქვეშ თუ შენობაში, სოფელში თუ ქალაქში?
- წელიწადის რა დროა?
- რა ნიშნით მიხვდი?
- რა ცხოველებს ხედავ?
- რას აკეთებს პატარა ბიჭი?
- რას აკეთებს თეთრსამოსიანი მამაკაცი?
- რას აკეთებს ქალბატონი?
- როგორ დაასათაურებდი სურათს?

აქტივობა 5. ინტერპრეტაცია

სურათის მიხედვით მოიფიქრე და მოყევი მოკლე ამბავი.

აქტივობა 6. დაკვირვება. აღწერა

დააკვირდი ნიკო ფიროსმანაშვილის სურათს „ხილის გამყიდველი“ და მოყევი, რას ხედავ.

- რას აკეთებენ ეს ადამიანები?
- სად ხდება მოქმედება?
- რა იყიდა ქალბატონმა?
- რას აკეთებს პატარა ბიჭი?
- რა აცვია ქალბატონს?
- რა ახურავს ბავშვს?
- რა აცვია ვაჭარს?
- რა კიდია კედელზე?
- რა დევს დახლზე?
- რა ცხოველები ხატია სურათზე?

აქტივობა 7. ინტერპრეტაცია

- როგორ დაასათაურებდი სურათს?
- რაზე შეიძლება საუბრობდნენ სურათის გმირები?
- მოიფიქრე მოკლე დიალოგი.

***დამატებითი აქტივობა:**

მოიფიქრე და „გაახმოვანე“ სურათის რომელიმე პერსონაჟის მონოლოგი. სთხოვე მეგობრებს, გამოიცნონ, რომელი პერსონაჟის ფიქრები გააჟღერე?

აქტივობა 8. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

გაიხსენე რაიმე ჩვეულებრივი ამბავი შენი ყოველდღიური ცხოვრებიდან და დახატე სურათი.

- რას საქმიანობ ყველაზე ხშირად?

- სად გიყვარს გასეირნება?
- რას ამჩნევ ხოლმე გარშემო?
- რა გამახსოვრდება?
- ამ შთაბეჭდილებებიდან რას დახატავდი?
- შენ გარდა კიდევ ვის დახატავ?

გაკვეთილი 45. მონატრება (მოსწ. წიგნი, გვ. 130-131)

აქტივობა 1. დაკვირვება, აღწერა, ინტერპრეტაცია

დააკვირდი დავით კაკაბაძის ფერწერულ სურათს „იმერეთი, დედაჩემი“ და მოყევი, რას ხედავ.

- რა არის მთავარი?
- რას გვიამბობს სურათი?
- წელიწადის რა დროა სურათზე?
- რა ნიშნით მიხვდი?
- რა მოჩანს შორს?
- რა მოჩანს ახლოს?
- რას აკეთებს დედა?
- რაზეა ჩამომჯდარი?
- რა აცვია?
- როგორია მისი ვარცხნილობა?
- რა აქვს გადაფარებული მუხლებზე?
- რაზე შეიძლება ფიქრობდეს დედა?
- რა ხმები შეიძლება ისმოდეს მის გარშემო?

წარმოიდგინე, რომ დედამ შორეული ქვეყნიდან შვილისგან წერილი მიიღო.

- რას მისწერდა მხატვარი დედას?

წარმოიდგინე, რომ დედა პასუხს სწერს შვილს.

- რას მისწერდა დედა მხატვარს?

აქტივობა 2. დაკვირვება

მოძებნე დეტალები სურათზე.

წარმოიდგინე და გაგვიზიარე შენი აზრი – როგორი იქნებოდა სურათი მათ გარეშე?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

- დახატე საყვარელი ადამიანის პორტრეტი პეიზაჟის ფონზე.
- რა დეტალებით გაამდიდრებ სურათს?

გაკვეთილი 46. ქუჩის ამბები (მოსწ. წიგნი, გვ. 132-133)

სანამ მოსწავლეები სახელმძღვანელოს გადაშლიან, დაუსვით შეკითხვა:

- თამაშობთ ხოლმე ქუჩაში ან ეზოში?
- რას თამაშობთ?
- ქუჩის სცენა რომ გქონდეთ დასახატი, რას დახატავდით?

აქტივობა 1. აღწერა, ინტერპრეტაცია

დაათვალიერე ინგლისელი მხატვრის ლოურენს ლოურის სურათი და მოყევი, რას ხედავ.

- რა არის მთავარი?
- რა ნიშნით მიხვდი?
- რა ხატია წინ და რა – უკან?
- სად ხდება მოქმედება?
- რას აკეთებენ ადამიანები?
- რატომ ფიქრობ ასე?
- აქ სიჩუმეა თუ ხმაური?
- რა ხმები შეიძლება ისმოდეს ამ სურათში?
- რატომ დახატა მხატვარმა სურათი განივად?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

გაიხსენე:

- როგორ ერთობიან ბავშვები ქალაქში?
- როგორ ერთობიან სოფლად?
- რა ხდება შენს ქუჩაზე?

ფერადი ფანქრებით დახატე სურათი „ჩემი ქუჩა“.

დაფიქრდი, ფურცელს გრძივად დაიდებ თუ განივად?

აქტივობა 3. დაკვირვება, ინტერპრეტაცია

- დააკვირდი ლოურენს ლოურის სურათს და მოყევი, რას ხედავ.
- არის აქ რაიმე მთავარი თუ ყველაფერი თანაბრად მნიშვნელოვანია?
- საით იყურებიან ბიჭები?

აქტივობა 4. დაკვირვება, ინტერპრეტაცია

დააკვირდი ლოურენს ლოურის სურათს. წარმოიდგინე, რომ ამ სურათში აღმოჩნდი. დაწერე ამბავი შენი თავგადასავლის შესახებ.

- როგორ მოხვდი იქ?
- რა დაინახე, როდესაც ვითარებას შიგნიდან აკვირდებოდი?
- რას ხედავ გარშემო?
- სად არიან ეს ადამიანები?
- რას აკეთებენ ისინი?
- წელიწადის რა დროა?
- როგორი ამინდია?
- რა ხდება წინ და რა – უკან?
- რა ხმები ისმის გარშემო?
- რა შეიძლება ხდებოდეს ამ სურათის მიღმა?
- მოიფიქრე მოკლე ამბავი, რა ნახე და როგორ დაბრუნდი იქიდან?
- მოუფიქრე ამბავს სათაური.

აქტივობა 5. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

დახატე სურათი, რომელზეც გვიამბობ, როგორ თამაშობენ ბავშვები სტადიონზე.

- რამდენ ბავშვს დახატავ?

- როგორ პოზებში იქნებიან ისინი?
- რა ეცმევათ ბავშვებს შენს სურათზე?
- რას დახატავ წინ? რას დახატავ უკან?
- რას დახატავ სტადიონის გარშემო?
- შენს სურათში რაიმე მთავარი იქნება თუ ყველაფერი თანაბრად მნიშვნელოვანი?
- ფურცელს გრძივად დაიდებ თუ განივად?

გაკვეთილი 47. შავ-თეთრი ამბები (მოსწ. წიგნი, გვ. 134-135)

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება
გაიხსენე, რა არის გრაფიკა.

აქტივობა 2. დაკვირვება
მოძებნე:
- მაკრატელი
- ჩაქუჩი
- დოქი
- ძაფი
- სათვალე
- ბოთლი
- დანა
- მკვნეტარა

***დამატებითი აქტივობა:**
წარმოიდგინე, რომ მეწაღეს სახელოსნოში შეხვედი. მოიფიქრე ამბავი.
- რატომ მიხვედი მეწაღესთან?
- როგორი გარემო დაგხვდა?
- მეწაღე ჩუმად იჯდა, ღიღინებდა თუ რაიმეს უსმენდა?
- როგორი გარეგბნობა ჰქონდა მეწაღეს?
- რა ეცვა?
- როგორი ხმა ჰქონდა?
- რა ნივთები ელაგა მის გარშემო?
- როგორი სუნი იდგა მეწაღეს სახელოსნოში?
- რაზე ისაუბრეთ?
- როგორ დაემშვიდობეთ ერთმანეთს?

აქტივობა 3. დაკვირვება, ანალიზი, ინტერპრეტაცია
დააკვირდი დიმიტრი ერისთავის ყველა ნახატს და მოყევი, რას ხედავ.
- რა არის მთავარი?
- რა დეტალები აღმოაჩინე?
- რაზე მიგანიშნეს ამ დეტალებმა?
- რას აკეთებენ ნახატების გმირები?
- როგორ იყენებს მხატვარი შტრიხებს?

- რა გადმოსცა მხატვარმა შტრიხების მეშვეობით?
- რატომ დახატა მხატვარმა ნახატები გრძივად?
- შენ რომ მსგავს თემაზე დაგეხატა სურათი, რას დახატავდი განსხვავებულად?

***დამატებითი აქტივობა:**

დააკვირდი დიმიტრი ერისთავის სურათს.

წარმოიდგინე, რომ იმ ეზოში აღმოჩნდი, სადაც მლესავს თავისი სალესი დაზგა დაუდგამს.

აღწერე ეზო.

როგორი ხმა აქვს დანების სალეს დაზგას?

მეგობართან ერთად გაითამაშეთ დიალოგი (ორ ადამიანს შორის საუბარი) მლესავსა და ბავშვს შორის ან მთელი სცენა, მეზობლების ჩართვით.

- რას ეუბნება ბავშვი მლესავს?
- რას პასუხობს მლესავი?
- რაზე საუბრობენ მეზობელი ქალები?

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

მიმოიხედე, დააკვირდი, გაიხსენე... შეხედე მხატვრის თვალით გარემოს და იპოვე შენი სურათის სიუჟეტი სამზარეულოში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, მაღაზიაში...

იპოვე, დაიმახსოვრე და დახატე ყოფითი ჟანრის სურათი უბრალო ფანქრით.

- დაფიქრდი, რას დახატავ?
- სად წარიმართება მოქმედება – ოთახში თუ გარეთ? ქალაქში თუ სოფელში?
- რას გააკეთებს შენი გმირი?
- რა იქნება მთავარი?
- რა დეტალებით გაამდიდრებ ამბავს?
- ფურცელს გრძივად დაიდებ თუ განივად?

ეტაპი III – შემაჯამებელი დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე)

მოაწყვეთ კონფერენცია, რომელზეც წაიკითხავთ მოკლე მოხსენებას.

გადაათვალიერე სახელმძღვანელო. შეარჩიე რომელიმე მხატვრის ნამუშევარი, რომელიც ადამიანის შესახებ ამბავს გვიამბობს. კარგად დააკვირდი სურათს და დაწერე მოკლე (1-2 წუთიანი) მოხსენება კონ-ფერენციისთვის.

ისაუბრე, რა დახატა მხატვარმა და როგორი მხატვრული ხერხებით გადმოგვცა ამბავი. გააკეთე მოკლე მოხსენება ამ ნაწარმოების შესახებ.

მოხსენების მოსამზადებლად უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

მონაცემები:

- რომელი მხატვრის სურათი შეარჩიე?
- რას გვამცნობს სურათის სათაური?
- ეს ფერწერაა თუ გრაფიკა?
- დასრულებული ნამუშევარია თუ ესკიზი?
- პორტრეტია თუ ყოფითი სურათი?

შინაარსი:

- რას გვიამბობს სურათი?
- სად ხდება ამბავი, ღია ცის ქვეშ თუ შენობაში?
- რა ხატია წინ? რა ხატია უკან?
- რა არის სურათში მთავარი?
- კიდევ რა დეტალები აღმოაჩინე?
- წელიწადის რა დროა? რა ნიშნით მიხვდი?
- დილაა, დღე თუ საღამო?
- როგორ აცვიათ ადამიანებს?
- რას საქმიანობენ?
- როგორი პოზებითაა გადმოცემული მათი მოქმედება?
- რა განწყობაზე არიან? რა ნიშნით მიხვდი?
- ძველი დროა თუ თანამედროვე? რა ნიშნით მიხვდი?

ისაუბრე მხატვრულ ხერხებზე:

- აღწერე, როგორ ფერებს ხედავ? დაახასიათე ეს ფერები.
- რომელმა ფერმა მიიქცია შენი ყურადღება?
- როგორი ფერები ჭარბობს – თბილი თუ ცივი, მუქი თუ ღია?
- რა განწყობას ქმნიან ეს ფერები?
- როგორ ხაზებს ხედავ?
- არის სურათში რაიმე მთავარი თუ ყველაფერი ერთნაირად მნიშვნელოვანია?
- რა ხერხით გამოყო მხატვარმა მთავარი – ფერით, ხაზით თუ ზომით?
- სურათი გრძივად ხატია თუ განივად? რატომ?

შეაფასე:

- რატომ შეარჩიე ეს ნაწარმოები?
- რა გვიამბო მხატვარმა?
- რა იცოდი მსგავსი სიტუაციის შესახებ ადრე, და რა შეიტყვე ახალი?
- როგორი განწყობაა სურათში – საზეიმო, მყუდრო თუ საშიში?
- შენ როგორ გუნებაზე გაყენებს ეს ნაწარმოები?
- როგორ ფიქრობ, რა გუნებაზე იქნებოდა მხატვარი, როდესაც ამ სურათს ხატავდა? რატომ ფიქრობ ასე?

შემაჯამებელი დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით:

<table>
<tr><td colspan="2">თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება
თემა: წვრილად მოყოლილი ამბები
მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____
სამიზნე ცნება 1: იდეა და სახვითი ენა
ქვეცნებები: სახვითი საშუალებები – ხაზი (სხვადასხვა ტიპის; კონტური, შტრიხი). ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი, კონტრასტული). ფონი.
სახვითი ხერხები – ძირითადის გამოყოფა, წინა და უკანა ხედი, ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.
სამიზნე ცნება 3: დარგები და ჟანრები
ქვეცნებები: მხატვრობა (ფერწერა და გრაფიკა)
ჟანრები: პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ყოფითი და სხვა.</td></tr>
<tr><td colspan="2">გადაათვალიერე სახელმძღვანელო. შეარჩიე რომელიმე მხატვრის ნამუშევარი, რომელიც ადამიანის შესახებ ამბავს გვიამბობს. კარგად დააკვირდი სურათს და დაწერე მოკლე მოხსენება კონფერენციისთვის. ისაუბრე, რა დახატა მხატვარმა და როგორი მხატვრული ხერხებით გადმოგვცა ამბავი.</td></tr>
<tr><td>SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:
მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.</td><td>დავალების პირობის თანახმად, წარადგენს მის მიერ დამოუკიდებლად შერჩეულ ნამუშევარს კლასის წინაშე. თანამიმდევრულად და ვრცლად აღწერს, აანალიზებს, განმარტავს და აფასებს ნამუშევარს შინაარსისა და სახვითი ენის მიხედვით. წარდგენისას ამომწურავად საუბრობს მხატვრის ჩანაფიქრზე და მის მიერ გამოყენებულ ყველა მხატვრულ ხერხზე.
ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.</td></tr>
<tr><td>მიმართებითი:
მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.</td><td>დავალების პირობის თანახმად, წარადგენს შერჩეულ ნამუშევარს კლასის წინაშე. აღწერს, აანალიზებს, განმარტავს და აფასებს ნამუშევარს შინაარსისა და სახვითი ენის მიხედვით.
წარდგენისას ვრცლად საუბრობს მხატვრის ჩანაფიქრზე და მის მიერ გამოყენებულ ძირითად მხატვრულ ხერხებზე.
ადეკვატურად იყენებს რამდენიმე ტერმინს.</td></tr>
<tr><td>მულტისტრუქტურული
მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.</td><td>დავალების პირობის თანახმად, წარადგენს მასწავლებლის დახმარებით შერჩეულ ნამუშევარს კლასის წინაშე. აღწერს და აანალიზებს ნამუშევარს, მაგრამ უჭირს ინტერპრეტირება და შეფასება შინაარსისა და სახვითი ენის მიხედვით.
წარდგენისას ზედაპირულად საუბრობს მხატვრის ჩანაფიქრზე და მის მიერ გამოყენებულ ორიოდ მხატვრულ ხერხზე.
ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.</td></tr>
</table>

უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	დავალების პირობის თანახმად, წარადგენს მასწავლებლის დახმარებით შერჩეულ ნამუშევარს კლასის წინაშე. აღწერს ნამუშევარს, მაგრამ უჭირს ანალიზი, ინტერპრეტირება და შეფასება შინაარსისა და სახვითი ენის მიხედვით. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ ვერ იყენებს მათ ნამუშევრის წარდგენისას.
პრესტრუქტურული: მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.